

1926

ქართული მედიკალიზაცია

№ 2-3

ივანე ნიკოლოზიძე-ჯაბუკიძის ტიპოგრაფია

1926

ქართული მწერლობა

სრულიად საქართველოს მწერალთა
კავშირის ყოველთვიური ორგანო

ლიტერატურა — ხელოვნება — კრი-
ტიკა — საზოგადოებრივობა.

№ 2—3

თბილისი — ივ. მაჩაბლის ქ. № 13

ივლისი — აგვისტო
1926

ტელეფონები: 24-51. 6-43. 23-99.

უ ი ნ ა ა რ ს ი:

პ რ ო ზ ა:

ნიკო ლორთქიფანიძე — ეპისკოპოზი ნადირობაზე; შალვა დადიანი — ჯადო;
ვ. ბარნოვი — ნანატრი ნადირი; სტეფან კასრაძე — გვართ-სამხილავი; ლეო ქია-
ჩელი — უცნაური მოთხრობები; ლ. მეტრეველი — ცხოვრების რადიო.

ლ ე მ ს ე ბ ი:


(ალფაბეტით) ს. აბაშელი — წერილი ნოე ჩხიკვაძეს; ვალერიან გაფრინდაშვი-
ლი — აუქციონი; რაჟდენ გვეტაძე — მერკვილაძის დები; ნ. ზომლეთელი — რი-
ფის ბედი; იასამანი — ზაფხულში; კ. ლორთქიფანიძე — ექვსი სიმღერა; ლ. მაჭა-
ვარიანი — 1. გრიგოლ ვეშაპელს, 2. 'დაცვენილი ხსოვნები; ი. მოსაშვილი — დაბ-
რუნებული დარბები; კოლაუ ნადირაძე — გაზაფხული ტფილისში; ვ. უურუ-
ლი — ლილი; ვ. რუხაძე — ქალაქის სამკაული; ს. ფაშალიშვილი — სიტყვა ჩემს
საუკუნეს; ნოე ჩხიკვაძე — ორი ლექსი; ნ. ჩაჩავა — პოემიდან: „ყაჩაღები ქა-
ლაქს გადასცდენ“; ს. ჩიქოვანი — მყინვარი; გ. ცეცხლაძე — სპარსული ნოხი, ყა-
ლიონი და იალბუზი; გ. ქუჩიშვილი — ლექსები.

წ ე რ ი ლ ე ბ ი:

ნ. საქარელი — ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრივობა; განი — და-
საყრდნობი წერტილი; აკაკი პაპავა — ფრაგმენტი; ვან-დეიკ — ნიკო სულხა-
ნიშვილი; კ. დონაძე — ვარლამ ჩერქეზიშვილი; ბ. გორდეზიანი — გრიგოლ ვე-
შაპელი; პ. საყვარელიძე — ფერეიდანის ქართველები; ტიცინი ტაბიძე — ნატა
ვაჩნაძე; კარლ რადეკი — უნიადაგონი; ა. ვორონსკი — კრიტიკისა და ბიბლიო-
გრაფიისათვის.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი:

აკაკისა და ივანე მაჩაბლის მიწერ-მოწერა.



F 668

ეპისკოპოზი ნადიროზაზე

1.

„შეგვარცხვინა ძეძილეთმა. ისეთი კარგი ეკლესია აუშენებიათ!—დაიწყო „ორმოცის“ წირვა და პანაშვიდის არაჩვეულებრივ დღეს ოჯახისთვის სიღარბაისლისა და სიღინჯის ელფერის მისაცემათ მოწვეულმა კნენა თეოლინამ.

— მართალი ბრძანებაა!—ჩამოართვა სიტყვა მღვდელმა.

— ფარნაშვილების ეზოს რომ გაცილდებით. უკვე დაინახავთ ბამბასავით თეთრ. ლამაზათ აღმართულ ეკლესიას.

— ჩვენშიაც ქე შეიძლებოდა. თუ აშენება არა. შეკეთება მაინც. მარა ვინ არის პატრონი?— გულნატკენათ შენიშნა ბებერმა გლეხმა.

— რა ვქნა, ჩემო ექვთიმე? ქადაგებას არ ვაკლებ და რჩევას, მაგრამ არაფერი გამოდის.

— ეჰ! ჩვენი სოფელი საჯირითოთ და სანადიროთ უნდა ჩვენს მღვდლებს თვარა...— გაისმა ენამწარე გაბრიელა შიქარაძის ხმა.

— კაცო, რა ჩააცივდით ამ ჩემ ნადირობას, ვის რა დააკლდა? მღვდელ-მსახურებას არ ვასრულებ, თუ. თუ რამეს მკითხავთ, არ გირჩევთ და არ გიშუამდგომლებთ... რა წახდება მაინც, რომ წელიწადში ერთი ინადიროს კაცმა?..

— „წელიწადში ერთხელ კი არა, დღეში ორჯერ“— გაიფიქრა მობაასე აზნაურმა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს.

— შე დალოცვილო, მერე მღვდელს არაფრის ჭაბა უნდაო, ვინ თქვა... ხან ხოხობს მოკლავს, ხან ყურდღელს და ცოტა დაეხმარები ოჯახს.

— მაგი კი ვერაა მართალი, მამაო: ჩვენში მომგებიანი ნადირობა შეუძლებელია... ძაღლები რომ ძქადს შეჭამენ. იმის საღირალს ვერაფერს იშოვნენ.

— ნურც მასე ბრძანებ... აბა რით არჩენენ მონადირეები ცოლშვილს!

— იქ, სადაც ნადირია, თვარა ჩვენში თითო მამასახლისზე თითო ყურდღელი მოდის, რა უნდა მოიგო?

— არც მასეა საქმე; დათიას ერთი ფუთი წვერა ამოუყვანია.

— თევზობაზე არ მოგახსენებ... მოაქსოვიე დედაკაცს ბადე და მერე ურტყი ამ ლელის პირათ რამდენიც გინდა... თევზი თუ არ მოხვდა, კიბო და კიბორჩხალი მაინც იქნება!..

— საკვირველია, ჩვენში რომ გადირევიან მღვდლები ნადირობაზე, სხვაგან რატომ არ არის ასეთი ამბავი?

— რაზე ბრძანეთ მაგი, ბატონო?

— რაზე და ჩვენი მასპინძლის ბაბუის ამბავი არ გაგიგონია?

— არა.

— რავე არა, შე კაცო,— შენიშნეს აქედან და იქედან.

— ?!

— ბავშვობაზე კი გამიგონია რაღაცა, მაგრამ ნუთუ მართალია?

— მართალია, ბატონო, მართალი, ჩვენი ბაბუა მღვდელი ყოფილა...

— მერე, თუ მართალია, ამ შენს ბავშს მაინც ნუ დაუკარგავ უპირატესობას,— სერიოზულათ შესცვალა მუსაიფის ძაფი იქვე მდგომმა სოფლის მასწავლებელმა.

— როგორ, შენი კირიმე?— ვერ გაიგო გლეხმა.

— რავე და, სასულიერო წოდების შვილებს ნება აქვთ სასულიერო მასწავლებელში უფასოთ ისწავლონ... მერე სემინარიაში გადავა, და თუ ნიჭი გამოიჩინა,— შენი ბიჭი მეტათ ბეჯითი და გონიერია— ვინ იცის აკადემიაშიც მოხვდეს და კაცი გამოვა...

გლეხმა შეატყო, რომ რაღაც კარგი ამბავია, თუმცა „სემინარია“ ბუნდოვანი ცნება იყო მისთვის, ხოლო „აკადემია“ ზარასავით დაირეკა.

— მართალს ბრძანებს მასწავლებელი, მართალს...

— თუ კი რამე გახერხდება და მიშველით...— და გლეხმა დახმარების თხოვნით გადახელა სტუმრებს.

— არაფერი დიდი დახმარება არ არის საჭირო— შეიტანე თხოვნა და გათავდა,— შენიშნა ისევ მასწავლებელმა.

არც მასე ადვილია, თქვენ რომ გგონიათ, ვინმე დიდ კაცს რომ იშოვნიდეს მფარველათ, უკეთესი იქნებოდა.

— შენდა ბედათ, ეხლა ეპისკოპოზი აქეთ მოდის, მოეხვიე მუხლზე და, მე მგონია, უარს არ გეტყვის.

— მით უმეტეს ჩვენს მხარეზე არც ერთი ნასწავლი მღვდელი არ გვყავს...

2

სოფელ ძეძილეთის ახლათ აშენებული ეკლესიის კუროთხევის ამბავი მსწრაფლათ მოედვა იმ კუთხეს. რომლის ცის ქვეშ არა თუ ეპისკოპოზი: ბოქაულიც არ ჩნდებოდა.

დიდი და პატარა სასწაულს და მთელი ცხოვრების შეცვლას თუ არა, ერთი-ორი დღის სიამოვნებით გატარებას მაინც მოელოდა.

დედაკაცებს იმედი ჰქონდათ დანამდვილებით გაეგოთ. მართლა გამოჩნდა თუ არა უძლოურში კუდიანი ქალი, მართლა დადაღეს ის, თუ კუდიანებს მთავრობა ხელს არ უშლის პატარა ბავშვის გულ-ღვიძლით უაქიმონ „გათვალულს“?

გლეხები ფიქრობდნენ, რომ ამ დიდ დღესასწაულისთვის მოახერხებდნენ გაესაღებიათ დარჩენილი ღვინო, რქა-მოტეხილი ძროხა და ხარი...

ახალგაზრდა ვოგოები ხომ ირეოდენ სიხარულით: ყველა იქ მოელოდა საქმროს შოვნას.

მსხვილ ილარიონ დიაკონს უკვე ჩაეტანა მახლობელ დეკანოზისთვის ძღვენი და მიერთმია ცოტა „ხელის ქუჩკი“. რათა ეხლა მაინც ეკუროთხებიან მღვდლათ:

— „ახლა თუ არა მაშ როდის? ღმერთი ვერ ჩამოვა ქვეყნათ და ეპისკოპოზი ეს არის“.

—:—

როცა ილარიონ დიაკონის საქმეს დეკანოზი ეპისკოპოზს მოახსენებდა, დაუმატა:

— თადეოზ მღვდელს მეორე მღვდელიც გვერდში ამოუყენოთ, კეთილ-იქნება, რადგან ის... ვერ ასწრებს...

— როგორ თუ ვერ ასწრებს? ას კომლს ველარ გაუძღვება ერთი მღვდელი? რას ამბობ, მამაო იაკინთე.

— ასეაო... ვერ ასწრებსო, სჩივიან.

— ვინ სჩივა? ვინმე ამპარტავანი იქნება. ერთ დაწრუპუნებაზე ვერ გაიქცა იქნება საწყალი მღვდელი და აუჩივლდნენ... სვამს, გარყვნილობას, თუ სხვას. რას შვება, რომ ვერ ასწრებს?..

— სმის და გარყვნილების არაფერი გამიგონია... მოგახსენებენ—ნადირობსო...

— რაო? გადიროია? რა მისი საქმეა ნადირობა?

— კი, თქვენო მეუფებავ, ასე მოგახსენებენ... წირვას აგვიანებს ნადირობისათვისო.

— იმე!.. შენ რას იტყვი, ბერო კაცო, მგონია შენც იქაური ხარ,—მიმართა ეპისკოპოზმა გლეხს. რომელსაც აღარ მოეცაღნა ეპისკოპოზის სოფელში ჩამოსვლისათვის და ქალაქში წინასწარ აღეძრა თხოვნა, რომ სოფელში სრულიად დაებოლოვებინა საქმე.

— ჩვენ, ბატონო, არ უიჩვით ჩვენს მღვდელს, ღვთისნიერი კაცია!

— შენ იქნება სატანასაც არ უჩივი?.. ჰო, კაი... მარა შენ რა გინდა?

— რა, ბატონო და, ერთის მთხოვნელი ვარ: ბაბუა-ჩემი მღვდელი გხლებია... მამაჩემი ისე ადრე

გადაცვლილა, რომ დიაკვნათაც ვერ მოუსწრია კუროთხევა, მე ვინლა მიპატრონებდა და ქე დავრჩი უსწაველი... ახლა მინდა ჩემი ბიჭი სემინარიაში მივაბარო და იქნება წყალობა დამდოთ, მომცეთ მოწმობა, —ძლიერ მოკლეთ მოსჭრა გლეხმა, რომ არ გაერისხებია მეტათ მოხუცი ეპისკოპოზი.

— ბაბუა თუ მღვდელი გყავდა, შენ რალა დაგეძართა, შე საცოდავო?

— გძელი ამბავია, ბატონო, თუ ნებას მომცემ, მოგახსენებ.

— თქვი ჰო, თქვი.

— ჩემი ბაბუა მღვდელი ყოფილა, ბატონო.

— ეს მეც გამიგონია, —კვერი დაუკრა დეკანოზმა.

— ერთხელ თურმე ჩვენს სოფელში გზათ გამოუვლია კვირა დილას მეფეს... უცადა, უცადა, მღვდელს... ეძებენ, უძახიან... შენ არ შეგჭამოს მიწამ. სადაა?! ცხონებულს თურმე ნადირობა უყვარდა. ნაშუადღევი რომ გადავიდა, გამოჩნდა მღვდელი ჯორზე. წინ აქენთელეებული ძაღლები მორბიან, უკან ხურჯინში ყურდლის ყურები მოსჩანს... მღვდელს შეშინებია, მეფე რომ დაუნახავს, დაუხევეია უკან. „არ გაუშვათ მაგ წუწკიო“ დაიყვირა თურმე მეფემ და კარის კაცები გამოენთენ. მღვდელმა ჰკრა დეზი და გავარდა... წავიდა... და წავიდა... არ ვიცი, მერე მღვდელს რა დაემართა—მოკლეს, თათარში გაიქცა თუ ხრამში გადავარდა, ოლონდ უგზო-უკვლოდ დაიკარგა—მას მერმე არავის უნახავს... მის მაგიერ კი მიწერილი მღვდელი იყო თურმე იქ, ახლანდელი ჩვენი მღვდლის ბაბუა და იმას უბრძანა მეფემ:—„შედი და შენ წირეო“.

— იმე! თქვენს ქვეყანაში მონადირეობის სენი ხომ არ არი?—ოდნავ გაელიმა ეპისკოპოზს—იმის შთამომავლობა ახლა მე უნდა გავასამართლო.

— რავა, შენი ჭირიმე?

— რავა და ხომ გაიგონე, რა სთქვა დეკანოზმა, სჩივიან, ნადირობსო... შენ რას იტყვი?

— თქვენთან, ბატონო, ტყუილს რავა ვიტყვი... სხვაფერ კაია... წირვა-ლოცვას არ გვაკლებს, მარა, მართალია, ნადირობს.

— რავა თუ ნადირობს?

— სულ, ბატონო, დღე და ღამე—ხან თევზაობს ხან ხობობს... ერთი არაა იმისთანა ბადის მსროლელი და მიმინოს გამწვრთნელი.

— ნეტა, სად აქვს იმ საწყალს დრო? რა ეშმაკი შეუჯდა?

— მოგახსენებენ, ექიმებმა ურჩიეს, სისხლ-მეტი კაცი ხარ და მოძრაობა მოგიხდებო. რა ქნას აბა საწყალმა?

— შე სულელო, და ექიმმა რომ გირჩიოს წითელ პარასკევს, დიდ მარხვაში, გოჭი ჭამეო,—ჭამ?

ამ მოსაზრების გასაბათილებელი სასწრაფოთ ვერაფერი მოძებნა მოხუცმა გლეხმა; თან შეეშინდა, ჩემმა ურწმუნოებამ ეპისკოპოზი ჩემზე არ განარისხოსო და მოწმობაზე უარი არ ათქმევინოსო; გულში

მაინც გაიფიქრა:—ღმერთს რათ უნდა ეამოს, რომ ქრისტიანმა კაცმა გოჭის გულისათვის თავი მოიკლასო.

გლახმა თავი ჩაღუნა და ნიშნად შეცდომის შეგნებისა უკან დაიხია.

— ჰო მეძებარი ჰყავს უსათუოდ და დაატარებს ხელზე ეუვნებიან მიმინოს; ღამეში ჩამი-ჩუმი რომ არ ისმის და შავად ტივტივებს მდინარე, ესერის მხარზე აკრეფილ ბადეს... ფართხალობენ წვერა და...—ეპისკოპოზმა შეაჩერა გემოიანი ლაპარაკი.

— მიმინო არ ყავს, ბატონო, და ყურდღლებზე ქე ნადირობს.

— ჰო, მღვდელი ცას უნდა უყურებდეს და ლოცულობდეს, ის კი მთა-ღრეებში დაგლიჯინობს! წყალში თევზებს არ ასვენებს,—ეხლა უკვე პირქუშათ სთქვა ეპისკოპოზმა.

— ჰო, ახლა მაინც მოვდივარ იქეთკენ და ვაყურებიებ სეირს იმ თქვენ მონადირე თადეოზ მღვდელს. ასე გადაეცი, თუ ნახო, ჩემ მაგიერ,—და ეპისკოპოზი ადგა.

— ნუ გამირისხდები, თავს გაბეზრებ, მარა ჩემს საქმეზე რას მიბრძანებ?—ისევ შეეკითხა გლახი.

— ჰო, ჰო, კარგი... იუსტინე,—მიმართა ეპისკოპოზმა საქმისაწარმოებელს,—გამოიძიე საქმე და თუ შესაძლებელია, მიეცი მოწმობა, ისწავლოს, ნუ დარჩება ტყის კაცათ!

— მესმის, თქვენო მეუფებავ.

— ღმერთმა ნუ მომაკლოს შენი წაყლობა და ლოცვა-კურთხევა,—დიდის თაყვანით მადლი მოახსენა მოხუცმა გლახმა.

— ჰო, შენ რა გქვია.

— თეიმურაზი, ბატონო.

— ჰო, თეიმურაზ, მართალი თქვი, თადეოზი, თქვენი მღვდელი ცუდი კაცია.

— არა, ბატონო, არა, თქვენი მადლი არ გამიწყრეს! მარა აფხაზივით რომ შეაკვივლებს და კახელი თავადივით გაიჩეჩავს თმას ნადირობაზე, რაცხა არ მოგეწონება,—გლახმა ალღო აუღო ეპისკოპოზს.

— ჰო, მართალი ხარ, მართალი!— ეპისკოპოზმა დარბაზი დასტოვა.

3.

— რას ჩაფიქრებულხარ, ნებროთ - ბატონო? შეეხუმრა ერთ დილას თადეოზ მღვდელს მეზობელი მონადირე აზნაური.

თადეოზ-მღვდელს მრავალი ზედმეტი სახელი ჰქონდა სოფელში მიცემული: ნებროთ, ქორ-მიმინო, ბადე-მღვდელი და სხვა.

— ეჰ, ნეტავი შენ! გადიდებ ამ თოფს ზურგზე და გადიქაჩები კურო მოზვერივით, არც არავინ ბატონი გყავს და არც არავინ დამშლელი.

— და შენ რაღა ობოლი ქალიშვილი დამრჩი?

— რა და, მთელი ქვეყანა ამიყაყანდა—ნუ ნადირობ, ნუ ნადირობო... რა უნდათ ჩემგან, ნეტავი

ვიცოდე! ზოგს ხასა უზის სახლში, ზოგი საქურდალში დადის და—არაფერი! შენ კი, მღვდელი ხარო და ყურდგელს არ გაეკიდოვო. ვის რას უშავებ? ყურდგლები რომ მიჩიოდნენ, კიდევ მესმის, თვარა მღვდელმთავარს ჩემ ნადირობასთან რა ხელი აქვს?

— რა მოხდა, აღარ იტყვი?

— რა და ის, რაც გითხარი, მღვდელ-მთავარს შემოუთვლია, გაგპარსავსო; აქ სოფელმაც დაიწყო ყაყანი, მღვდელი არ გყავს როცა გვჭირდებაო. ეს სულ იმ ილარიონ გოდორას ბრალია... სხვა ვერაფერი მომიხერხა და ნადირობას დააწვა. ექიმს მაინც არ ეთქვა, ერთ-ერთი შენი წამალი მოძრაობა, ჯაფა, სიარულიაო... მეც ვამჩნევ, რომ მომიხდა, მოვრჩი... არა და ბავშვივით ჯოხზე ხომ ვერ შევჯდები და დავიწყებ ჩინდრიკს... მერე წინათ რომ ეთქვათ რამე, სხვას შევეჩვიოდი და ახლა რას უნდა მოვკიდო ხელი?

— ბურთაობა დაიწყე.

— მარტო ვიბურთავო?—მღვდელმა უიმედოთ ჩაიქნია ხელი—ავადმყოფობას ჯანი გავარდეს, სანამ ვიცოცხლებ ვიცოცხლებ, მარა ეხლა მგონი, ეპისკოპოზი პირდაპირ მიპირებს თურმე გადაყენებას...

— ა, რავა შეიძლება, გაგიგონია ასე ადვილათ ორჯერ ნაკურთხი მღვდლის გადაყენება?!

— ბევრია, ჩემო მიხეილ, მღვდლობის მოსურნე... მარტო ილარიონი რად ღირს?.. ახლა, უსათუოდ გაბმულია ქსელი მასა და ჩვენ დეკანოზს შორის... მიდიან და მოდიან!.. მიდიან და მოდიან!..

— ნუ გეშინია... ეპისკოპოზი რავა ჩაიდგამს შენი წვრილი ცოლშვილის ცოდვაში ფეხს... შენიშნვას მოგცემს, გაგაფრთხილებს და მერე თუ არ მოიშალე, ქე იზამენ რაცხას, აბა რავა იქნება?

— შენს პირს შეაქარი! ახალა, რომ გადავრჩებოდე, ვინ მამაძალი ხელს მოკიდებს ან თოფს და ან ბადეს..

— გეუბნები, ნუ გეშინია-თქო, „ღმერთი არ გასწირავს, კაცსა მისგან განაჩენსა“...

— გამარჯობა!

— რა მიგაჩქარებს?

— მინდა ერთი დავისვენო და ამელამ წისქვილის სათავე გავხსნა...

— შენც მიაგენი?

— რავა, შენ საიდან იცი?

— რავა თუ საიდან ვიცი, ერთი თვეა იმას ვეზმანები... თითო წყდა წვერაა... კიბო, კიბო ხომ უთვალავი...

— თუ წასვლას აპირებდი, არ გრცხვენია, რომ არაფერი მითხარი?

— შენ რატომ არ მითხარი, მე რომ მისაყვედურებ, თანაც რა უნდა მეთქვა, შენ ხომ მაინც ვერ წამოხვიდოდი, დღეს-ხვალ ეპისკოპოზი მობრძანდება.

— ღამე, შე კაცო, მზვერავეები ხომ არ ეყოლება ეპისკოპოზს დაყენებული?

— მზვერავეები არა, მარა ხმა მაინც გავარდება...

— ჰე, ჯანი გავარდნია, წადი, ღმერთმა მოგახმაროს ჩემი ნათვალთვალები და მოვლილი სათევზაო ადგილები.

—:—

ღამეში, როცა მიხეილი არღვევდა წისქვილის სათავეს, ზევიდან თადეოზ მღვდელმა დაჰკრა ორჯერ-სამჯერ ბადე და როცა მოფართხალე წვერები და კიბოები აბგაში ჩაიწყო, ნეტარების ღიმილით გაიფიქრა:

— აწი, ჩემო მიხეილ. გინდ გადაუშვი და გინდ გადმოუშვი წყალი... კიბოს კიდევ ბევრს იშოვნის და წვერების რა მოგახსენო... მაგრამ წვრილი თევზითაც დაკმაყოფილდები... შენ უნდა გამომავლო პირში ჩალა? ეპრუწ შენს საქმეს, მე ჯერ კიდევ მებაღურს მეძახიან.

4

ქალაქიდან ეპისკოპოზი დიდის ამალით დაიძრა. გზაზე ბევრი ხვდებოდა. ერთი წყება რომ ჩამოშორდებოდა, მეორე შეუერთდებოდა.

აღმართს რომ შეუდგენ, მოისმა ძაღლების გაბნეული ყეფა.

— თადეოზ, თადეოზ, ეტყობა, შენი მრევლია აქ.— მრისხანედ მიიხედა ეპისკოპოზმა უკან ჩამორჩენილ მღვდლისაკენ, რომელიც ამ ხმის გაგონებაზე ქუსლების რტყმევით და „ჩიშ—ჩიშ“-ის ძახილით დაფეთებული გაექანა.

— რა მიბრძანე, თქვენო მეუფეებავ?

— რა და შენ მრევლს ეტყობა შენი მოღვაწეობა: ზარების ხმის მაგიერ ძაღლების ყეფა ისმის.

— რა ვქნა, ბატონო, ზარებს რეკენ. მაგრამ პატარაა და წვრილი ხმა აქვთ.

— ერთი ხეირიანი ზარა ვერ აყიდვიე მრევლს?

— ღარიბი სოფელია, ბატონო.

— ძაღლები კი ყველასა ჰყავს, შე საწყალო? სულიერი მამა ასეთს მაგალითს აძლევს, რა ნაყოფი იქნება უკეთესი?

— ბატონო მე ამ სოფლიდან შორს ვარ. აქ ერთხელაც არავის უნახავს, მე რომ მენადიროს... მომიტევე, თუ შეგცოდე.

— ჰო, ჰო, იქაურები ყრუ და ბრმები არიან, ვერ გაიგებდენ და სხვა სოფელში ვერ ნახავდენ თავიანთ სულიერ მამას, ყურდღელს რომ დასდევს...

აღმართი გათავდა.

დაღმართზე დაეშვენ.

ეპისკოპოზი შეჩერდა; ბარტყულა მოიხადა; სიოს შუბლი შეუშვირა და მიდამოს გადახედა.

ბუჩქნარიანი ფერდობი თავდებოდა ტრიალი მინდვრით.

ძაღლების შეწყობილი ხმა ახლოვდებოდა.

„წვიდა, წვიდა, არ გოუშვა, არიქა ლაბაშა, შენ იცი ტურია“—ქაქანებდენ ქვევიდან მონადირეები.

უეცრად ბუჩქებში გამოჩნდა ყურდღელი.

ჩაცუცქდა და წუთით უცნობ ხალხს შეაჩერდა.

— ყურდღელი!—დაიყვირა ეპისკოპოზმა, მისგან მოულოდნელ სისწრაფით დატრიალდა უნაგირზე, რომ რისთვისმე ხელი ეტაცნა სასროლად და როცა სხვა ვერაფერი ჰპოვა, ისევ ბარტყულა ესროლა; მაგრამ ყურდღელი უკვე დაადგა შარა-გზას.

— არ გაუშვათ! არ გაუშვათ, ეს ეშმაკის კერძი!—იძახოდა ეპისკოპოზი და თან ჯორს მიერეკებოდა.

— კვერთხი მომეცი, ბიჭო, კვერთხი მაგ ოხერი.—უფრო და უფრო ცხარდებოდა ეპისკოპოზი.

ყურდღელი ვილასიც ეზოში გადახტა.

ეპისკოპოზი ლობეს ქაქანით მივარდა:

— გააღეთ ჭიშკარი! გააღეთ ჭიშკარი! ყურდღელი ჩამოვარდა! არავინ ხართ მანდ დასაქცევში? არ გაუშვათ!.. ამოწყდით?

ამ ყვირილზე სადღაც შორს ნაგაზმა დაიყეფა...

ყურდღელი ეზოდან უკენვე გამოვარდა;

ეპისკოპოზმა მსახურის მიერ წინად მიწოდებულ კვერთხი ესროლა... ამ ჭოლოკით დაშინებულმა ყურდღელმა გაჭრილი გზის მაგიერ თავდაღმართს მისცა თავი და ქაღებისკენ გაეშურა.

ეპისკოპოზმაც შეაბრუნა ჯორი და დაღმართისაკენ უქნა თავი, მაგრამ ჯიუტმა ცხოველმა გზის ბრეკს მიაბჯინა ფეხები და ადგილიდან არ იძროდა და გაბრაზებული მღვდელ-მთავარი ამაოთ ყვიროდა:

— ჩიშ, შეგჭამა მამალმა მგელმა,—მაგრამ საჩქაროთ დაუხმარებლათ ჩამოხტა ჯორიდან და ფეხდაფეხ გადაეშვა ბუჩქნარში; გზაზე გაიხადა ანაფორა და ამოკაპიწებულ კაბით გარბოდა, ხტოდა. მიხობხავდა. გაჩეჩილი თმა-წვერი, დაოფლიანებული სახე... ძლივს ითქვამდა სულს.

ყურდღელმა მინდორს მიატანა, უნდოდა ისევ შეეხვია ბუჩქნარში, მაგრამ სამის მხრიდან მეძებრები ამოუდგნენ და თითქოს ყეფით უკარნახებდენ—„ჭალას გაჰყევ, ჭალას გაჰყევო“.

— აუშვით მწვერები! აუშვით მწვერები! რას უცდით? გაჰკიოდა ეპისკოპოზი, და, როცა ყურდღელმა გადაწყვიტა ურხევი, პირდაპირი ხაზით გადაეჭრა ველი, როცა გაიმართა წელი და გაერთხო მიწას, მას ორის მხრივ ამოუდგა მწვერები...

— ოჰ, თქვენი ჭირიშე, თქვენი!—აღტაცებით მიძახა ეპისკოპოზმა ახლად გამოჩენილ დამხმარე ძალას.

ისინი არ ყეფდენ, ისინი სიკვდილის აჩრდილივით უახლოვდებოდენ მიზანს... და ყურდღელი გრძნობდა. აჰა ერთი კიდევაც დაწვდა... და ყურდღელი თითქოს ჰაერში გადატრიალდაო, შემობრუნდა და უკანვე გაკურცხლა... პირველი მწვეარი დაიბნა, ვერ შეჩერდა, ცოტა ხანს კიდევ მირბოდა წინ...

— აი შე, ეშმაკის ფეხო, შე..!—მიუღირა მუშტი ეპისკოპოზმა.

ყურდღელმა კარგა გზა გაიარა. მაგრამ მეორე მწვეარი, თითქოს მოელოდა პირველის მარცხს. თვალს ადევნებდა ოინს და, როცა გონება-დაბნეუ-

ლი, გზა-არეული ყურდელი არ მოელოდა, დაწვდა არა გავაზე, არამედ შიგ შუა წელში და ააგდო ჰაერში, ჰაერშივე სტაცა კბილები და ქვე დაიგდო.

— ოჰო!— ამოიოხრა ეპისკოპოზმა და კიდევ უფრო სწრაფის სირბილით მივარდა ბრძოლის ადგილზე.

ძაღვები, მონადირეები, ამაღა მოცვინდა.

ძაღვს ნანადირევი ჩამოართვეს.

ეპისკოპოზი ოფლს იწმენდა.

— გვაკურთხე, მეუფეო! — მიმართა მონადირემ.

— გაკურთხოს, შვილო, ღმერთმა, კაი სეირი მაჩვენე სიბერის დროს, ღმერთი იყოს თქვენი მწყობელი!

— ნება გვიბოძეთ, ბატონო, მცირე რამეა, მაგრამ დღევანდელი ნანადირევი მოგართვათ.— და მოხუცმა მონადირემ ყურდელი ეპისკოპოზს გაუწოდა:

— არა, შვილო, რათ მინდა ამ გზაზე ყურდელი.— მე სეირიც მეყოფა.

— ბატონო, მოეგხსენებათ ჩვენი ძველებური ჩვეულება: ნანადირევი ეკუთვნის ყველა დამსწრეს და ამდენ კაცს რომ ერთი ყურდელი გაუნაწილოთ, თითოს პოჭოკი არ ერგება, თანაც ჩვეთვას მეტათ სასიამოვნო დარჩება, თუ იკადრებთ...

— კარგი შვილო, გმადლობთ.— დაეთანხმა ეპისკოპოზი და ყველას გადასახა პირჯვარი. და მხოლოდ მაშინ შეკრთა, როცა სამთხვევათ გაწვდილხელს აქ-იქ გაკაწრული შეამჩნია. მერმე ტანზე დაიხედა და ანაფორა ველარ დაინახა.

— ცოდვილია ადამიანი, ცოდვილი... მეც გამიტაცა ამ ამოებამ.— გაიღიმა ეპისკოპოზმა და ფეხზე წამოდგა.

თადეოზი შორი-ახლოს იდგა და ათასი ახრი ირყეოდა მის თავში და ათასი გრძნობა უღელავდა გულში.

გაჭირვებამ. გაპარსვის შიშმა — დაავიწყა სიამოვნება, ნადირობაში მიეღო მონაწილეობა, და ეხლაც არ იცოდა ეპისკოპოზი თავის ცდუნებისათვის თადეოზზე იყრიდა ჯავრს, თუ ამ ამბის გამო სრულიად აპატიებდა შეცდომას.

— ა. მეც მონადირეთ გამხადე არა, მამაო თადეოზ?!— ღიმილით მიმართა ეპისკოპოზმა ფიქრებში გართულს. შორს მდგომ თადეოზს...— ასეთი ყოფილა ამ კუთხის სენი...

— მე არ ვარ, მეუფეო დამნაშავე...

— არა, არა! ვინ გაბრალებს!.. ღმერთია ყველას მსაჯული— დამორჩილებულის კილოთი სთქვა ეპისკოპოზმა.

—:—

ეკლესიის კურთხევაზე ეპისკოპოზმა შესცვალა თავისი ქადაგება: „მღვდელ-მონაზონის მოვალეობის“ მაგიერ მან თემათ აიღო:

„ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“...

სიტყვას არ ჰქონდა დამზადებული პათოსი, აკლდა საღვთისმეტყველო ტექსტები, ვერ იყო მოქნილი მჭერმეტყველობის კანონების მიხედვით, სამაგიეროთ იგი იყო სათნო, წრფელი, სადა და ბევრათ უფრო შეეფერებოდა მიღეულ მოხუცის ღმობიერ ხმასა და სახეს.

—:—

კნენა თეოლინესთანაც აღიძრა ვახშმის დროს ნადირობაზე ლაპარაკი... ეპისკოპოზი წინააღმდეგი იყო ასეთი გასართობის, გულახდილათაც აღიარა დილის ცდუნება.

აქა-იქ ისმოდა: „ათორმეტი მოციქული“, „ვახტანგ გორგასლანი“, „ტფილისის დაარსება“... „ნებროთი“...

ნებროთის ხსენებაზე ჩუმმა სიცილმა გაღიზინა.

— ნადირობა უეჭველია ღვთის ნებაა, აბა რათ დააწესებდა ასე— დიდება მის სახელს?!— სთქვა მოხუცმა, მეტად პატივცემულმა და ღვთისმშობსავმა აზნაურმა. რომელსაც ყველა, მათ შორის მღვდელმთავარიც, თადეოზის მოწინააღმდეგეთ სთვლიდენ.

— გადარჩი!— ჩაუფუჩუნა მამა თადეოზს ამ დილანდელი ნადირობის მეთაურმა.

— შენის წყალობით.

— შენზე ერთი კარგი გამასპინძლებაა.

— კი, შენი ჭირიძე... იქეიფე, ისიამოვნე... ნუ დამსოგავ...

ფუჩუნს ყური მოჰკრა ეპისკოპოზის მდივანმა იუსტინემ, რომელიც სწორეთ იმ წუთში თეიმურაზს ეუბნებოდა:

— ხვალ დილით გამოცხადდი, მოწმობაც დამზადებული იქნება. და ეპისკოპოზის წერილსაც მოგცემ სასწავლებლის გამგისადმი, რომ უეჭველათ მიიღონ შენი ბიჭი... ნიჭიერი ბავშიაო, ბრძანა... უნდა დავეხმაროთო...

და როცა თადეოზის სიტყვები გაიგონა, მას მიუბრუნდა:

— ეს არ გეყოფა... კიდევ უნდა დაგვპატიჟო მეგობარ-მოყვრები.

— კი, ბატონო, მიმსახურეთ!..

თეოლინესთან გამართული ვახშამი რომ მამა თადეოზის ხარჯზე იყო, ყველამ იცოდა, მაგრამ ყველა ცალკბათ ლაპარაკობდა და სინამდვილეს არ ამჟღავნებდა.

6. ლორთქიფანიძე

R. S. მითხრეს, ეპისკოპოზის მოულოდნელი ნადირობის შესახებ ცნობა ვილაცას აქვსო. ვეძიე, ვაძებინე: ვერ ვპოვე, ვერ მიპოვეს. შესაძლებელია, ოდესმე წამეკითხოს, ან გამეგონოს. სულ ერთია— ამას ხომ მნიშვნელობა არა აქვს.

ჯ ა ღ ო

I.

ამ კაცს ჰქონდა ჯადო.
ნამდვილათ.

II

კარები შეალო გედემ.

ნესტიანი ოთახი იყო. მეოთხე სართულის სარკ-
ძელი უსუფთაო ეზოს გადაჰყურებდა.

შუადღე იყო და მზიანი, მაგრამ სამყოფელში
საკმაოთ ბნელოდა.

თვით ოთახიც არ იყო სწორი: ოთხკუთხიანი სა-
ხურავ ქვეშ. სხვენში იყო მოთავსებული და ახი-
რებულათ მოღრეცილი, მოხვეულიც

ერთ ესეთ უშნო ყურედან მეორემდე წვრილი
თოკი იყო გაბმული და ზედ დაკონკილი სარეცხი
შრებოდა.

პატრონი რეცხდა თვითონ.

დიდი ხნის დაქვრივებული, დიდი ხნის განდე-
გილი, დავიწყებული ღვთისაგან და კაცისაგანაც.

ათრთოლებული ხელებით რეცხდა ხოლმე თვის
სარეცხს.

ამ ჟამდაც, აკანკალებული, ბანდეროლის თხელ
ქალღმრთისაგან ამყრალებულ თამბაქოს ახვევდა.

არ შეუმჩნევია სტუმრის შემოსვლა.

ქალარა-მოსილი, დაჯირყვლებული სახე და გან-
საკუთრებით მორღვეული, უხალისო თვალები სად-
ღაც შორეულ წერტილს მისჩერებოდა.

გედემ შეაკრთო მისი განმარტოება.

მხიარული, ახლგაზრდა ბარიტონი წალულუნდა
ამ ყომრალ ბინაზე:

— ვახლავარ ძია ფრიდონს... თავი რას ჩაგიქინ-
დრია.

მოხუცმა უნდობლათ მოიხედა. დანახვაზე ცოტა
ხალისმა გაიპწკიალა მეტყველებაში:

— ოოჰ, გედე, გედეონ... „ის არ ვარ, რაც რომ
ვიყავი, რაც ვარ მათ ნულარ ვიქნები“..

ამოიოხრა. დაგლეჯილ კოლოფიანი ასანთი უბ-
რალო, ხის გაჩლოგნილ მაგიდაზე მოსძებნა და...
გააბოლა.

გედემ მიმოიხედა და... ოთახს ეცვალა ფერი.

თოკზე გაბმული დაკონკილი სარეცხი ძვირფას.
სალუქ ქსოვილებათ იქცა, რომელიც თითქო მხატვ-
რის ხელს საგანგებოთ თოკის ბედზე მიეგდო.

სარკმელში გაზაფხულის მაღლიანი მზე უხვად
შემონათდა.

„მახორკის“ სუნი ჰაფანის გლარჯმილის სურ-
ნელებათ გარდაიცვალა.

გაჩლოგნილი ხის მაგიდა მშვენიერ, კოხტა სამ-
წერლო, სტილ-დაკრულ მაგიდათ იქცა.

თვით ბებერისა და მიხრწნილ ფრიდონის წყალ-
მანკიანი გამომეტყველება ბიბლიურ წინასწარმეტ-
ყველისას დაემსგავსა. მკერდზე სალუქი, თეთრი წვე-
რი გადაეფინა და მხრებზედაც თმის თეთრი თოვლი
სპეტაკად ჩამოგუნდა.

ესეთი საპატიო მოხუცი, ერთ დროს მწერლობა-
ში ნაჯახირევი, უმაღლეს ფიქრთა მპყრობელი გახ-
და და გედეს თვალში ფრიდონი საქართველოს დი-
დებული მოაზროვნე შეიქმნა.

ფრიდონმაც თითქო იგრძნო გედეს მიერ შემო-
ტანილი ჯადოსნური ცვლილება, მისმა დასნეულე-
ბულმა გულმა უცხო სიხარულით გაიკრთომა.

და გაიბა მათ შორის გულის გამხალისებელი, სევ-
დის უკუ-მყრელი საამური ბაასი.

როცა გედე გამოდიოდა ფრიდონის სამყოფე-
ლიდან, ფრიდონი უკვე აღსავსე იყო ჭაბუკურის
აღფრთოვანებით. გონებაში სიმახვილე მიმოელავ-
და, გულს სიხარული უტოკებდა და მთელს სხეულ-
ში მაცოცხლებელი სითბო ჩამდინარებდა.

III

გედემ გალიუცინაციები არ იცოდა: ძილი კარ-
გი ჰქონდა, მადა მშვენიერი, გულიც საუცხოვო.

IV

ქუჩაზე გედეს კუხიანი მათიკო შემოეყარა.

თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა.

მახინჯი იყო და მთელი სულიერი და ხორციელი
სილამაზე მის მომხიბლავ თვალებში იყო გამოთქ-
მული.

— გედე, გედე!

მსვლელობა შეუჩერა გედეს.

გედემ გაუღიმა და...

მათიკო მიმზიდველ ქალწულათ გადაიქცა:

კუჩი გუსწორდა. ტანში გაიშალა, გულ-მკერ-
დი გაევისო.

ხელი ჩამოართვეს ერთი მეორეს..

საიდუმლო ნეტარი ნაკადი გაიკლაკნა მათ
სხეულში.

— გედე, იცი უკანასკნელ ხანებში რაზე ვფიქ-
რობ?...

გედემ კითხვით შეხედა.

— უნდა გამოგონებულ იქნეს ისეთი მანქანა...
სულ პაწაწა. შეუმჩნეველი, რომლითაც შეიძლე-
ბოდეს საგანთა გაკეთილშობილება...

— გედემ უცნაურად შეხედა.

— აი ისეთი, რომელიც, რასაც კი გაეკარება, ყოველივეს ალამაზებს, ამშვენებს... ვთქვათ ადამიანები. პირში უნდა ჩაუდო ისეთი შეუმჩნეველი მანქანა თუ გინდ აი ჩემისთანა მახინჯს და უეცრად... ხედავ ადამიანი იცვალა... მიიღო ისეთი სილამაზის იერი, როგორიც შენ გინდა... ჩვენი მეგობარი თებრომე ძალიან მოხდენილი ქალია, მაგრამ გრძელი ცხვირი საქმეს უჭირვებს... თქვენ ეს მანქანა ჩაუდეთ პირში და ცხვირი დაპატარავდა, მეწამულ ბაგეს კოხტა დარაჯათ დაადგა... სრული ამშვენების ქალი გაჩნდა თქვენ წინ... მათეს მოღრეცილი ფეხები აქვს, ისე კი საამური ვაჟკაცია... ჩაუდეთ პირში მანქანა— ფეხები გაუსწორდა. ფოლადივით ჩამოესხა და მხარ-ბეჭიანი მამაცი გასრულოვნდა. და ასე სულ... ყველა, ყველა ჩვენი ნაცნობები გაკეთილშობილდნენ, გალამაზდნენ, დამშვენდნენ, მხოლოდ... ჩვენებურად. მათ მიიღეს ისეთი იერი, როგორიც ჩვენ გვინდა, მე მინდა.. ქვეყანა მოინათლა ჩვენებურად. მე შევქმენ ქვეყნად ჩემი სამოთხე... და ბედნიერი ვარ... ო, რა კარგი იქნებოდა. ხომ, გედე?

ქალის თვალზე ცრემლი აციმციმდა.

გედე მიუბრუნდა:

— გეტყობა ბევრი გიფიქრია... რათ დაგჭირდა? მათიკომ შეხედა და მის გულს უსიამო გრძნობამ რეჩხი უყო.

შური დაებადა.

მიხვდა, რომ გედე თვით იყო ბედნიერი. თითქო ეს მანქანა მას უკვე ჰქონოდა.

მაგრამ ახლათ ნაშობი შური მყისვე გადნა.. რადგან გედე კვლავ შეეხო მათიკოს ხელს და... მათიკოს კუზი კვლავ გაუსწორდა,

ტანში გაიშალა,

გულ-მკერდი აევისო.

V

გედეს თვალები შორს მხედველი ჰქონდა და ძლიერი.

VI

მათელი ხროვა იდგა ახალგაზრდების:

— გედე, გედე!

ატყდა ღაღადისი და მხიარული ღიმილი გაიბნა ჭაბუკთა სახეზე.

ერთ წამს ყველამ ფერი იცვალა.

გედემ თვალი გადაავლო.

რა კარგები არიან!

ეს მომჭირნეა და პატიოსანი, ეს თავდადებული გმირი, ეს მეცნიერი, ეს კიდევ მგოსანი და ფიქრომპყრობელი მომავალი თაობისა.

სინამდვილეში:

პირველი ღარიბი იყო და ლაჩარი, მეორე ამაყი და მეტიჩარა, მესამე გაბუტული და ქვეშ-ქვეშა. მეოთხე კიდევ ენა-ტარტარა და თვალთ-მაქცი.

მხოლოდ გედე რომ მივიდა:

პირველმაც დაიჯერა, რომ ის პატიოსანი და მომჭირნეა, მეორემაც მისი თავდადებული გმირობა,

მესამემაც მეცნიერება და მეოთხემაც მისი მგოსნობა.

ლალათ იყვნენ. ერთი წუთით გაბედნიერდნენ.

— რა არის ამ კაცს შარავანდელი გადმოღის? რით ვიხიბლებით? ვინ იხიბლება, მეე?

და ფეხი წინ წარსდგა ერთმა შორი-ახლო მდგარმა მოღრუბლულმა ნაკვთმა.

— რას წარმოადგენს გედე? ვინ არის, რა არის? კანა მე მაგაზე მეტი არ ვიცი?... რამდენი მისწავლია, სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავს... რატომ ჩემი სიტყვა ეგრე არა სჯერათ, რატომ მე ეგრე არ მიღიმიან, რატომ მე ეგეთი გასავალი არა მაქვს? ეგ ხომ არც მწერალია, არც მეცნიერი. უბრალო მომაკვდავია. მხოლოდ რა ახალისებს ეგრე, მის გარშემო რათ უდარდებლობს ყველა?

მიადგა კიდევ გედეს ჯგუფს და... უნდოდა, გულით უნდოდა რაიმე შხამი გადაენტხია გედესათვის, მთელი ჯგუფისათვის მათი ფუქსავატობის, მათი ზეჩელობის გამო.

მაგრამ უცნაური!

გედემ მოიხედა. მიესალმა და ღრუბლიანიც ზანტათ გველივით გაიკლაკნა. ამ ხვევაში კი იგრძნო თითქო მზის სიმხურვალე და მოისურვა.

გველმა მზენე საამურათ გათბობა.

ხარხარი, სიცილი, ბედნიერება მეფობდა ირგვლივ.

VII

გედეს არ სწამდა საიქიო და არც სხვა რამ ცრუმორწმუნეობა.

VIII

გაისმა სამგლოვიარო საგალობელი.

წითელი კუბო მალლა მიჰქონდა ოთხ ძარღვიან მკლავს.

ოჰ, ბედო ულმობელო!

ეს ხომ გედეს მეგობრის ოჯახია.

ძველი რევოლიუციონერი, მჭედელი მაქსიმე, გარდაიცვალა? რათ არ იცოდა გედემ? სულ ერთია. უთუოდ ვერ მოასწრეს შეტყობინება, ან თვით ვერ მოასწრო ამ სამწუხარო სტრიქონების გაზეთიდან ამოკითხვა.

თვითონ გედეა დამნაშავე.

უკანასკნელი საღამი და პატივისცემა განსვენებულს, გარდაცვლილს.

ვერის დაღმართამდე გედეს ღონიერი მკლავიც ერთ-ერთ სანდო ბოძათ შეუდგა მჭედელ მაქსიმეს გაციებულ გვამს.

როგორ შემსუბუქდა კუბო!

როგორ იღუმალათ კუბოს გარშემო გამეფდა აზრი:

— განა ტირილი და გლოვა შეჭფერის მჭედელ მაქსიმეს? მან კეთილ-სინდისიერათ შეასრულა თავის ღროზე ძველი რევოლიუციონერის მოვალეობა, იყო მედგარი და მოუფერალი თავის პატიოსან საქმეში, ერთგული დარაჯი სახალხო საქმისა და დიდე-

ბული აღმზრდელი მომავალი თაობისა თავის სა-
არაკო, ფაქიზი სიცოცხლით... ბედნიერია, ვალ-მოხ-
დილი და ეხლა ნელი-ნელ საპატიოთ ვაცილებთ
ადგილსა ყვავილოვანსა.

ასე ფიქრობენ უკვე იმ დაკოჟრილ თითებთ პატ-
რონნი, რომლებიც ასე ერთგულათ შემოსჭიდებიან
ამხანაგის ძვირფას კუბოს.

გედე მივიდა ჭირისუფლებთან.

მოხუცმა მაქსიმეს ჭვირვა შვილივით გულზე
შიიკრა გედე.

ახალგაზრდა ბრვე ვაჟკაცებმა, მაქსიმეს შვი-
ლებმა, ხელი ჩამოარავეს.

და შეიცვალა აქაც გუნება. თითქო ხალისიანი
გახდა უბედურების განცდაც.

რადგან აქ უბედურებაც აღარ იყო.

იყო მხოლოდ მეცნიერების ჯერ კიდევ უძლუ-
რების გამო ცოტა დაჩქარება ადამიანის გაქრობისა.

მაგრამ კარგი გარდაცვალება ჭირ-გადახდილი
სხეულისა.

გარდაცვალება სხვა ნივთებში. რომელთა შო-
რის, ვინ იცის, ერთი ნაწილაკი იმ უროშიც გადა-
ერევა, რომელიც მომავალ ბედის საჭედ გრდემლზე
დაარტყამს მძლავრად.

XI

გედეს უყვრდა სიცოცხლე.

X

დილა რომ არის, რომ თენდება!

ტვინის საძილარი სიმები ეტყობა რომ უკვე
მოიმართნენ და გამოხმაურება სურთ.

თვლები იღება.

სხეულმა სიცოცხლე იგრძნო.

შეიშმუნა:

არაფერი არა სტკივა.

წამოიწია: მშვენიერია. წამოდგა ფეხზე: მრთე-
ლია, მრთელი, ჯან-სალი და ლალი სხეული.

მაშ ვცოცხალვარ კედევ?

რა ბედნიერებაა სიცოცხლე. რა ბედნიერი ვარ,
რომ ვგრძნობ ამ ბედნიერებას.

მაშ სხვა რა?

სხვაა?

სხვა ყოველივე კარგად იქნება: მზე ისევ ათბობს.
ენერგია ისევ მდინარებს სიცოცხლეში. სიცოცხ-
ლეში.

მეცნიერება წინ მიდის, ხელოვნება გვერდით
მიყვება. ადამიანთა სოციალურ მდგომარეობას
ბედნიერი დღეები უდგება.

ქვეყანა მშვენიერია, ქვეყნათ ღირს სიცოცხლე.
ღირს ამ სიცოცხლისათვის თავის დადება.

მათიკო ტყუის: ადამიანებს პირში ჩასადები
მანქანა არ სჭირდება.

მართალია, ძველი ირანული მოძღვრება, რომ
ადამიანში ცთომილთა ნატეხია გარეული. რა არის
ეს ნატეხი? ეხლანდელი რადი? ყველაში, თუ რჩეუ-
ლებში? არა, რჩეულები არ არსებობენ... არის მხო-
ლოდ ინტელექტი, მეტი განვითარებული, ან ნაკ-
ლებ მძლავრი. ეს არის საიდუმლო სიცოცხლისა?

აღარ დაიმტვრია თავი გედემ ამ ფიქრებით.
სწრაფათ აუზში ინებივრა, მარდათ ტანთ ჩაიცვა
უბრალო, მაგრამ კოხტა და მორგებული, სუფთა
ტანსაცმელი.

ქოჩორა თავი ამაყათ მოიღერა და კვლავ გავი-
და .. ცხოვრებაში--

ბედნიერების სათესათ და მოსაკრეფათ.

არა. ამ კაცს, გედეს...

ჯადო ჰქონდა.

ნამდვილათ.

შალვა დადიანი.



ნ ა ნ ა ტ რ ი ნ ა ღ ი რ ი

*

კარგი მონადირე იყო როსან. როდიაშვილებს გვართ მოუდიოდათ მხეცთა დევნა. მის პაპას სახელი გაეთქვა ჯიხვთა თუ არჩეთა ხოცვაში. მთიელნი მოდგმით. არც ისე დიდი ხანი იყო, რაც წინაპარი ჩამოსულიყო ბარად. ეხლათ ისინი უკვე დაბლობის მცხოვრებნი იყვნენ, ჯიშით ბარელნი. ოჯახში კი ახსოვდათ თავიანთი ჯილაგი: დიდ გაჭირვებაში ხატს თუ მიჰმართავდნენ, კოპალე უნდა ყოფილიყო ის, ან იალსარი. როსანის მამა ორ-სამ წელიწადში ერთხელ მაინც ეახლებოდა დიდებულ იალსარს, საღმთოს მიჰგვრიდა, თავის თავს და ოჯახს მის ყნად აღიარებდა.

როსანმა აღარა ქმნა პირი მთისაკენ. ყველა ხატებსაც ზურგი აქცია, რაკი სკოლები გაიარა: აღარ შეჰშვენოდა განათლებულ მოხელეს ღმერთთა მონობა. დედა მისიც ბარის ქალი იყო, მთისა არა იცოდა რა და ოჯახმა მიივიწყა იალსარიც, კოპალეც. მთის სხვა ღმერთებიც. შვილებს თუ მოუყვებოდა. ქართლ-კახეთის ხატებზედ უამბობდა, სანთელ-საკმელსაც მათ სახელზედ ანთებ-აკმევდა.

*

მთიელთა ერთი თვისება კი ღრმად გასჯდომოდა როსანს ძვალ-რბილში: ნადირობის დიდი ტრფიალი. მის ბაღლობისას მათ ეზოში ჩიტი ვერ გაიჭაჭანებდა: დაჰხვდებოდა მას საომრად როსან მშვილდ-ისრით; ძუის მახე, ან რამ ფაცური ჩაადებდა მფრინველს საფრთხეში. დიდობასაც არ დაიშალა; მიჰმართა ეხლა მხოლოდ მსხვილ ნადირს. სიზმარშიაც მთა-კლდეს ჰხედავდა, ტყეში დაძრწოდა. უსაფრდებოდა რაიმ ცხოველს, მიზნად იღებდა; მისდევდა დაჭრილს. ზმანებაში ის უხაროდა, რომ ყოველთვის უმარჯვდებოდა.

ენატრებოდა. სიზმარშიაც თოფი სჭეროდა, ხანჯალი რტყმოდა ფოლადიანი. ჩომბახი დიდი, ქვის გულები სასროლ-სატყორცნად, გრძელი ანდა წამწვეტებული. მარჯვედ ხმარობდა იარაღს უხეშს მხეცებთან თუ მტერთან ბრძოლაში. ერიდებოდნენ სიზმრად ნადირნი: ალღოთი თუ შეიგრძნობდნენ მის ძლიერ ძალას.

სინამდვილეში მშვენიერი სანადირო იარაღი ჰქონდა მოწყობილი: გათქმული ყალიბის ორლულიანი, თალათინ სავაზნე წყვილი, ბრტყელი ხანჯალი ტყავის სარტყელზედ, ხალთაგუდა მჭიდროდ დაწნული. შესაფერისი ტანისამოსი: მოკლე ჩოხა ჩალილული თბილ ახალუხზედ. ყელმალაღი ფეხთ-

საცმელი ლბილი და გამძლე, ყაბალახი, ტყავის ქუდი გრძელბეწვიანი. უნაკლულოდ ყოველივე მოწყობილება.

ექვსი დღე რომ მუყაითად მუშაობდა, როგორც მოხელე. მეშვიდე დღეს არ ისვენებდა: რიჟრაჟზედვე დაჰქსელდა გზას სანადიროდ განმზადებული. ხშირბინდისას ბრუნდებოდა ნანადირევით. მის სახლი რომ მოელოდა მისგან მისატანს, მეზობლებიც ყურადღებით გაჰმზერდნენ მის გზას: ნაწილი ჰქონდათ ნანადირევში. უსათუოდ დაურიგებდა. და ფიტარაანთ უგზავნიდა უფრო უკეთესს: მისი ირმა იქ ბუნაგობდა.

უხვობისთვის თუ სწყალობდა ნადირობის ღმერთი მფარველი. ის კარგი ხატი მაინც კიდევ მთლად ვერ იყო მისთვის გულლია: ერთს სასურველს არ უსრულებდა, მისთვის მეტად სანატრელ სანდომს.

*

ეს მის სანატრი ირემი იყო რქაბუდიანი. რამდენი ნადირი მოეკლა, დათვიც ბევრჯელ დაეძლია სასტიკ ბრძოლაში, ირემი კი რქაბუდიანი... იშვიათი ნადირი იყო იმათ მთა-ტყეში. მაინც გვარობდა აყრილებში, მწვერვალებისკენ—თვალის მოეკრა: ჩვეულებრივ ხარ-ირემზედ მოხდენილი. უფრო თამამი. ქოჩორს გარშამო წვრილი რქები მწყობრად მოსხმული და მათ შუა ტანმალაღი ჩხები ბარჯლული: ირემის წინამძღვრის ტურფა ჯილა დამამშვენები. სათოფედაც მიახლებოდა. მთლად არა სჩანდა: სხვილ ხის ღეროს აჰფარებოდა.

— ახ, ავეჩქარე! გაქლიშა ტყვიამ წიფლის ქერქი. ის კი გაკენწლა: მისი ბალნის ნაბუარას მოვკარი თვალი. თუ მოჰხვედროდა, მაშინ იქაც გავიმარჯვებდი, ჩემ სანატრის კარს. სატურფალი ირმა ცეცხლის ქალწული! ჰკოცნიდა შორით, როგორც ძნელ ხატს. უალერსებდა.

რქაბუდიან ირემის დარდი ჟინად ჰყვებოდა: თუ მოჰკლავდა იმ ნანატრ ნადირს, ნანატრ ირმასთანაც გაიხარებდა. იცოდა კარგად, ამ ორ ამბავს ერთმანეთში არ ჰქონდა ხიდი: მაინც ორივეს განუყრელად ერთად ხედავდა. პირადი რწმენა, ცრუმორწმუნება! სანადიროდ თუ შორს ვიდოდა, ეს ძნელი ჰაზრი წინ უძლოდა განსახებულს; ატარებდა უგზო-უკვლოდ ლაღალუდეში.

იცოდნენ შინ მისი ფიქრი ახირებული. შიგადა-შიგ დასცინებდნენ. მკილავე ღიმი. არ სწყინდა ვაჟკაცს. სწამდა, თვის ფიქრის სინამდვილეს დაუმ-

ტკიცებდა: რქაბუდიან ირმის დევნაში იპოვიდა ძვირფას თვის ირმას.

— რას სჩადი, კაცო? ამ უდარო უბედურ დარში სანადიროდ თუ აპირებ თავისს გაწირვას?!

— შინ ვერ დავსდგები! აგერ სამი დღე შემთხვევით ვარ თავისუფალი და ვცდი კვლავ ბედსა.

— განრისხებულა ძალა პირქუში; არ დაინდობს, ვისაც ხელთ იგდებს.

— არა მიშავს რა! რაც ბედისგან მიწერია, ის ვარდამხდება.

*

მართალს ეტყოდნენ: ქუფრი ძალები თეთრ სიმკაცრედ გარდაშლილიყვნენ.

— წერამ აიღო ეს ჯიუტი; რა ეშველება?!

კარგად ჰხედავდა როსან თითონაც, შეიძლებოდა მეტად ძნელი დრო მოჰსვლოდა ბოროტ დარში შინიდან გასულს; მაინც იქით მიიბრძოდა შეუდრკომელი.

წადილს ვეწევი! თუნდ ქარიც ადგეს. რა უშავ ტყეში: მრთელ თვის ძალას ვერ გარდაშლის ხეთა ბარდებში. მწვერვალისკენ წავალ პირდაპირ. სულ მალლობზედ არ დადგება არც ირემი ტეხვრა ყინვაში. კალთებისკენ ჩამოიწევეს და წავაწყდები.

მიიბრძოდა შეუგნებელი. ჭკვათამყოფელი ჩაფიქრებოდა, აიცდენდა სასტიკ ტაროსს სახიფათოსა. შურის კვირა იდგა. ზამთრის უკანასკნელ გაბრძოლების დღეები. დაიწყო ბარდნა. ნაპენტ მოცვიოდა თოვლის სიმრავლე. ჰაერთა სიწყნარე. არ იძროდა არ საით სიო.

— მთელი დღე თოვლი!

— არ შესწყდება არც მთელი ღამე: არა სჩანს ქარი.

დილით რომ ნახეს, ადღზედ აეგო. თვალთსაწდომი არემარე თეთრად მოსილი. ისევ ბარდნიდა.

— ნუ წახვალ, კაცო! ღვთის რისხვა დარში ტყეში წასვლა თავხედობაა.

— ვის ეტყვი, ვისა!

თეთრი საფარი დაჰფენოდა უზარმაზარ ტყეს. დაეხნიქა ხის ტოტები ზვინთა სიმძიმეს. თოვლის ფენებს დაეფარნათ ნამსხვრევი ღერო. ჯოყარი, ჯაგი. ზოგ ადგილას წელამდისინ დაეფლებოდა. გაუტეხად მიდიოდა, შეუფერებლივ. ვერ შესდგებოდა: გაჩერებულს დასძლევდა ყინვა. თოვლისაგან გატანჯული წვრილი ნადირი. შეხვდნენ შველებიც. საფლობებში ძლივსლა იძროდნენ. ესროლა. დასჭრა. საწყვეტებით შეუკრა ფერხნი. წამოიკიდა.

— მეყოფა ხორცად. იქნებ ხვალაც ველარ დავბრუნდე. არ მოვსცილდები, მანამ წადილს არ ავისრულდებ.

მძიმე-მძიმე მიაბიჯებდა. აღმართს შეუდგა.

— ირმის ნაკვალი! აგერე კიდევ. რამდენი მოსჩანს!

კვალს მიჰყვებოდა. მწვერვალიდან რამ გუგუნი ჩამოისმოდა.

— ეჰუ! აქროლდა ქარი. გზას ჩამიქოლავს.

ქარიშხალი ახლოვდებოდა. დატვირთული კენწერები შეირხ-შეირყნენ. წამოვიდნენ თოვლის ბელტები. ძლიერდებოდა გრიალ-ხრიალი.

— თუ გადმოგლიჯა ზღვამ კიდები და მოდის, მოჰქუხს წასარღვნელად მთელ დუნისა!

ხმაურობა თანდათან ძირს მოიწევა. დასწვდა გაშლილ თოვლს, შეატრიალა. გაყინულ ქარის სუსხი კანს უტვრევდა.

— დიდი ქარ-ბუქი. ღმერთმა ნუ ქმნას მთის შარახედ ეხლა მგზავრობა!

*

იმ მაღალ მთაზედ მოდიოდა ერთადერთი საურმე გზა მრთელ ხეობისთვინ. ძნელი სავალი. წელში სწყვეტდა აქ აღმართი ცხენს თუ ხარ-კამეხს. ლიჭყისა თუ ყინვების დროს შეუძლებელი. უდაბურ ტყეში ჩასდევდა შარა. საშიში იყო ავკაცის მხრივ. განძვინებულ ნადირისაგან. მარჯვნივ ღრმა ხევი „დევთა ბუნაგი“. მარცხნივ მოსდევდა მთის მაღალი ფრთა. ამ ზღვა თოვლში და ქარ-ბუქში იმ ძნელი გზით სიარული არ ეგებოდა.

ვაჟკაცის ფიქრი მისთვის დაჰყვა ეხლა იმ შარას, რომ ქალაქს იყო მისი ირმა. მისი მზეთამზე. სადღესასწაულოდ წაეყვანა იგი მის დედას. თვალს გააღებსო, ცოტად მაინც შეეჩვევა მეჯლიშობას. ხალხის ყრილობას. თორემ რას ჰგვანდა?! განათლებული. ეშხიანი. სიცოცხლით სავსე და ესრეთი საკვირველი განცალკეება!

გამოზრდილიყო კარჩაკეტილ სასწავლებელში. იქაც კი უწონებდნენ უკიდურეს უკარებლობას. ყველას უკრთოდა. გაუბოდა. არ იკარებდა. დიდ დაბაში ნაცნობები სულ არა ჰყვანდა. განზედ გაუდგა ახალგაზრდობა: არ გვკადრულობსო; არც ჩვენ გვაქვსო მასთან სახვეწნი. ვერ ჰშორდებოდა მხოლოდ როსანი: თვალი მოეჭრა ვაჟკაცისთვის დამკრთალ მშვენებას; საბრალო გული გაბმულიყო თმათა ბარბებში.

— რა კისკასია! ყელს იღერებს ყვავილის ღეროს. მიმოჰფანტავს ცეცხლებს თვალთაგან. აფრინდება სხვის ნახვაზედ. ვით ჯეირანი. მისი დაქრობა, დაოკება... ცეცხლი თუ არის ქალად ნაშობი.

ძნელი ის იყო, ვაჰ თუ მისთვის არ ეწერა ქალი მცხინვარი: მეტად უფრთხოდა, გაუბოდა, განს გაუხტოდა. არ მისცემდა ვაჟკაცს არც წუთს დარდის სათქმელად.

— უღრანი ტყის ნადირია სათაყვანები. დაწყნარდი ერთ წამს: მინდა სიტყვა გადმოგიგლო გაფურჩქნელ ვარდად.

რომ შეატყო ჰაბუკს ტრფიალი უფრო მეტად განზედ უვლიდა. არ გაეკარა. არც გაიკარა. შორიდან თუ მიაფრქვევდა ნაპერწკალთ ბუნჯგლებს. გარს ავლებდა როსან ტრფობის წრეს; მანძილიდან დაჰკოცნიდა ხატს მიზეზიანს.

— ნანატრი ნადირი ჩემი! დამიშვი ერთხელ სასაუბროდ, დამიდე გული. ყველაფერს გეტყვი. მითხრას უარი! არა, არა! ესე სჯობია, უმედო იმედს ვეყრდნო, ხავსსვე ვეკიდო.

— როდამდის, კაცო? დროა, აპყვე ცხოვრების ჩარხს, გზა გაიკვლიო.

— როდესაც ვნახავ იმ ჩემს რჩეულს სხვისთვის გულლიად, მაშინ მოვსძებნი განწირული ჩემს საწყალ სავალს. არა, არა!

წარმოიდგენდა თავის ირმას სხვის მკლავზედ ნაწოლს, ბასრი ხანჯალი ტრიალებდა იმის გულ-ღვიძლში.

*

— გაუტკბებათ ქალაქს ყოფნა, დიდს ხანს დაპყოფენ. მომესურვა მისი დანახვა. მე თითონ წავალ. რამდენსამ ხანს დავრჩები იქა.

— და როგორ მიხვალ სანახავად, რა ფანდს იმარებ?

— ეჰ, არა, არა! ხერხიც არ გასჭრის: გადახტება ჯეირანი დასამალავად, წარსთქვა ვაჟკაცმა

და მოისურვა განედევნა სახე მისი ჰაზრთა არედან. არ ჰშორდებოდა! თვალთა წინ ედგა გასაფრენად გამზადებული.

— დამაცა, ქალო, დამატკბე მზერით!

ვერ იქმნა, ვერ შეეჩვია მეზობელ ვაჟკაცს.

— თუ აღარ გახსოვს, ბაღლობისას ძმობილს მეძახდი? უნიანად მოითხოვდი, ჩემგან სამსახურს. ისევ ისა ვარ, შენი როსან, შენი რაინდი! ეტყოდა ვაჟი ქალის აჩრდილს, ეხვეწებოდა.

თან ძალუმად მიარღვევდა თოვლის სქელ სრეებს. გადაფრინდა მისი ფიქრი ქალის ოჯახში.

— ირმას მამა ავად არის, ხამალდი სჭირსო, რომ გაუძნელდეს....

თოვლო, ითოვლე, ითოვლე დიდის მეცხვარის კარსაო;

როცა ცხვარი გაუწყდება, მაშინ ხომ მომცემს ქალსაო....

— ჰა! ნუ ფიქრობ ცუდებს. სამოკეთოდ ემზადები და ავს ისურვებ! წადი, ეჩვენე. უამება, აქაც მნახაო.

— უნდა წავიდე! გამოვეწყობი. მბრჭყვინავ ეტლით აუვლ-ჩაუვლი. რით მიწუნებს, რა მიჭირს ვაჟკაცს?! მხრებში მოხრილი... საძაგელი მერხეები სასწავლებლებში. სულ წიგნში მზერა. ეხლაც მარად ქალღვლების შედგენა, წერა. რა მიშავს მაინც?! ვაჟკაცური ღონე... რომ მიბრძანოს, ხელს მოვუჭერ, ქვას ფქვილად ვაქცევ!

ეს სულ უნებლიეთი ფიქრები იყო მისი და ჩვენები. სინამდვილეს იმ ჟამისას მაინც ჰხედავდა, მედგრად ებრძოდა: მიდიოდა, თოვლს მიარღვევდა. ალლოთი უგრძობდა, ახლო იყო ირემთა ჯოგი. მაინც ვერ მისწვდა, ვერ მოჰკრა თვალი. უფრო შეიმღვრა ბუნდი სინათლე.

— ნათელმა იკლო, მზე გადიწვერა, იფიქრა კაცმა

და შედგა ერთს წამს: ადგილს ზვერავედა, რომ მოეაზრა, სად იყო ეხლა. ენიშნა არე: თითქმის ეწია მთის მწვერვალამდის; მისულიყო იმ ღრმა ხევის პირს, რომლის გაღმა საურმე გზა ჩამოდიოდა. ერთს ხანს დაფიქრდა. ჰაზრად ის ჰქონდა, გაევლო ხევი. შარა გზაზედ გადასულიყო.

— მერმე თუნდაც დამილამდეს, არამიშავს რა: გზას ჩავეყვები და გავალ ტყიდან.

ის აწუხებდა, ვერ ეწია თავის საწადელს. ბრუნდებოდა თავის სახლში ხელცალიერი. რას უშველიდა?! ცას ხომ ხელს ვერ შეუშვერდა, არ ითოვლოვო. ვერც ქარ-ბუქი მის ბრძანებით ჩაყუჩდებოდა. შესაძლო იყო გზამდინ აღწევა: ფერდობები ჯაგჯუგით თუ და ხეებით იყო მოსილი; ხელსა-ჯაგჯუგით და ხეებით იყო მოსილი; ხელსა და წაამწვეტა. გადაეშვა თავქვეებისაკენ.

*

ალმაცერად მიდიოდა დაბლა და დაბლა; ხევის თავს თუ უახლოვდებოდა.

— თუ ამ ქარ-ბუქში ჩემმა ალლომ სწორედ მატარა, თითქმის ხევის დასაწყისში ვიქნები ეხლა.

ეს მის ყოფაში ხელსაყრელი შეიქმნებოდა: რღმავდებოდა სათავეში ხევი უეცრად; მთების ნიაღვარს დაჰხვედროდა ფხვიერი მიწა, ჩაერეცხა ძირს სიპამდისინ. ზოგ ადგილას მაინც კიდევ გაჰმაგრებოდა, წაჰხუროდა დარანს გამოთხრილს. ქვაბულები დერეფნის სახე. ამგვარ ადგილას თუ მიაღწევდა, დასწვდებოდა მას ქარი მძაფრად.

— დაღალვასა ვგრძნობ. შეიძლება დარანის პირს ცეცხლი დავაგზნო, მანამ სხვა რასმ მოვიფიქრებდე.

აეშურა. აჩქარება საჭირო იყო: ბუნდ დღისა ნათელს ბნელი შეაჩნდა. ხევ-ღრანტეებში ხშირბინდი ჩაწვა. ბინა უნდა მოენახა კაცს დაბლობებში. გზა ახლო იყო: აღმართი და დარჩენოდა იქ ასასვლელად. მაინც ძნელი იქნებოდა განგრძობა გზისა: დასძლევდა ყინვა; ვერ შესძლებდა ბნელში სიარულს.

ზვინებად ნაწოლ ნაშუქებით აღსავსე ხევი. დარანი შავად თეთრად ნაპენტ არემარეში. მომალლოდ იყო. ვერ აავსო იგი ნაბუქით. მიატანა. გადაქელა ნამქერის ზვინი. მოეჩვენა, ქოხში შეველო.

წამს დაასკვნა იქ დაღამება. დააგდო შველი. მოიხსნა გუდა. მიაყუდა თოფი კედელზედ. გამოვიდა ხანჯალ მოწვდილი. განეზრახა ცეცხლის დაგზნება. ჰკაფავდა წვრიმანს, ჰკრეფავდა ნარიყს. აგროვებდა დარანის პირას. ნაძვს წააწყდა ნამქერში ჩაფლულს. დასჭრა ტოტები. დააცურა. დარანის პირას გადო სათარი. გაჟღენთილ ძონძს მისცა წუმწუმა.

გაცოცხლდა ცეცხლი; აპრიალდა; იწყო გუგუნი. ბუნჯგალ-ბუნჯგალი ნაპერწყლები შადრევანე-პოხიერ ნაძვმა მხიარულ ცეცხლს გული გაულო.

ქიაკოკონა უფსკრულ ღრანტებში. ხელ-პირს ითბობდა, ევლებოდა ალთა ზვირთებში. ცეცხლს სცემდა თაყვანს. ეხლა ველარას დააკლებდა ქუფრის მძლავრობა. ცხოველ ცეცხლში გამოკრთოდა შემოქმედის სახე ნათელი. მის პირის სხივი აღნობდა ყინვას, მიმოაბნევედა ბნელეთის ლაშქარს. გამოშიგნა ნანადირევი. ნალვერდალებზედ ღვიძლი დააგდო. ნაყრდებოდა. შესვა არაყი. მოუწონა მოფიქრება საკუთარ თავსა.

— თუ ჯიუტად დასდგომოდი გზას, ამ ქარ-ბუქში დაინთქებოდი.

გრიანებდა ქარიშხალი. შრიან-ხრიანით გადმოჰქონდა თოვლი ნაყინი.

— მაინც ჩადგება: შიგადაშიგ წყდება გუგუნის.

დაბლვნილიყო ქარისაგან ცის საბურველი. ღრუბელთა ტალღებს ეფარვოდა მიმცხრალი მთვარე. დაეტყო კაცს დაღლილობა: ძილი ხელს ჰრევდა. ფხიზლობდა ძალად, თავს იმაგრებდა. შეშას აყრიდა, არ ჩაქრესო ცეცხლი კეთილი.

— რიჟრაჟისას უსათუოდ სანადიროდვე! ვგრძნობ ვეწევი ჩემსა სურვილს, შევიბყრობ ირემს, რქაბუდიან წინამძღვარს რემის, წარსთქვა ვაჟკაცმა

და მის ფიქრი გარდაფრინდა მის ირმასაკენ. უაღერსებდა, უტკებოდა ფიქრთა არეში. მისი ოცნება ყვავილთ ჰკრეფდა თოვლის ზვინებზედ, ფერხთ ქვეშ უგებდა თავის სატრფოს სუნნად სუნნელებს.

*

მფრთხალი ირმა კი... მძაფრ განსაცდელს განიცდიდა ქალი იმ წუთში:

შესწუხდებოდა მამა სოფელში. ეცნობებინათ, უკანასკნელ დღეში არისო. დახანება არ იქნებოდა. შეხვდათ ბედზედ სალთა ეტლი იქ მიმავალი. დაიქირავეს. რიჟრაჟზედვე გამოემგზავრნენ. თვალნათლივად ჩამოვიდოდნენ, თუ დარი არ შესწრებოდათ სწორედ ღვთის რისხვა. თოვლდა უწყლოდ. გზა აევსო თოვლის ფენებით. წყვილ ბედაურს ძლივს მოჰქონდა მსუბუქი ეტლი. შეუდგნენ აღმართს. ველარ იწევდნენ. იფლობოდნენ თოვლის ზვინებში.

— არ კი დაგვიდგნენ ეგ ცხენები და არ დაგვლუბონ.

— რა ბრძანებაა! ღონივრებია. როგორმე თუ ავალწიეთ მთის მწვერვალამდინ, მერმე იქით თავისთავად იგორებს ეტლი.

ადიოდნენ სვენებსვენებით. ცოტა რამ გარჯაც, სამშვიდობოს გადაჰხედავდნენ. შემობინდდა. დაემვნენ თავქვე. ადვილი იყო ეხლა წინ სვლა, თუმცა ისე არ, როგორც ეგონათ. მეტად ბევრი თოვლი დაედვა. გაძლიერდა მალლობაზედ ქარი. ქვიშასავით აყრიდა ნამქერს; გაავსო ეტლი. ვერ ჰშველოდათ ვერაფერი სათბილობელი. გათოშილი დედა-შვილი ცრემლით სტიროდნენ. აჩქარებდა მეეტლე ცხენებს:

— გაისარჯენით! ეგებ გადავრჩეთ ამ გზას დაწყველილს.

წააწყდა ცხენი რასმე საბრკომს და გადიშლართა: გელაბი თუ ყოფილიყო თოვლში დაფლული. წივილ-კივილი. ეცადა კაცი აყენებას. ცხენიც იბრძოდა. ველარ წამოდგა. ჩასხნა ღვედები. შეუჯდა მხრებში. წამოაყენა. გაატარა რამოდენიმე. სამ ფეხზედ იდგა. მიკინკილებდა. ნალოსავით ასთრეოდა ფეხი მეოთხე. ისევ წაიქცა. ჩააზილა პატრონმა წიხლი. ჩასხნა მეორე და შემოახტა.

— რას სჩადი, კაცი? მარტო გვტოვებ უდაბურ ტყეში?!

— მე ეგ ცხენი ჩემს თავს მერჩინა. ჩავალ დაბაში, ცხენის ურემს წამოვიღებ, ხალხს წამოვასხავ, გადმოსძახა მიმავალმა

და მიეფარა.

— უიმე, დედა! მიეკრა ქალი. მგლები შეგვკამენ.

— გენაცვალეთ, გავიყინებით! დასძახა დედამ. მიიყუჟნენ ეტლის კუთხეში, მიეკრნენ ერთურთს.

— სად წაუხვალთ ისეთს ყინვას, ხეებს რომ ჰხეთქავს?!

— ვერ ასცდებით ნადირთ კბილებს, მხეცნი დაგჭამენ!

დამდგარიყო ჟამი მათის აღსასრულისა.

გზის ქვევით ხევში მონადირე გამთბარიყო დაგზნებულ ცეცხლზე; წაევახშმა, ჩაერეცხა არაყით ყელი და ეხლა წყნარად გაჰყურებდა ალთა შუშპარსა. მხოლოდ ის ლა აწუხებდა, ძილმა თავი არ წამართოსო.

— საშიში არის: ჩაქრება ცეცხლი; მგელთა ხროვა სუნით მომაგნებს და...

*

— ბუუუ! შორეული მგელთა ღმუილი. ხმაურობა ახლოვდებოდა. წამოხტა კაცი. მუგუზლები გაასწორა, დააყარა ახლად ნარიყი. აპრიალდა, ავარდა ალი; გაანათა მიდამო ბნელი. კაცმა თოფი მოიმარჯვა და გაინაბა. თუ შეაფრთხო ხროვა ნათელმა. მოშორებით მოძუძულდნენ. აჩრდილივით მოსჩანდნენ თეთრზედ. აღმართალმართ აეფინნენ, გზისკენ არბოდნენ.

— შეჩვენებულნი! ლემის სუნი ალბათ იკრეს, მიისწრაფიან.

მზირად იდგა, ყური მიებყრო. კვალად ღმუილი. განწირული კივილი ძნელი.

— შესჭამეს კაცი! წარსთქვა როსანმა.

და დაცალა თოფი, კიდევ მეორე. ისევ გატენა. გაეშურა. თოვლს მიარღვევდა. აატანა, ავიდა მალლა. ეტლს ზედ წააწყდა. მოშორებით მგლების ხროვა რალაცას ჰფლეთდა. ორივე ტყვია დაახალა შეჯგუფულ მხეცებს. დაჭრილთ ყმუილი. მძორებს ათრევდნენ. თქლაფათქლუფი გამოისმოდა. გატენა თოფი.

— გადმოდით ჩქარა!

— ვინა ხარ, შვილო?

— როსანი, შენა?!

— ირმავ, შენა ხარ?! ეგ დედა არის?

წასწვდა დედაკაცს, გადმოითრია. ქალს სტაცა ხელი. ლაფანივით მოჰყვა ვაჟის მკლავს.

— ვგონებ გული შეუღონდა. ჰარიქათ, ჩქარა აიყვანა. უგრძნობელად მოღვედილიყო.

— ჩამკიდე, დედა, სარტყელში ხელი!

ხევს მიეფარა. მიისწრაფოდა. დედაკაცი თრევით ჩასდევდა. კაცს აძრწუნებდა, ნადირები არ დამეცნენო. გრძელი წამები. მაგრა ეჭირა ტვირთი ძვირფასი. წყალწალეხული დედაკაცი ჩასქდობოდა ორივე ხელით. ჩაათავა ძნელი თავქვე, უწია ბინას. ჭახ-ჭახებდა ცეცხლი მგზნებარე, მხიარულობდა.

— ნულარ გეშინისთ! აბა ჩქარა მომეშველე: ვგონებ გვიკვდება.

შიშისაგან ირმას დედას გონი აჰხდოდა. ველარ იძროდა. აფეთებდა უაზროდ თვალებს.

— გონს მოდი, დედა, სამშვიდობოს ვართ. მომეშველე: მიკვდება ირმა!

როგორც იყო გონს მოვიდა, ააჩნდა ჰაზრი. გაძრა ხელები. ეშველებოდა: უნაკლულოდ ასრულებდა კაცის ბრძანებას. უკიდურეს განსაცდელმა შებერტყა როსან. მოიკრიფა გონების ძალა, დაიწყნარა ჟამიერად გრძნობა ქაფქაფი: ნებისყოფა აამოქმედა. უბრძანებდა საკუთარ თავსაც.

გაიძრო ქურქი, ძირს დააგდო^{*}; გაყინული ზედ დააწვინა.

— გაჰხადე ფერხთა! თოვლით უზილე! ნელა! თითონაც ქალს მაჯებს უხელდა, თვის უბეში უთბობდა ხელებს.

— ამენდ მათარა. აქ მომაწოდე!

— გაუხსნა კრიჭა. რამდენიმე წვეთი არაყი. შეინძრა ქალი. დაეტყო სუნთქვა.

— შეიძლება მცირეოდნად ცეცხლთან მივწიოთ. დამშრალიყო გრძელყელები, ისევ ჩააცვეს. დახურეს თბილად. მხიარულად გიზგიზებდა ცეცხლი ცხოველი, უბრუნდებოდა გულწასულ ქალს თანდითან სული. მქრალდებოდა ფერი წალურჯო. ვარდის ფერი თანისთანად ეფინებოდა. ინდონთა ჯარი შეარხია, აათამაშა. შეიშმუნა. ამოიოხრა. ისევ გაყუჩდა. ოდნავ ღია თვალებიდან ჰაზრი მოკრთოდა. ხედვით ისარი შესდგებოდა რაინდ როსანზედ. გამთბარ გრძნობათ სხივი მლიმარე. ფანცქალებდა ვაჟის გული სანატრელი შიშით.

— ჰე. მაკვირდება. აგერ ფხიზლდება. ეგებ ტურფამ მოიბრუნოს თვის გული ჩემსკენ. თითქო რიყრაყი. ვაჰ თუ სიზმა... არა! არა! ზმანებად ნუ გარდამექცეს ტკბილი სინამდვილე.

ვასილ ბარნოვი.



გ ვ ა რ თ - ს ა მ ხ ი ლ ა ვ ი

(რომანი: ღმუილთა და ჯიშთა გამოფენა)

„ხამთარი დაეცა სოფელს. გაიყინა მდინარე. იარე სადაც გინდა. ყინვაა და აირია გზები.“

დამძიმებული ცა ეშვება დაბლა. რომ შეჭხუთოს სოფელი. იქნებ დაახლოს კიდევ: მოხრილი სახლები ბარდაყში მალავენ თავს გასათობად.

ამ დროს შევიწროებული ხალხი გამეტებით ჰკბენს ერთმანეთს: ტანი სივდება გესლით და ბრაზით.

სალამობით. როდესაც ველური იხვეები ათავებენ გადაფრენას. უკანასკნელ სახლში გაისმის შეშინებულ ქოფაკის ყეფა: ამით ყველაფერი თავდება და გგონია. აქ არ არის დედამიწა და დედამიწა არის სხვა ქვეყანაში.

ავადმყოფი ამნაირად ესაუბრება თავის გონებას:

„სოფლის დასასრულივით გაისმა ძაღლის ყმუილი. ველურმა იხვეებმა მხრებით მოიტანეს ღამე და დედამიწა სხვა ქვეყანაში გადაზიდეს; რჩება დაღამებული ყინვა და რადგან არ არის გზები—მინდვრებში დაეხეტება. გარედ გაგდებული, გაცვეთილი სული:

მერე? ეს არის სული?

„ვინ იცის“!

ავადმყოფია მღვდელი ჯიბრაილ.

მას ორშაბათს შეუსრულდა სამოცდაორი წელი: გაცივდა შემოდგომაზე.

მოდინ კუდიანი დედაბრები და მჭირდავი დედაკაცები: ისინი სხედან გაუნძრევლად: აქნევენ თავს და, როდესაც საჭიროა ჩიფჩიფი, ხელს მიიფარებენ უკბილო ბაგეებზე. რომ არ გაუკილონ დამღრალი ენა. მღვდელს არ უყვარს მუსაიფი და იძულებულია ათას სიბრიყვეზე იფიქროს:

— ფუი სისულელე!—

ჯიბრაილ ისწორებს სათვალეს და კითხულობს ზღაპრების წიგნს.

ბუხარში ღმუის ქარი. ნაცარში ჰგდია კატა: ბოლავს სანათი.

— ძალიან ჩამობნელდა რალაც: ნავთი არ უნდა იყოს ამ მუდრეგში.—ავადმყოფი ყრუდ ახველებს.

უწინ შავი წვერები ჰქონდა მამა ჯიბრაილს: უყვარდა ღამაზი ხალხი: ეჯავრებოდა მათხოვრები და წირვის დროს იცინოდა მაცდურად. როდესაც მარტო იყო, შეეძლო დაფიქრებაც: ემარჯვებოდა სიტყვა:

— სისულელე!—

და სიამოვნებით ებაასებოდა ღორებს, ამ მურტალ პირუტყვებს.—ოციოდე წლის უკან მღვდლის ოჯახში დაიბადა გოგონა. მაშინ ჯიბრაილ იცინოდა და ბუტბუტებდა უცნაურად. მთელმა სოფელმა გაიგო მალე, რომ:

მღვდელს გარდაეცვალა მეუღლე მშობიარობის დროს. ბავშს დაერქვა თოლა. ხუმრობის ხასიათზე ჯიბრაილ ბავშს ეუბნება ასე: „სისულელე!—რა გატირებს. მეტი ყურადღება? რა თქმა უნდა, შენ თუ დაიბადე. ავშენდი! ვაი შენს პატრონს“—ერთი სიტყვით ბავშს გაჩენას აყვედრის!—ან უგნური ვინმეა, ან დიდათ ბრძენი—ხოლო კვირას, საათის სამზე, შესდგება დაკრძალვა უდროოდ გარდაცვალებულისა, ასპირიონ თემუყვას ნეშტისა, რასაც ღრმა მწუხარეა სასა შინა მყოფი—აუწყებს მრევლს „ბლალოჩინი“ ჯიბრაილ. სწორედ კვირას, ასწიეს ბაირალები და კუბო გამოიტანეს სახლიდან. ქალები მიჰყვებოდნენ და ანუგეშებდნენ მღვდელს.

„მართალი გითხრა, ჯიბრაილს ეცინებოდა გონებაში“. კაცები, რომელთაც კუბო მიჰქონდათ, კოჭამდე იფლებოდნენ ტალახში და ცხედარი რომ არ დავარდნოდათ, უცნაურად იგრიხებოდნენ წელში. ესეც სასაცილო იყო: შემდეგ ჯიბრაილ ფიქრობდა:

„ნეტავი რამდენი ფუთი იქნება, ცხონებული თემუყვას ასული ასპირიონ, ასე რომ უჭირთ მისი ზიდვა ექვს კაცს: ვთქვათ—სათნო ქალი იყო და ძალიან ზმელი. მაგრამ უნებლიე ცოდვები ამძიმებენ ალბად“.

როდესაც კუბო ჩაუშვეს მიწაში, ჯიბრაილმა ამოიოხვრა: — ოჰ-ჰო! — და თავი დაჰხარა. სქელმა დედაკაცმა, რომელსაც დაჩოქილ მღვდლის აყენება უნდოდა, ძუძუებით მიეზღინა ჯიბრაილს; ჯიბრაილმა მაშინ მეორედ ამოიოხრა და თავი უფრო დაბლა დაჰხარა; ზურგში კი უვლიდა ქრუოლა და სინჯავდა დედაკაცის მკერდს.

ოცი წელია მას შემდეგ.

მამა ჯიბრაილ ჯანსალი კაცი იყო და კურაობდა.

თოლა იზრდებოდა მეზობლებში და არ იცოდა კარგად, მღვდელი ჯიბრაილ მამა იყო მისი, თუ სხვა ვინმე.

თოლა დარბოდა მინდვრებში მხედაკრულ მუსლებით: თავის დროზე გაევისო გულ-მკერდი და თვალები პირდაპირ გაუჩერა მამაკაცს.

შეიქნა სიყვარული.

შემოდგომაზე—ლამეები წამოვიდა თბილი; ნისლი ჯერ ხეებს მოეხვეოდა, შემდეგ ჩამოდიოდა დაბლა და ეფინებოდა მდინარეებს, მინდვრებს.

თოლა უსმენდა მამაკაცს გაყუჩებული; თოლას აბრუებდა სიგარის ბოლი; როდესაც მამაკაცი მაგარ მკლავებს მოჰხვევდა წელში, თოლა ნაბავდა თვალებს; ჩქარი სუნთქვისაგან ეხსნებოდა ტუჩები და უჩნდა კბილები.

თოლა გახდა ცოლი, რადგან მამაკაცს მაგარი ხმა ჰქონდა, ცოტათი სულელიც იყო ხანდახან და სახელად ერქვა თევდორე, ან თედო:—სულერთია!

თედომ თოლა აწვალა; უამბო თავისი ოჯახის თავგადასავალი და ბოლოს უჩვენა ძმის სურათი:

— აი ეს—ლევანი: გადირია 26-წლისა და მოკვდა ოცდაათისა; მე ვამყობდი, რომ ხელი ძმა მყავდა და მიყვარდა ძალიან.

თოლას მოეწონა სურათი.

— გცემდა?.

— ხანდახან—ჰო. ოთახში სადილს შეუტანდი და ყოვლთვის მთხოვდა, ცალი ხელი მაინც გამეხსნა; მერე განთავისუფლებულ მუშტს სახეში დამარტყამდა და ხარხარებდა; კეთილშობილი არ იყო სრულიად!

— საბრალო!—

— ვინა? ლევანი?—გაოცდა თედორე, მერე უცებ დაეთანხმა:—დიახ, დიახ!—და გაიცინა.

თოლა არც მოუკითხნია ჯიბრაილს არასოდეს, არც გაუზრდია, როდესაც წარუდგინეს სიძე, რომელიც დღესვე უნდა წასულიყო თავის ქალაქში და თან წაეყვანა თოლა, ჯიბრაილმა გამოცდით ჩაჰხედა თედორეს; თედორემაც ჩაჰხედა მღვდელს და გაიცინეს ორივემ ერთად; იცინოდნენ აშკარად და ჩასცქეროდნენ ერთმანეთს თვალებში.

— სისულელე!—ხითხითებდა ჯიბრაილ და ფიქრობდა:—„მამაძალი ვინმეა“.

— დიახ, დიახ!—ეთანხმებოდა თედორე.

მერე ორივე ერთად დალოცა: „იახრებდეთ და მრავლდებოდეთო“—და სიძეს უწოდა:—ჩემო თედო.

მეორე დღეს ისევ იცინოდა ჯიბრაილ:

— წავიდა თოლა, ჰე-ჰე-ჰე! მისი ბავშობა არ მინახავს, გაზრდა არ მინახავს, ვნახე მხოლოდ წასვლა და გული დამწყდა!

ეხლაც იცინის ჯიბრაილ დასუსტებულის ხმით; შუბლზედ ულაგდება მოწყენა და იგონებს: „მართლა და, რა კარგი გამხდარა ჩემი შვილი! შეუმჩნევლად გაზრდილა. სადგურზე (როდესაც მიდიოდნენ თედო და თოლა) ჯიბრაილმა თოლა გულში ჩაიკონა და აკოცა; როდესაც ჰკოცნიდა, თედოს გაჰხედა და შენიშნა, რომ თედო თაღლითად უცქეროდა ჯიბრაილს და იცინოდა ცუდლუტად, მერე თავს მოერია და სათნო სახე მიიღო.

— თოლა, თოლა! ჰე-ჰე-ჰე!

გაყვითლებულ ხელში მამა ჯიბრაილს უჭირავს ზღაპრის წიგნი და კითხულობს. ხანდახან წიგნს და-

უშვებს და სათვალეში იცქირება.

„ცხადია, გუშინ შეუსრულდა მას სამოცდაორი წელიწადი; სხეული გამოეფიტა და ავად შეიქნა. ვერაფერი სანუგეშო მოვლენაა!“.

ეხლა მისი ოთხკუთხი, ჩაღრმავებული შუბლი იჭმუხნება და ხეობებივით იგრაგნებიან ზედ ძარღვები. ავადმყოფი ბუტბუტებს:

— წესია ასეთი—დაბერებული კაცი სიკვდილს მიაქვს... მაშ, ამიხსენით მე, სულიერო შვილებო, სიკვდილის ამბავი!—

ჯიბრაილ ოფლში სცურავს; შუბლი დაუორთქლავს ავადმყოფურ სიციხეს და სიციხე ჰბადებს სიკვდილის განმარტებას; თითქო ჯიბრაილის ყველა სულიერი შვილი მხოლოდ სიციხე იყოს. ავადმყოფი ბორგავს:

— არა, არა... რაღაც სხვა!

ჯიბრაილმა წიგნი გადისროლა და ჩაემხო პირქვე; ზურგი ერყეოდა და მოისმოდა გამუდმებული:

მუუ მუუუ...

ჩაბნელებულ კუთხეში, ფშვინვით გამოელვია დედაკაცს—დავიწყებულ სულს. დავიწყებულმა სულმა ყური დაუგდო შფოთვას და შეებრაღა ავადმყოფი:

ჯიბრაილ! ჯიბრაილ!

— ჰმ!

— მამა ჯიბრაილ!

— ჰმ?

დედაკაცმა ერთხელ კიდევ სცადა დაძახება:

— ჯიბრ... მაგრამ მღვდელმა გააწყვეტინა!:

— მომასვენე! მომასვენე, თუ ქალი ხარ!

დედაკაცი გადაბრუნდა მეორე გვერდზე. თრთოდა ავადმყოფი მღვდელი სიციხეში ჩაწოლილი და ვილაც, ჩამჯდარი გონების მეორე ნაპირას, თერმომეტრის ხაზებით ნიშნავდა ფიქრების გზას:

„ასეთ დროს, ახალგაზრდა სხეულს უნდა მოჰკიდო ხელი და ყველაფერი გაივლის; ჯანსაღი ტანი, ახალგაზრდა... ეს დედაკაცი კი—ფუჰ, მართლაც დავიწყებული სულია! ნეტავ თუ ჰლირს ფიქრი ამაზე? სისულელე! სისულელე!“

მოხუცმა ჯიბრაილმა დასტენა ჩიბუხი და გამოუშვა შავი ბოლი: ოფლიან თითებზე მიეკრა თუთუნი; რამდენიმე ხანს ობლად იცქირებოდა, შემდეგ ამოიოხრა:

— ოჰ, ასპარიონ; ჩემო სჯულიერო მეუღლე,—მაფიქრებს შენი და ჩემი ბედი.

ოთახში საეჭვო მყუდროება ჩამოწვა:

„იცით რა ჰქნათ? მოაგროვეთ ოთახის გაყუჩებული ჰაერი და ჩაუშვით აი, იმ მხრჩოლავ ლამფაში, რომ დაიწვას ალზე—ჰე-ჰე-ჰე“.

მოხუცის ხითხითი მისწყდა და ბუხარში ჩამოინგრა ქარი.

დილას ჯიბრაილ დამშვიდებული იყო და ფიქრობდა ზამთარზე:

„ხამთარი მიდის ნელა და ეს კარგია! მალე ამოვა მზე! ატყდებიან ღვრიე და სქელი ღელეები და დაიწყებენ ღრიას; მსუქან წუმპეში ჩაინარცხება ალვები, ჭანდრები, თხმელები და მოვა გაზაფხული. მერე?—ხეებზე გამოჩნდება შეკუმშული ყვავილები; ძალიან თეთრი და პატარა გოგოებივით მორცხვი ყვავილები; ფუტკარი დახეთქს მათ და წაიღებს ყველაფერს, ყველაფერს“.

ჯიბრაილ იცქირება მსუნაგ თვალებით; დავიწყებული სული სწმენდს იატაკს და აჩენს ბებერ წვივებს.

დაბიდან მოვიდა აქიმი; აქიმი რალაცათი უკმაყოფილო დარჩა; რალაც გამოსწერა, ვილაც დაარიგა.

მოვიდნენ მეზობლებიც; დაუკრეს ჩონგური, ზედ ამღერებდნენ შემკრთალის ხმით; მერე წავიდნენ და ასე ყოველ დღე.

სამოცდა ორი წლის შესრულებიდან—მეოცდათორმეტე დილას დავიწყებულმა სულმა შიშით გაშალა ხელები:

—უი ჯიბრაილ...

ავადმყოფმა არა უპასუხა რა; დედაკაცი დაფაცურდა:

— ეხლავე ღვდელს მოვიყვან!

— ჰო! — ხმამალა ამოიოხრა ჯიბრაილმა და გულკეთილი მანდილოსანი გაიქცა.

ათი წუთის შემდეგ მღვდელი ჯიბრაილ აშფოთდა; ხელში ჰკუმშავდა ზღაპრის წიგნს და ლულულულებდა:

— დამიწყევლიხართ! დამიწყევლიხართ! ამინ! ოხ, სამიწე—მუშტი დაირტყა თავზე; მერე თვალები

გაეყინა და სრულიად შეუმჩნევლად შესწყვიტა სიცოცხლე.

წერტილი!

როდესაც მოცვინდა დედაკაცების ხროვა. ყბა შავი აბრეშუმით აუკრეს, თორემ პირი დაღებული დარჩენოდა; ყვითელი კბილები უჩნდა და ხელში ჩაჭერილი ჰქონდა წიგნის ნახევი; რა თქმა უნდა. ისიც გამოაცალეს, რადგან არსად ნახულა კაცის დამარხვა, რომელსაც ხელში წიგნი უჭირავს.

მკვდარს გაეზარდა ფრჩხილები; ლოყაზე და შუბლზე დაედო საეჭვო ფერი.

ხალხი უფრო მეტი მოდიოდა ამ დროს და ისევ მიდიოდა უკან; იდგა მზიანი დღეები და სარგებლობდნენ ამითი.

სოროებიდან გამომძვრალი ხალხი სცდილობდა გაეშრო სინესტე ძვლებში და დაკეცილ შუბლზე, — ეს ძალიან საჭიროა.

ისიც საჭიროა, ამ დროს რომ ჰკერავდნენ ფლასებს მღვდლის ნასახლარში; ხარშავდნენ ლობიოს, ჰგზავნიდნენ დეპეშებს ყოველგან, ტიროდნენ და ათევდნენ ღამეს.

ბოლოს, მკვდარი დამარხეს; დაბრუნდნენ სახლებში ყველანი: დასტოვეს მიწა-სასაფლაო, სადაც განისვენებს:

ბევრი სალამი, ბევრი აზრი და ჭეშმარიტებად ქცეული მამა ჯიბრაილ; იქავე ჯვარი—უბრძანეთ შენდობა.

დეპეშამ თოლა აატირა;—თედო ვერ აატირა.

სტეფან კასრაძე.



უცნაური მოთხრობები

მამა-ღაპრის კვერთხი

ერთ დილას ტფილისის ობსერვატორიის დირექტორის კაბინეტში, მოკლე მეცნიერული ინტერვიუს დამთავრების შემდეგ, ასეთი დიალოგი გაიმართა ვინმე უცხო ინტერვიერსა და დირექტორს შორის:

— მაშ, თქვენი აზრით, მოქალაქე პროფესორო, ატლანტიდის დაღუპვას არ განუახლებია ცხოვრება დედამიწაზე. ნება მომეცით, არ დაგეთანხმობ... თუმცა უფლება არა მაქვს, მეცნიერების სახელით ვილაპარაკო, მაგრამ მე მაქვს ჩემი საბუთები ვიფიქრო, რომ ის კატასტროფა იმავე მიზნით იყო გამოწვეული, რომელიც ქვეყნად დაბადებასა და სიკვდილს ავლინებს. დამეთანხმეთ, რომ აუტანელი საშინელება იქნებოდა, ატლანტიდის ცხოვრება რომ აქამომდე გაგრძელებულიყო. ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში იმდენი რამე გამოაშკარავდებოდა, რომ ცხოვრებას თავისთავად აზრი დაეკარგებოდა. ეს კი დაუშვებელია. კატასტროფის შემდეგ კი კიდევ დიდხანს შერჩა ცხოვრება იმ საფეხურებს, რომლებზედაც შეგნება მცირე როლს თამაშობდა, თუ შეიძლება ასე ითქვას... დღეს კი ჩვენი ქვეყნისათვის კვლავ მომწიფებულად უნდა ჩაითვალოს ის დრო, რომელშიაც ატლანტიდის კაცობრიობა იმყოფებოდა დაღუპვის წინ... ჩემის აზრით, ბატონო პროფესორო, აუცილებელია იმ კატასტროფის განმეორება, რომ ჩიხში არ მოვექცეთ და ცხოვრებამაც თავისთავად აზრი არ დაკარგოს.

— სამწუხაროდ, მე კარგად არ მესმის თქვენა ლოდიკა... მაპატიეთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ თქვენი მსჯელობა ამცდარია მეცნიერულ ნიადაგს. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, გაუგებარიცაა... რამდენადაც მიგიხვდით, თქვენთვის გარკვეული უნდა იყოს ატლანტიდის დაღუპვის მიზანიც კი... ჩვენთვის კი ამ მატერიკის დაღუპვის, ან არსებობის ფაქტიც კი სადაო. მიზანზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, მეტი რომ არა ვსთქვათ...

— თუ იმაზე მეტ დროს არ წაგართმევთ, რამდენიც ჩემს განკარგულებაშია, ერთი შეკითხვით კიდევ შევაწუხებო.

— ბრძანეთ.

— სტიქიური ხასიათის იყო ატლანტიდის კატასტროფა, თუ სხვა კატეგორიის— უფრო რთული— მიზეზის შედეგი?

— ეს კატასტროფა რომ ფაქტად მივიღოთ, სხვა მიზეზს, რა თქმა უნდა, ვერ მოუნახავთ, გარდა სტიქიურისა...

— უკაცრავად... მე კი მწამს, რომ ის კატასტროფა ხელოვნურად იყო გამოწვეული... უფრო უკეთ რომ ვსთქვა, მეცნიერულად.

ამ განცხადების გაგონებაზე დირექტორი მაშინაღორად წამოდგა და შეშინებამდე გაკვირვებული თვალებით შეხედა უცნობ მოსაუბრეს.

— თქვენ უთუოდ გაიფიქრეთ, რომ გიჟთან გაქვსთ საქმე.— წყნარად და სრულიად უბრალოდ განაგრძო ახალგაზრდა ინტერვიერმა და დირექტორს თვალები გაუსწორა.— ჩემი შეცდომაა, რომ ასეთი შეუძლებელი აზრი მოგახსენეთ, თუმცა ჩემთვის ის ქეშმარიტებაა... უკაცრავად, ნებას მომცემთ კიდევ შეგეკითხოთ... ვეცდები, საგანთან ახლოს ვიყო... თქვენ მოგეხსენებათ, რომ ტფილისი მოქცეულია მიწისძვრის ხაზზე, რომელიც სარტყლად აქვს შემორტყმული დედამიწას კუბიდან დაწყებული ვიდრე ისევ კუბამდე, როგორც ამას ოფიციალური მეცნიერება ამტკიცებს. მინდა გავიგო, არსებობს თუ არა გარკვეული პუნქტი, ან წერტილი, რომლითაც ტფილისი ამ ხაზს უერთდება?

— ტექტონიური ხასიათის მიწისძვრის ხაზის არეში მართლაც მოქცეულია ჩვენი ქალაქი... ხოლო მე არ მესმის, რანაირ წერტილზე ლაპარაკობთ თქვენ...— დირექტორმა ისევ დაიჭირა თავის ადგილი. მის გაკვირვებულ სახეს ახლა ცნობისმოყვარეობაც გადაფენოდა.

— მე სათავეს ვგულისხმობ, ან თუ გნებავთ, ისეთ ადგილს, საიდანაც უფრო ადვილია მთელი ხაზის გაყოლებაზე ლითოსფერასა და პიროსფერას ამოძრავება აღსარევად.

დირექტორი ნაკბენივით წამოხტა.

— უკაცრავად, ჩვენს შორის საუბარი დამთავრებულია.— ესროლა მან უცნაურ კაცს და კარებს მიაშურა.

— კიდევ ერთი შეკითხვა, მოქალაქე პროფესორო, და თავს დაგანებებთ... პატიოსან სიტყვას გაძღვეთ.— მიაძახა ალელვებით იმ კაცმა და წამოდგა. ადგა თუ არა, პიჯაკის უბის ჯიბე რაღაც მძიმემ ისე მაგრა დაუხნიქა ძირს, რომ უმაღლეს ორივე ხელი მიაშველა და პატარა ოთხკუთხიანი რაღაც საგანი ზედ გულთან მიიმარა.— ერთი შეკითხვა, პრო-

ფესორო, მხოლოდ ერთი! ძალიან გთხოვთ!—ახლა იგი თავად შეშინებულსა ჰგავდა და გაფითრებულ სახეზე ალის ენის მსგავსად აღბეჭდოდა უიდუმალესი განზრახვის საშინელება.

დირექტორი შესდგა.

— გაქვსთ თუ არა რაიმე ცნობა მამა-დავითის საყდრის შესახებ ამ ჩემს წინა შეკითხვასთან დაკავშირებით? ან, იქნება, შეგიძლიათ მითხროთ, ატლანტიდის დროს იდგა თუ არა ეს საყდარი იმავე ადგილზე, სადაც ახლა სდგას?

მაგრამ დირექტორს აღარ შეუცდია. სწრაფად გაალო კარი და გავიდა.

ეს უცხო კაცი მართლა გიჟსა ჰგავდა. როცა მარტო დარჩა ოთახში, ძალიან დაღალულივით სკამზე მოწყვეტით დაეშვა და თვალები დახუჭა. ასე დარჩა უძრავად. სახე მუმიასავით გაყინული ჰქონდა: ერთმეტყველიანი. ხელები გულზე დაკრეფილებივით ეჭირა: ჩხირივით გამხმარი თითები ფოლადის სალტესავით შემოევლო ტანსაცმელის გარედ იმ რალაც მძიმე საგნისათვის, რომელიც უბის ჯიბეში ჰქონდა, და ზედ გულთან მიემაგრებინა.

კარგა ხანი გავიდა. მერე—რაკი უცნაური სტუმარი აღარ მიდიოდა—დირექტორი ფრთხილად შემოვიდა ისევ თავის კაბინეტში.

— დიდი დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, პატივცემულო პროფესორო,—დაიწყო ბოდიშით უცნობმა თვალების გახილვით, მაგრამ მჯდომარე.—მე კარგად მესმის თქვენი გაოცება. ვწუხვარ, რომ თავის გამართლება არ მომიხდება,—ვინაიდან ჩემი სიმართლის დემონსტრაციას მაშინ მიეცემა ადგილი, როცა მისთვის არავის ეცლება და მათ შორის თქვენც. ვიცი: ეს კაცი გიჟიყო, ფიქრობთ თქვენ. იქნება, ახლა თქვენ მართალი ხართ, მაგრამ უნდა დამეთანხმოთ, რომ ქვეყნიერების შეცნობა მეტწილად სხვა გზით სწარმოებდა, ვინემ თქვენი გზაა, და საიდუმლოებათა ფარდა უფრო უშუალო მიხვედრას აუხილია, ვინემ მეცნიერულ კვლევას. გარდა ამისა თქვენ ვერ იტყვით გადაჭრით, რომ ატლანტიდის დაღუპვა წინასწარ არავის სცოდნოდა... ჩემი მტკიცება, რომ ის დაღუპვა შეგნებულად იყო გამოწვეული, თქვენ სიგიჟეთ მიგაჩნიათ. თქვენ, რა თქმა უნდა, არც ის გჯერათ, რომ თვითონ ცხოვრებისათვის აუცილებელია დღეს განმეორდეს ისეთივე კატასტროფა, რომელიც ატლანტიდას შეემთხვა... საჭიროა ეს დღეს, რადგანაც თუ ცხოვრება თავიდან არ დაიწყო... თუმცა ამაზე უკვე მოგახსენეთ. ახლა მომისმინეთ: მე ხელთ მიჭირავს ისეთი აპარატი, რომელსაც შეუძლია ერთი წამის განმავლობაში ისეთი ძვრა გამოიწვიოს ტექტონიური მიწსძვრის ხაზის მთელ გაყოლებაზე. რომ წონასწორობის კანონის ძალით ჩვენი დედამიწა უნდა ჩაიძიროს—უმნიშვნელო ნაწილაკების გამოკლებით, უმთავრესად ჩრდილოეთის მხრით,—და მის ნაცვლად...

— ბატონო ჩემო, თქვენ გიჟი ყოფილხართ... გთხოვთ დასტოვოთ ჩემი ოთახი. მე თქვენ ხელს მიწლით...

— მე ის წერტილიც ნაპოვნი მაქვს, საიდანაც ჩემი აპარატი მისწვდება...

— მე იძულებული ვიქნები ძალას მივმართო...

— ხა-ხა-ხა... თქვენ იმის წარმოდგენაც არ შეგიძლიათ, რომ მამადავითის საყდრით ჩადის პირდაპირ ხაზი პიროსფერასკენ... და ატლანტიდის აფეთქებაც სწორედ ამ ადგილიდან მოხდა თავის დროზე. თქვენი სეისმოგრაფი დღესვე განიშნებსთ ჩემი აპარატის ძალას, რათა იგრძნოთ დაახლოვებით მაინც ის, რაც ხვალ მოხდება მსოფლიო მაშტაბით...

—:—

სალამო ჟამს, შებინდებისას, მამა-დავითის მთაზე ბილიკით წელში მოხრილი მაღალი კაცი ჩქარი ნაბიჯით აღიოდა. გზა-და-გზა დრო-გამოშვებით შესდგებოდა და გარემოს თვალებს მიმოავლებდა. უცნაური ალი ჩასდგომოდა თვალებში და გამოხედვა ისეთი ჰქონდა, როგორც მოხალისე ჯალათს პირველი მსხვერპლის დანახვის დროს.

როცა მამადავითის საყდრის გალავანში შევიდა, არ დაუყოვნებია, ისე მიიჭრა წყაროსთან გამობურთულ მთის კედელთან. აღელვებული იყო და რალაცას ბუტბუტებდა.

აკანკალებული ხელით ამოიღო უბის ჯიბიდან ფოლადის კოლოფი, რომელიც თვალის მომჭრელად აკიაფდა მიუხედავად ბინდისა. კოლოფზე რალაცა ნიშნები იყო ამოჭრილი. ახლოს მიიტანა თვალებთან და ისე დაუწყო სინჯვა. მერე მარჯვნივ და მარცხნივ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ერთ ადგილზე შესდგა—საყდარსა და წყაროს შუა.

ამის შემდეგ გაალო საიდუმლო კოლოფი. გაღებისთანავე კოლოფიდან გველის ენასავით ორად გაყოფილი აბრეშუმის ძაფის ოდენა მბრწყინავი მავთულები თავის თავად ამოსრიალდნენ, შემოხაზეს ჰაერში წრე და, თითქოს რალაც ძალას მოეტაცებოდა, ჩაშხუილებით ძირს დაიხარენ და იმ კაცის ფეხებ-შუა მიწაში ჩაერქვენ. მაგრამ იმავე წამში—იმ კაცის ხელის ერთი გაქნევით—ისევ ამოსრიალდნენ მიწიდან და თვალის დახამხამების უსწრაფესად კოლოფში ჩალაგდნენ. კოლოფიც დაიხურა. ხოლო ერთდროულად საშინელი ყრუ რახრახის ხმაც გაისმა სადღაც უფსკრულში და წარმოუდგენელი სიძლიერით შეჰქანდა დედა-მიწა. მაგრამ მყისვე ყოველივე ისევ მიწყდა.

— ხა-ხა...—ყინულის ნაჭერივით ამოუვარდა კაცს პირიდან. ეს იყო გამარჯვების წინაგრძნობის საშინელი აღნიშვნა. მერე კოლოფი ისევ უბეში ჩაიდვა და გიჟივით აღტაცებული მთიდან პირდაპირ ძირს დაექანა.

ჯერ კიდევ გალავანს არ იყო ჩაცილებული, რომ საყდრის აღმოსავლეთის კედელი გაირღვა და იქიდან თეთრი თმა-წვერით დამშვენებული მამა-დავი-

თი გამოვიდა გრძელი კვერთხით ხელში.— მოხუცს მშვიდი სახე შერყეოდა და თვალებში ნალვლიანი შფოთი ჩასდგომოდა. გადმოვიდა თუ არა კედლიდან, მაშინვე გაიხედა იმ ხარეს, საითკენაც კოლოფიანი კაცი გარბოდა. როცა ის მიიმალა, მოხუცმა წმიდანმა რამდენჯერმე თავი ჩააქნია და მერე დინჯად გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც ის უცხო კაცი თავის კოლოფს ამოქმედებდა. როცა მივიდა ამ ადგილთან, ერთი ღრმა ტანჯვით ამოიოხრა და მერე, სამჯერ საიდუმლო ხაზის მარჯვნივ და მარცხნით გავლებს შემდეგ თავისი კვერთხი თავიდან ბოლომდე მიწაში ჩაასო იმ წერტილთან, სადაც უცხო კაცის კოლოფიდან ამოსული ბრჭყვიალა მავთულები ამას წინად სასწაულებრ ჩაერჭვენ.— შეეტყო, რომ სახე დაუმშვიდდა და ნალვლიანი ნისლი გაეცალა თვალთაგან.— ამის შემდეგ მოხუცი ისევ დაუბრუნდა თავის კედელს და შიგ გაჰქრა.

—:—

როცა კოლოფიანი კაცი ძირს დაეშვა, ნახა, რომ ქალაქი სულ ერთიანად აფორიაქებულიყო. მცხოვრებნი ქუჩაში გამოსულიყვნენ დიდიან-პატარიან, და ყოველი მხრიდან გულშემზარავი გოდება ისმოდა.

რა თქმა უნდა, ყოველი მოძრაობა შეჩერებულიყო.

დიდი ხანი დასჭირდა იმ კაცს, სანამ ობსერვატორიამდის მიაღწევდა.

აქაც არე-მარე ხალხით იყო გაჭედილი.

ობსერვატორიის პატარა აივანზე გადმომდგარიყო დირექტორი და შეკრებილთ მიწისძვრის მიზეზს უმარტავდა.

კოლოფიანმა კაცმა მხოლოდ შემდეგ სიტყვებს მოუსწრო:— ამნაირად, მოქალაქენო, შეგიძლიათ და-

უბრუნდეთ თქვენ-თქვენს საქმეს სრული დამშვიდებით. მეცნიერებას არ ჰქონდა არავითარი ნიშანი იმისა, რომ ასეთი მოულოდნელი რამე მოხდებოდა, და მიწისძვრის ხაზი, რომელზედაც ჩვენი ქალაქიც იმყოფებოდა, მიმართულებას ასე უეცრივ გამოიცვლიდა. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, ის ხაზი სად გაჰქრა, მაგრამ მეცნიერებას იგი უთუოდ არ დაემალება. მაშ, ასე: მიწისძვრის მიზეზი უწყებულ ხაზის მიმართულების მოულოდნელი გადანაცვლება იყო, რომელსაც წინ უსწრებდა საშინელი ძალის ძვრა. ეს გეაცნობეს ჩვენ სხვა ობსერვატორიებმაც, რომელთაც უკვე მოგვაწოდეს თავიანთი რადიო. რაც შეეხება დეტალებს, ჩვენ მათ ბიულეტენებში მოვაქცევთ.

კოლოფიანი კაცის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. დაამთავრა თუ არა დირექტორმა თავისი სიტყვა, მან გიჟური ყვირილი მორთო:

— სტყუის! სტყუის! ხაზი ისევ მის ადგილზეა! არ დაუჯეროთ, ხალხო!

მაგრამ დირექტორს მისი ყვირილი არც გაუგონია, ისე შევიდა კაბინეტში.

ხალხმა კი სთქვა:

— საცოდავი. ეს უკვე შერყეულაო!

მეორე დღეს, გათენებისას, მამა-დავითის საყდრის გვერდით, დანიშნულ ადგილზე, თავახდილი ბრჭყვიალა მავთულებიანი აპარატით ხელში იდგა ის უცხო კაცი და უაღრესად დაბნეული შესცქეროდა ერთის მხრით თავისი კოლოფის უმოქმედო მავთულებს, და მეორე მხრით კი— მიწიდან ამოზიდულ უბრალო ჯოხის მსგავს უცნობ საგანს, რომელიც მის წინ უცნაურად ჰაერში შემართულიყო...

ლევო ქიაჩელი.



ც ხ ო პ რ ე ბ ი ს რ ა ლ ი ო

განთიადის სამი საათია.

საძილოთ მიბნედილ მუსიო რომდოს მიაქანებს ავტო-
მობილი თავის სახლისკენ.

ძლივას მიწყნარებულ პარიზის ქუჩებში კიდევ ხედება
თითო-ოროლა აწყვეტილ ავტოს დაგვიანებულ ნაქეიფარ
მგზავრებით.

ნაგვის ყუთებში კი ფუსფუსობენ ჯურღმულებიდან გა-
მომძვრალი ლარიბ-ლატაკნი.

— ბედნიერნი არიან თუ უბედურნი ის ხალხი, ვინც
წყალში გადასაყრელ ჭუჭყში და ნაგავში ჰპოვებს თავის
დღიურ ლუკმას?

რონდო უკვე შინ არის.

რმდენიმე წამის შემდეგ სძინავს გულიანათ.

—:—

შვიდ საათს გადასცდა ათი წუთი.

ძილით დაბნედილ ოთახში უეცრად მოესმა ლოთური
წკრიალი ტელეფონის აპარატისა.

— ოხ, ეს წყეული ტელეფონი! ვინ მოიგონა დილის
ძილის დასაფრთხობათ!

— გისმენთ!

— დიალ! მუსიო რონდო!

— ლონდონიდან

სირ ოსტვალდ, თქვენა?

— რომელ საქმეზე

— ჩემი აპარატის შესახებ?

— მაინც გნებავთ შეიძინოთ?

— უეჭველათ?

— მაშ ალარ მეჯანჯლოთ! ეს იქნება უკანასკნელი მო-
ლაპარაკება!

— კარგი!

— დილით პატარ-პატარა საქმეები მაქვს პარიზშივე. ისე
რომ ცოტა დამაგვიანდება. სრულ თორმეტის ნახევარზე კი
ლონდონში ვიქნები.

— ოტელ მეტროპოლში. როგორც ყოველთვის!

— მაშ ნახვამდის!

— სრულ თორმეტის ნახევარზე!

— კარგი! კარგი!

—:—

ორი წუთით ისვენებს მილი ტელეფონისა.

მუსიო რონდომ დილის გუნებაზე გააბოლა ტანაგრას პა-
პიროსი და მისწვდა ტელეფონს.

— ცენტრალური?

— თუ შეიძლება—მომეციო—10—23—45!

— ვის ვებასები?

— ჩრდილო-ავიო-საზოგადოება?

— კეთილი!

— გთხოვთ, ერთი ადგილი შემინახოთ ათი საათისათვის
ლონდონში გადასაფრენად!

— კეთილი, კეთილი! სრულ ათ საათზე მანდა ვარ!

— ნახვამდის!

ეხლა ათ საათამდის რა გააკეთოს მუსიო რონდომ?

მაგრამ ცოტა საქმე აქვს განა?

აჰინდი კარგი სჩანს. წვიმა არ მოვა.

ეს წუხანდელი ბანგი კი არა მშორდება თავიდან.

თან იცვამს და თან ლილინებს:

„ქოქსტროტ-ჯიმმი, ქოქსტროტ-ჯიმმი!

რა გვიხდება ყველას გრიმი!

ეს ქვეყანა ჩვენია—

თუ კი მოგვილხენია!

ჰოპ-ჰოპ ალლო! ჰოპ-ჰოპ ალლო!

გამოგვივა ყველას ალო!

ჰოპ-ჰოპ ალლო! ჰოპ-ჰოპ ალლო!

გამოგვივა ყველას ალო!“

სახლის მოურავმა ფოსტა მოიტანა.

— გმადლობთ!

— აბა ვნახოთ ერთი—ქვეყნიერობამ როგორ მომიგონა!

პირველი წერილი:

— ოო, მთელი სამი გვერდია გაქიანურებული! ეს უეჭ-
ველათ ჩემი რუსი მეგობრისაა.

— ბოლოს რა აწერია?

— ბორის კულიკოვ!

— აკი ვსთქვი, ის იქნება-მეთქი.

— აქ მთელ მსოფლიოს ბედ-იღბალზე იქნება ლაპარაკი.
მაშ გადავდოთ! წავიკითხოთ. როცა მოვიცლით პატარა სა-
ქმეებიდან!

— ოო, ეს პნევმატიკი უფრო საყურადღებოა!

— ქალის ხელი სჩანს.....

— ექსპედიტ... ინვეტ ნეტტერ!...

— აკი ვსთქვი!

— ჩავვირისტებულ წერაზე ვიცნობ!

— და მისი ხელების სურნელებაც ასდის თითქოს ამ კოხ-
ტა წერილს.

— ვნახოთ, ვნახოთ—ყურკ-თვალემა რას იწერება!

„არ მოგენატრა ჩემი ნახვა?“

„მე კი უშენოთ მომეწყინა!“

„როდისა ვნახო—შემატყობინე!“

„ინვეტ“.

მეორეთაც წაიკითხა საამო სიტყვები მუსიო რონდომ.

— ასე ცოტა სიტყვები და ამდენი რამის გადმოცემა!

— ოო, ის გიჟი! პასუხს მოითხოვს ეხლავე!

— სალამოს შვიდ საათზე ჩემთან იქნები ცუღლუტო

„უნივერსალის“ კაფეში!

— ეს მესამე წერილი საიდანლაა?

— ჰავრიდან?

— აბა ვნახოთ!

ზეზეულა კითხულობს რონდო.

— ოო! მამაჩემი ავით ყოფილა! და ისიც მძიმეთ!

— თხოულობს ჩემს ნახვას!

— ოო, ეს დალოცვილი ტელეფონი! ეს რომ არ იყვეს,
რა გვეშველებოდა!

— აბა დავრეკოთ!

— ცენტრალური?

— მომეციოთ თუ შეიძლება ქალაქთა შორის კავშირი!

— გთხოვთ, შემაერთოთ ჰავრთან!

— გთხოვთ მომეციოთ 15—29.

— ვინ ლაპარაკობს?

— ლუიზა, შენა?

— მამა როგორ არის?

— გადაეცი, რომ შუადღის სამი საათისთვის მანდ ვიქ-
ნებე.

— უეჭველათ!

— ნახვამდის გენაცვალე!

მუსიო რონდო გამოეწყო. უკვე მზათ არის წასასვლელად. ღროს აღარ ჰკარგავს.

სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა კარში.

ყავა დაავიწყდა? რა ვუყო მერე!

— ეი, ტაქსი!

— ქარხანა „პეუო“, თუ შეიძლება! ლევალუაში!

ათი წუთის შემდეგ მუსიო რონდო ტრიალებს ქარხანაში. ათვალეირებს ავტომობილის ხელნების ახალ ყალიბს, თავის მიერ გამოგონილს.

რესორი მოკლეთ ეჩვენება და ჰახრაკიც დუნეთ.

— ოსტატი! ერთი მისხლითაც არ შესცვალეთ, რაც გეგმაში მაქვს ნაჩვენები!

— ნახევარ ადლიან ხრამშიაც რომ ჩაიხეხოს ცალი გოგორა, თანასწორობა საჯდომისა მაინც არ უნდა დაირღვეს.

— ეს უნდა იყოს უკანასკნელი სიტყვა საავტომობილო ტექნიკისა.

ოსტატი მონაა ამგვარი ბრძანებისა. სიტყვა სიტყვით შეასრულებს რონდოს კარნახს.

— თუ დღეს ვეღარ დავბრუნდი, ხვალ დილით შემოვივლი უეჭველათ! მზათ იყვეს უკანასკნელი ნიმუში. შეიძლება ხვალვე გამოცვალოთ!

— ყველაფერი შესრულდება უკლებლივ მუსიო რონდო! რონდომ, მიატოვა ქარხანა.

რომელი საათია?

— ცხრის ნახევარი.

— ოო, მეტრო მიდინეტებით იქნება სავსე!

— ტაქსი!

— შაქარლამა როშერისა!

მიჰქრის ავტო გალაღებულ განიერ ქუჩაზე.

— გთხოვთ—გააჩეროთ მეგაჩეთესთან!

მუსიო რონდო არჩევს გაჩეთებს:

— „გოლუა“.

— „ფიგარო“.

— „ეკო დე პარი“.

— „ლ'უმანიტე“.

— „უურნალი“.

უცხოური გაზეთებიც ყოფილა.

— მაშ ავარჩიოთ!

— „ბერლინერ ტაგებლატ“.

— „კორრიერე დელლა სერა“.

— „უურნა დე უენე“.

— „დეილ მეილ“.

— რა ბედნიერი იყვენ ჩვენი წინაპრები, როცა არც ერთ გაზეთს არ კითხულობდენ!

— ტაქსი! განაგრძეთ გზა!

—:—

მუსიო რონდო უკვე ზის როშერის მოკრიალებულ დარბაზში. კოპწით გამოწყობილი გოგონაც დაცქრიალებს მის მაგიდასთან და უსრულებს ხალისით სხვა და სხვა შეკვეთას.

რონდო ჰაეროპლანის სისწრაფით გადაავლებს თვალს გაზეთიდან გაზეთს.

— ინგლისის არჩევნები...

— რეიხსტაგის გარეკვა...

— ჩან-ძო-ლინის გამარჯვება უ-პეი-ფუზე...

— მოსკოვის ნოტა დიპლომატიურ კორპუსს.

— ქარიშხალი კალიფორნიაში...

— ესპანელების დამარცხება მაროკოში...

— ტრაგედია რიკოლის ქუჩაზე...

— რიოტინტოს აქციების დაწვევა.

— მარსის ატმოსფერა...

— ნობელის პრემია...

— ანატოლ ფრანსის ანდერძი.

მუსიო რონდომ შეისვენა. შეექცა ყავას. თვალი მოავლო გოგონას:

— რა კაი გვრიტია!

— სხვა გაზეთები რაღას ამბობენ?

— მაგრამ ეხლა მაგვიანდება...

— ანგარიში გოგონი, თუ შეიძლება!

— მიირთვით!

— ეს ზედ-მეტეც—თქვენი კოხტა სიარულისთვის!

გოგონა მადლობას უხდის. ჰნატრობს რონდოს მეორეთ მოსვლას. კაი კაცი ყოფილა.

რონდო სდგას ტროტუარის პირად. გულმშვიდათ ჩაიღო პაპიროსი პირში. დინჯათ გააბოლა. დამნახავს ეგონება, რომ იმას წუთისოფელში არასოდეს არ ეჩქარება. საათსა სინჯავს:

— ორმოცი წამი კიდევ აქვს ვადა,

— ტაქსი!

— აეროდრომზე! მარდათ!

— გზად გაიარეთ. ბულვარ რასპაი № 21.

ტაქსი მისრიალებს გონდოლასავით—გატყეცილ ასფალტზე.

— რა საუცხოვო მანქანას წარმოადგენს ეს ცხოვრება!

— ვინ მოფერია, ვინ დურგალი, ვინ მემალაროე, ვინ ინჟინერი!

— ნუ თუ ბანდიტები და გლახაკებიც ამ მანქანის ნაწილები არიან?...

— დედ-მიწის ზურგზე კიდევ რამდენ კაცს ენატრება ავტომობილში ჩაჯდომა!

— რამდენ კაცს ჯერ კიდევ არ უნახავს თვალთ ავტომობილი!...

აქ რონდომ ფეხი ფეხზე გადიდო და ორთავე ზიზლით შიბჯინა ავტოს კედელს.

— რასპაი, 21! უკვე მზათ არის!

ავტოს ბუკი რამდენჯერმე დააყვირეს.

მეთოხე სართულის ფანჯრიდან გადმოეკიდა ივნეტას ცუდლუტი თავი.

— მუსიო რონდო! მხოლოდ ორი წუთი! ეხლავე ძირს ვიქნები!

— გიციდი, რამდენსაც მოისურვებ.

რონდომ გახედა პირდაპირ, შორს და თვალი მოჰკრა ცის კამარას.

— რა იშვიათად ხედავს კაცი ცას დიდ ქალაქში!

— რა ცუდია სიბერე! სიკვდილზედ უარესია!

— ევნიტ, შენც დაგეჰმუჭნება სახე! და იქნებ ამ როსპაის კუთხეშივე მოგელის გაზეთების გამყიდველობა!

ევნიტა გამოჩნდა ცელქი და კოხტად გამოკანკლული.

გიჟურათ ჩაუხტა რონდოს ავტოში და მხარი დაუმშვენა.

— მე მანიკიურის გასაკეთებლად მივდივარ.

— რომ წვდევ „არემენონვილის“ ვერანდაზე იმ თითებით ლერწამი გეჭიროს და ნებიერათ სწუწნიდე. ცივ ორანჟატს, არა?

— ან კიდევ შენ დაგირეკო ტელეფონი...

— ან მომწერო პნევმატიკი—

„არ მოგენატრა ჩემი ნახვა?“

„მე კი უშენოთ მომეწყინა და სხვა...“

— ჩემო ძვირფასო, სად მიეჩქარები ეხლა?

— ჰაეროდრომზე.

— იქიდან?

— ლონდონში.

— ალბათ საქმეზე?

— რა საკვირველია.

— ჩქარა დაბრუნდები?

— საღამოზე აქ ვიქნები.

— მაშ მშვიდობით, გოგონი!

— მხოლოდ არ მალოდინო!

— მაშ მე თვითან მოვალ ჰაეროდრომზე.


— კარგი! შეიძის ნახევარზე!

ივნეტამ მოფერს დაუგაკუნა.

— მე უკვე მივედი ჩემ მანიკიურთან!
 — მაშ შვიდობით, გოგონა!
 — მშვიდობით ჩემო ძვირფასო!
 — მაშ ჰაეროდრომზე!
 — ...შვიდის ნახევარზე! კარგი!
 მუსიო რონდო მივიდა ჰაეროდრომზე.
 ხუთიოდე წუთის შემდეგ კი მიჰქრის პარიზის თავზე.




ქალაქზე მწვანე სარტყლათ გადავლებული სენა.
 უკან რჩება ტრიუმფის არკა.
 მას მისდევს ობელისკი. ოტელ დე ვილი. პანთეონის
 გუმბათი. პარიზის გალავანი.
 — რა საწყლები იყვენ ჩვენი წინაპრები, რომ ერთხელაც
 არ უგვრძნიათ მიწიდან დაშორება!
 — რა სისწრაფით ვითარდება ყოველგვარი სისწრაფე:
 — იყო ურემი.
 — შემდეგ ეტლი.
 — მატარებელი.
 — ავტომობილი.
 — ჰაეროპლანი.
 — რადიო!
 — რადიო!
 — თუ ასე განვითარდა ტექნიკა, ჯერ კიდევ დიდ ხანს
 არ ვიგრძნობთ სიცოცხლის ხანმოკლეობას!



— ეს ამინია, თვალ ქვეშ რომ მოსჩანს.
 — ერთი საათი კიდევ არის თავისუფალი.
 — ასე ცოტა საათებში—ერთი მაინც თავისუფალია!
 რონდომ თვალი მოჰკრა თავის ქვევით რომელღაც დიდ
 ფრინველს.
 — ქორია?
 — ქორი კი არა—ბელურაა!
 — ქორი ჩვენი ჰაეროპლანია.
 — არწივი კიდევ სხვა იქნება. შემდეგში. მომავალში.
 რონდომ გაზეთები გადმოფურცლა.
 — ანატოლ ფრანსიც არ ყოფილა უკვდავი!
 — ნეტავ რას იზამს ეხლა იმის თქვესმეტი წლის ცოლი?
 — აგერ ჰამუნდსენი ჩრდილოეთის პოლიუსზე.
 — სისხლის ღვრა კალკუტაში.
 — მახათმა განდი კი ისევ სიმშილობს.
 — ამით უნდა მოსპოს ინგლისის უსამართლობა!
 გაზეთები განზე გადასდო.
 — ფორდი. „ჩემი ცხოვრება და მიღწევანი“.
 — რა დიდებული კაცია!
 — არც სიკვდილს ფიქრობს. არც სიბერეს.
 — რადიოს სისწრაფით ანადღებს ორას-სამასი წლის სი-
 ნამდვილეს!

— ინდუსტრიის და ცხოვრებს გენიოსი!
 — დიეპიც უკან დარჩა.
 — ესეც გუნება-ამღვრეული პა-დე კალე!
 — რამდენი შფოთავს ეხლა უმსგავსო გემში! რონდო კი
 ყველაფერს ზევიდან უცქერის გულ-დამშვიდებით.
 მუსიო რონდომ დაღალულათ იგრძნო თავი და ნებერათ
 მისთვლიმა კიდევ.
 — პროპელერის ხმაური—ეს ნანინაზე საამურია.
 თვალები გაახილა ლონდონის ცაზე.
 — პარლამენტი.
 — ვესტმისტერ კათედრალი.
 — ტემზა და ჰაიდ-პარკი.
 ორი წუთის შემდეგ — ჰაეროდრომი.
 ავტო.
 ოტელ მეტროპოლი.
 სირ ოსტვალდი და მუსიო რონდო ერთად. საქმიანი
 საუბარი.
 მორიგდენ.
 შემდეგ კარგი სადილი.



—:—
 ორ საათზე ისევ ჰაეროდრომი.
 ვინმე ახალგაზრდა მანდილოსანიც მიემგზავრება პარი-
 ზისაკენ.
 რონდო კმაყოფილია ასეთი თანამგზავრით.
 გაფრინდენ.
 ლონდონი უკვე შავ დიდ წერტილათ მოსჩანს უკან.
 — უკაცრავად! თქვენ...
 — მადამ ლია-როშ.
 — ნება მომეცით...
 — რისა?
 თქვენ მომხიბლავ ხელს მიწაზე მრავალი კოცნა ექნება
 დათვლალი, ჰაერზე კი—არც ერთი. მაშ...
 — ინებეთ!
 და კელაპტრად ჩამოქნილ უცხო საუნჯეს მხურვალედ
 დაეწაფა მუსიო რონდო.
 — თქვენ უკვე გადასცდით ოფიციალურ რიცხვს...
 სილამაზეს არა აქვს რიცხვი და სათვალავი!
 — მეტადრე ჰაერში, ქვეყნის ზევით. არა?
 — ოო! რასაკვირველია, მიწაზე მძიმეთ მოვიქცეოდი.
 და რონდოს ბაგე დაეწაფა მკლავის ჯადოსნურ ხვეულში.
 — თქვენ გამბედაობთ!
 — იმ ლამაზი მომენტისთვის. რომელიც ერთხელ მოგვე-
 ლინება და აღარც განმეორდება.—გამბედაობასთან ერთად
 გაგიჟებაც შეიძლება.
 — მიუხედავათ ცაში ყოფნისა. მაინც გვეალებათ ცოტა-
 ოდენი მიწიერი დარბაისლობა.
 — მადამ ლაროშ! თქვენისთანა მოხდენილი ქალი ცის
 სივრცეს ალბათ ჯერ არ უხილავს.
 — თქვენ ეგრე გგონიათ, მუსიო რონდო?
 — ამ წუთაში თქვენ მირჩვენისხართ ყველას და ყველა-
 ფერს!
 — მხოლოდ ამ წუთაში?
 — განა საკმარისი არ არის, რომ თითო წუთი მაინც ყვე-
 ლაფერი იყვეთ სილამაზით დამთვრალ ადამიანისთვის?
 — ეგებ მართალი ხართ...
 — ნება მომეცით შემოგფიცოთ. რომ მართალი ვარ.
 და თავდავიწყებული რონდო ისევ გზნებით დაეწაფა
 ლაროშის მომხიბლავ მკლავს, საცდუნებელ მხარს და გრძნე-
 ულ ბაგეთ...
 — მორჩა! მეტის ნებას აღარ გაძლევთ!
 — მე არ ვიტყვი—კმარა! მაგრამ ვემორჩილები თქვენ
 ბრძანებას!
 — ეგრე სჯობია!
 — მადამ ლაროშ! მიწაზე როდის გამაბედნიერებთ თქვე-
 ნის შეხვედრით?
 — ხვალ?
 — კარგი!
 — საღამოს შვიდ საათზე.
 — კარგი!
 — კაფე როიალში.
 — ძალიან კარგი!
 — ეხლა კი ჰავრიც გამოჩნდა. მე აქ ვრჩები.
 ხუთი წუთის შემდეგ გამოემშვიდობენ ერთმანეთს ათი
 წლის გულითადი ნაცნობებივით. რონდო დარჩა ჰაერში. მა-
 დამ ლაროშმა გაჰქროლა პარიზისაკენ.



—:—
 რონდომ ინახულა თავისი მომაკვდავი მამა. გულითადი
 მწუხარებისაგან საკმაო ცრემლიც კი დაღვარა.
 იქ—და ანუგეშა, აქ—დედა. უმცროს ძმას მისცა ოჯახუ-
 რი განკარგულება—დარიგებანი. მამასაც მიუაღერსა სიყვა-
 რულობით.
 — ეგებ გამოსათხოვარიც იყვეს ეს მამა-შვილური მია-
 ლერსება!
 რონდოს გული აუჩუყდა.

— ფოლადის და რკინის ხანაში ნუ თუ შესაწყნარებელია კიდევ ასეთი გულჩვილობა!

— მაგრამ ადამიანი ყოველთვის ადამიანად დარჩება და გული—გულად!

— ეხლა კი დრო აღარ არის წუწუნისა. ოთხი საათია. მაშ უკვე უნდა გაემგზავროს.

ყველა დაპკოცნა, გამოემშვიდობა და გასწია ჰაეროდრო-მისაკენ.

ხუთის ნახევარზე ჰაერო მიაღწევს ცას—პარიზისაკენ.

ექვს საათზე უკვე პარიზშია. ქარხანაში.

მის მიერ გაუმჯობესებული ახალი შასის უკვე აწყობილია.

საჯდომის მაგიერ დადგეს ყუთი. თვითან მუსიო რონდო მოაჯდა საჭეს. გვერდშიც მოისვა მექანიკოსი და გაუშვა მანქანა.

საითაც ოღრო-ჩოღრო გზები იყო, სულ იქით არბენია. გოგრები მოუსვენრად ხტოდენ მაღლა თუ დაბლა, მაგრამ შასის ისე სწორედ მისრიალებდა, როგორც წყნარ ზღვაში გაშვებული ნავი.

საუკეთესო შედეგია.

რონდო კმაყოფილია თავისი გამოგონებით.

ეს ერთი გამარჯვება თავდება სხვა მრავალისა.

— მთელი დღე საუცხოვოდ მიმდინარეობს, როგორც მიზანში გასროლილი ისარი.

— ყველაფრის საცდუნებელი დაგვირგვინება იქნება ალბათ ცოტა ხნის შემდეგ ევნიტასთან შეხვედრა.

ხვალდან მუსიო რონდო განკარგულებას გასცემს, რომ დაიწყოს ახალი შასის ფაბრიკაცია.

ეხლა კი დრო არის კაფე „უნივერსალისაკენ“.

—:—

შვიდ საათს გადასცდა რამდენიმე წუთი.

რონდოს ავტოც მიადგა „უნივერსალს“.

ესტრადიდან წამოხტა სახე-განათლებული ევნიტა და საყვედურებით მიმართა მუსიო რონდოს.

— არა გრცხვენია! საძაგელო! რათ მაცდევინე ჰაეროდრომზე! ტყუილად მომიყვანე!

— ჩემო გოგონი! ბოდიშს ვიხდი! მე უფრო ადრე მოვედი. მაგრამ დრო მაინც ამაოთ არ დამიკარგია.

— ეგ ჩემთვის ნაკლებ სანუგეშოა. საძაგელო!

ამ დროს ჩამოიქროლეს გაზეთის გამყიდვემა პატარა ბიჭებმა:

— „ლა პრესს!“ სიკვდილი ლორდ კერზონისა!

რონდომ გაუწოდა ორ-სუიანი და გამოართვა გაზეთი.

— მაშ კერზონსაც მოერია სიკვდილი! იმის წინაშე ლორდი და მინისტრი, სარდლი და მეფეც ისევე სუსტები არიან როგორც ნოტრ-დამის კარებთან მდგომი მოხუცი გლახა!

მიუტრიალდა ევნიტას და გრძნეულად ჩაჰკიდა ხელი.

— ჩემო ძვირფასო! აპერიტივი უკვე მიირთვი?

— შენ გელოდები!

— მაშ წავიდეთ!

ევნიტამ და რონდომ მოსძებნეს კაფეში კოხტა ადგილი და მოიკალათეს არხენათ.

პირდაპირ სარკვა. უკანაც სარკე.

უცრივ რონდო მევნიტას სახეზე შეამჩნია რაღაც ღიმილი, რომელიც იმას არ ეკუთვნოდა. პირდაპირ სარკეში კი თვალი მოჰკრა მის უკან მჯდომ ახალგაზრდა ვაჟს, რომელიც ნაცნობური, მაგრამ ფრთხილი შეხედვით სალამის მსგავსს უძღვნიდა ევნიტას.

— აჰა! აქ რაღაც შეთქმულებაა სიყვარულის „წმიდა“ სახელით!

დასხდენ.

რონდო მოუსვენრობას განიცდის.

— ნეტა ვინ არის ის ყმაწვილი! რა კავშირი აქვს ევნიტასთან! მაგრამ ახალგაზრდა კაცს ლამაზ ქალთან შეუძლია ჰქონდეს მხოლოდ ერთად ერთი კავშირი.

— ოო! ლამაზი და საყვარელი ქალი განა შეიძლება მოლაღატე არ იყოს!

ევნიტამ ალბათ ალლო აულო რონდოს იჭვებს.

რაზედ ჩაფიქრდი, ჩემო ძვირფასო?

— შენს ხალზე! შენი ხალი სარკეშიაც კი სჩანს! ლამაზი და უცნაური!

— მოგწონს?

— განა მარტო მე?

— მაშ სხვას ვილას აქვს უფლება მის მოწონების!

— ყველას, ვინც სილამაზისთვის უდროვოთ არ დაბერებულა.

— საძაგელო!

ახალგაზრდა კაცი გაფაციცებით უგდებს ყურს ევნიტას და რონდოს გადაკრულ საუბარს.

რონდომაც შეამჩნია ეს ყურადღება და უფრო დარწმუნდა თავის ალლოში.

— რა არის მამის მძიმე ავადმყოფობა, კერზონის სიკვდილი, ან ახალი საკუთარი ტექნიკური გამოგონება. როცა საყვარელ ქალის სახეზე დაიჭერ ლალატის ღიმილს!

აპერიტივის შემდეგ სადილი გაეწყო.

ევნიტა ცელქობს.. ამხიარულებს რონდოს და ხანდახან მხიარულების საფანელს იქ, სხვა მხარესაც გადააბნევს.

უცრივ კაფეს კარი გაიღო.

შარიშურით შემოვიდა წარმოსადეგი ქალი და უკან მოსდევს—ალბათ, ქმარი.

მუსიო რონდო აენტო:

— მადამ ლაროშ!

მადამ ლაროშმაც შეამჩნია რონდოს თვალები, მათ ერთი-ერთმანეთს გადახედეს. ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ ბევრი რამ კი სთქვეს.

რონდოს მრავალი ფიქრი უელავს თავში. ყველაზე მწველი კი მაინც ერთია:

— ნეტავ თუ ნამდვილი შეხვედრის შემდეგაც ასევე საცდუნებელი იქნება მადამ ლაროშში, როგორც არის მანამდის!

ევნიტას მახვილი ალლო აქვს. არ გამოეპარა რონდოს ყურადღების საითლაც გადაცდენა.

— მუსიო რონდო!

— მიბრძანე გენაცვალე!

— თქვენ სადა ხართ?

— ... ვფიქრობ—რა არის სიყვარული?

— ძველი თემა!...

— ... ან რამდენი გვარისაა სიყვარული...

— ... იმდენი გვარისა—რამდენიც ადამიანი.

— შენ მართალი ხარ ჩემო ცელქო—შენი რვალის ჩაწყვილი კბილებივით.

— მაშ თუ მართალი ვარ, ასეთ მჯელობას არა სჯობია—„ორ-დ-ოვრს“ შევექცეთ.

— ვემორჩილები შენ რჩევას, როგორც ყოველ შენ კაპრიზს.

და მადის ასაშლელ ნაირ-ნაირ საუზმეულობამ პატარა ლატარისავით დაიწყო ტრიალი რონდოსა და ევნიტას ხელში

—:—

მადამ ლაროშში თავისი ქმრით კარგა საპატიო მანძილზე დაჯდა. მაგრამ მისი და რონდოს შორის საუკეთესო თარჯიმანი ისევ სარკვა.

ჩუმჩუმათ გადაავლებენ ერთმანეთს თვალს და კმაყოფილებით ჩაღუნავენ თავს.

მაგრამ მუსიო რონდოს გართობით აკი ევნიტამაც იხელთა დრო და მადლიანი ღიმილი მიუძღვნა უკან მჯდომ ახალგაზრდა ვაჟს.

რონდომ თვალი მოჰკრა. ლამის მადამ დაუკლო.

— ვინ ეცილება თავის ცუგრუმელა ევნიტას! განა იმიტომ დაჰყავს ასე თვალდასაყენებლად გამოკანკლული, რომ ყოველ ნაბიჯზე სხვები ედავებოდენ!

რონდო მზათ არის. ჰკუა ასწავლოს იმ უცნობ ყმაწვილს. მაგრამ მაინც უცდის უკეთეს შემთხვევას.

მადამ ლაროშსაც ეტყობა რაღაცა ჩუმი მოუსვენრობა.

ძველი ბორღო დამდნარ ქარვასავით ეღვარებს ბაკარას ჭიქებში.

ევნიტას ჭიქამ ვერცხლის ზარივით გაიწკრილა რონდოს ჭიქაზე და მაცდურის ღიმილით „იმ“ ვაჟსაც გადასტყორცნა რადიო-ღიმილი.

მაგრამ რონდოს, როგორც ფხიზელ ანტენას, არ გამოეპარა ეს უჩინ-მაჩინი რადიოც.

სარკის სიღრმეში კი მადამ ლაროში სულ-განაბული კატასავით მისჩერებია მუსიო რონდოს და ელის მისი შეხედვის დაჭერას.

დაიჭირა კიდევ.

ჩუმათ ჭიქა დაუმიზნა და აზიზათ შესვა მის იდუმალი სადღეგრძელო.

მუსიო რონდომაც სიამით მიიღო ეს სახიფათო და მალული სადღეგრძელო.

კარგა ხანს გაგრძელდა აზიზობის ეს ჯამბაზობა.

მადამ ლაროშის ქმარიც ფხიზელად ადევნებს თვალ-ყურს თავის მეუღლის მიერ მიზანში ნასროლ უჩინარ ისრებს.

მადამ ლაროში განგებ იძახის ხმა მალლა:

— ჩემო ძვირფასო ჰანრი! აქედან „ამბარადორში“ წავიდეთ!

— კარგი! უეჭველათ! მერე დღეს ახალი პროგრამაც არის!

რონდო მიხვდა.

ოსმლური ყავით და „შამპან ჭინით“ დამთავრდა სადილი.

— აქედან სად წავიდეთ, მუსიო რონდო?

— თუ მოისურვებ— „ამბარადორში“.

— ძალიან კარგი!

კიდევ „ვილამაც“ გადასწყვიტა გულში— „ამბარადორში“ წასვლა.

—:—

ერთი საათის შემდეგ ყველა „ამბარადორში“ სხედან.

მუსიო რონდო ცეცხლს იკიდებს იმ ყმაწვილ კაცზე, კობეტა ივენეტას რომ უჩოჩქოლებს მოუსვენარ გულს.

უფრო მეტად კი საწყენია— მთელ ყურადღებას რომ ვერ ატყვევს მადამ ლაროშის საცდუნებელ ანდამატობას.

ერთგან შეექცევიან ნამცხვარს და მარწყვის კრუმონს.

მეორეგან— ხილეულობის და თავანკარ შამპანს.

მესამეგანაც ისევ შამპანით ართობენ გულს.

სცენიდან კი ისმის ხან სიმღერა, ხან მუსიკა, ხან მხატვრული იუმორი და ოხუნჯობა.

მუსიო რონდო ველარ იტანს „იმ“ ყმაწვილის მეზობლობას და ევნიტას ყურადღებას მისადმი.

გულის გასამაგრებლად უკანასკნელი ჭიქა ასწია. ევნიტას უთხრა რაღაც აზიზი სიტყვა. თვალებით, მრავალის მეტყველი თვალებით კი გადაჰხედა მადამ ლაროშს და შესვა.

მადამ ლაროშმაც მსწრაფლად დაავლო ჭიქას ხელი და საპასუხო ნეტარების ღიმილით შესვა ჩუმი სადღეგრძელო.

მუსიო რონდომ ყველაფერი შეამჩინია. მეტის ატანა აღარ შეიძლება.

კობეტა ხნის შემდეგ მუსიო ლაროშის ერთმა ნაცნობმა ცალკე გაუძახა მუსიო რონდოს.

გადასცა მუსიო ლაროშის სადარბაზო ბარათი და სანაცვლოდ გამოართვა თავისი.

ღილაზე ადრე გეწვევიან სეკუნდანტები და პარობაც იქ შემუშავდება.

— როგორც ნამდვილი ფრანგი და რაინდი ფრანგი, მუსიო რონდო იღებს ამ გამოწვევას.

— მხოლოდ საწყენია, რომ მადამ ლაროშის წყალობით „ის“ ყმაწვილი ვადურჩა რონდოს რისხვას.

რა გაეწყობა.

— მუსიო რონდოს აქ აღარ უნდა დგომა.

ვან გაიტაცა თავისი კეკლუცი ივენეტა და მონმარტრის კაბარეებში გაატარა მთელი ღამე სიმხიარულით.

ხანდახან მოელანდებოდა მადამ ლაროშის გრძნეული ტანი, რომლის სიშიშველაც მან ვერ იხილა.

თვალწინ წარმოუდგებოდა კელეპტრად ჩამოქნილი მკლავები, საგანგებოთ გამოკვეთილი „ჩლიქები“ და სინაზით მწველი წვივები.

— მუსიო რონდოს ჯერ სიკეთე არ უგემია და მსხვერპლს კი სთხოვენ წინასწარად.

— დასთანხმდა გამოწვევას მხოლოდ ერთის მოსაზრებით: მუსიო ლაროშმა არ იფიქროს, რომ მისი ცოლის მოარშიყე მასზედ ჩანჩულა და ლაჩარი არის.

— რომ იცოდეს ივენეტამ-ეს ამბავი, მაშინ ორმაგათ იქნება გამართლებული მისი გიჟმაჟური ლალატიც. მაგრამ რონდო არავის დაუთმობს ეგრე ადვილად თავის ცუგრუმელა ივენეტას.

და ამ ფიქრებს მოსდევს უფრო მხურვალე კოცნა და ალერსი ცელქი გოგონა ივენეტასი.

მხოლოდ დილით დაბრუნდა რონდო თავის ბინაზე.

დღეს კვირა არის. ეგონა დაისვენებდა, მაგრამ ვინ ასვენებს!

—:—

დილის ათ საათზე ეწვიენ სეკუნდანტები.

შეიმუშავეს პირობები:

„დაწებით“.

პირველ ჭრილობამდის.

ნაშუადღევს ოთხ საათზე.

ვენრენში. მარნის ნაპირას“.

სეკუნდანტები წავიდენ.

კობეტა ხნის შემდეგ ტელეფონის ხმა ისმის.

— ვინ არის?

— მადამ ლაროში? სასიამოვნოა!

— შვიდ საათზე არა გცალიათ?

— მაშ როდის?

— სამიდან ხუთამდის?

— რაო? თქვენი ქმარი სხვაგან მიდის ექვს საათამდის?

— მეც რომ არა მცალია მაგ დროს!

— სხვა დროს არ შეიძლება?

— რა სასტიკი ხართ! ან დღეს ან არასდროსო?

— უეჭველათ სამიდან ხუთამდის?

— რა გაეწყობა! თქვენი სიმშვენიერის გასაცნობათ მე ყველაფერს დავთმობ!

— მაშ გელით ჩემსას სამი საათიდან.

— კარგი! მშვიდობით!

რონდომ ივენეტასაც დაურეკა:

დღეს დაღალულად გრძნობს თავს. ეძინება. არსად აპირებს წასვლას. ამიტომ ნურც ელოდება.

რონდომ პირველ საათამდის გულიანათ იძინა.

შემდეგ წაისადილა.

სამ საათზე კი ისევ შინ არის და ელის პირველ ხილვას ახალი სილამაზისას.

ჩქარა გაჩნდა მადამ ლაროშიც.

დაიწყო ორთა გიჟური დროს გატარება.

ხილეულობა და შამპანიურით სავსე არის ირიბი მაგიდა. რონდოს აზიზი შეტევა და ლაროშის ნებიერი წინააღმდეგობა ორთავეში მსწრაფლად აღვივებს მოახლოვებულ ცდუნების უინს.

რონდო არ შემცდარა:

მადამ ლაროში ახალი სიტყვაა სილამაზისა, ახალი ენაზი გიჟმაჟობისა, ახალი შარბათი— თავდავიწყებისა.

—:—

ვენება-მიხდილი მადამ ლაროში გრძნების ვარდისფერ ზღვივით ელავს მათი სიგიჟით გადარეულ თეთრის-თეთრ ზეწარზე.

— მუსიო რონდო! ჩემო მეგობარო! მცხელა!

— ჩემო მზეო! გცხელა? შენივე სიცხით იწვი?

მუსიო რონდო იღებს მოშიშხინე სავსე ვაზას და ცივი შამპანიური გადაეცლება მადამ ლაროშის აზღვავებულ მკერდს.

— შამპანიურს და შენ მკერდს მინდა ერთად დავეწაფო ლოთი რაინდი.

ამდროს ისმის კარის კაკუნი.

სამჯერ.

ორთავე შეკრთენ.

რონდომ იცნო ივნეტას კაკუნი.

სული განაბეს.

არას გზით კარი არ გაიღება.

კაკუნი მეორდება.

ხმას არაფინა სცემს.

მეორე ოთახში ტელეფონის ხარი გაისმა.

მუსიო რონდო ფეხაკრეფით მიდის აპარატთან.

— გისმენთ!

— ჰავრიდან?

— ლუიზა, შენა?

— მამაჩემი გარდაიცვალა?

— სასუფეველი დაუმკვიდროს მამა ზეციერმა!

— მე ერთ საათში შეგატყობინებ, როდის წამოვალ!

— კარგათ იყავი!

— ერთ საათში შექველად!

მუსიო რონდო ცოტახანს გაშტერდა.

საათმა ოთხჯერ ჩამორეკა.

დერეფნიდან ისმის მიმავალი ივნეტას ნაბიჯები.

მუსიო რონდო თითქოს გამოფხიზლდა და ჰხედავს:

— ვენსენში, მარნის ნაპირას ბაიყუშათ მომლოდინე მუსიო ლაროში სუკუნდანტებთან ერთად.

— ჰავრში, სამკვდრო სარეცელზე მამის გაცივებული გვამი.

— კიბეებზე გულ-დაწყვეტით ჩამავალი ევნიტა.

— მეორე ოთახში კი ნებიერთა მფშვინავი ღვთაება.

მუსიო რონდომ აავსო ვაზა.

— მადამ ლაროშ! გაუმარჯოს ცხოვრების რადიოს ქროლვას ყოველ მხრიდან! და გაუმარჯოს იმათ მიმღებ ფხიზელ ახტენას—ადამიანს! თანამედროვე ადამიანს!

მადამ ლაროშს თვალები აენთო:

— მე დაუმატებ! გაუმარჯოს უკვდავ გრძნობებს—სილამაზეს და თავდავიწყებას.

შიშველი მკლავი ძირს გადმოვარდა..

მუსიო რონდო ფიცხლავ დასწვდა ცალი ხელით და ცხარე ბავით.

მეორე ხელიდან გაუვარდა აზიზი ვაზა.

ისიც მიაშველა შიშველი მკლავის საშურველ ტყვეობას.

—:—

— მარნის ნაპირი.

— სიკვდილის სარეცხელი.


— კიბეები.

— საცდუნებელი შიშველი მკლავი.

— ცხოვრების რადიო!

— ცხოვრების რადიო!

ლევან მეტრეველი



წერილი ნოე ჩხიკვაძეს.

ებრძოდი სიკვდილს შენ გახელებით,
 ვერ დაამსხვრიე მახე მზაკვრული:
 მოკვდი გოლგოთის საშინელებით,
 რკინის საწოლის ჯვარზე გაკრული.
 იყავ პოეტი მირონცხებული,
 გახდი ჯვარცმულის მონათესავე.
 ასე მგონია: ხარ ქრისტესავით
 მეშვიდე ცაზე ამალგებული.
 გულზე გაჩნია ნაიარევი,
 გარს გახვევია შუქის მორევი.
 თეთრ ვარსკვლავებში დაიარები
 ტყეს შეფარებულ ნიამორივით.
 მაგრამ არ არის ზეცაში ღამე,
 და ნადვლიანმა თავი ჩაჰკიდე:
 გაწუხებს ლექსის ნათელი შხამი,
 რაც შეუსმელი აქ დაგრჩა კიდევ.
 ბავშვების ბედიც გაფიქრებს ალბად,
 აქ რომ დატოვე ორი პატარა.
 ამ დარდმა აქაც დრო გაგიყალბა
 და ბევრ ეკალზე გადაგატარა.
 ნეტავი ერთი გადმოგახედა,
 გაგეღოს კარნი მაღალ ცისანი,
 რომ შენმა სახლმა გიცნოს აქედან
 და სიხარულის მოგცეს ნიშანი!
 ნახავდი მდუმარ მთაწმინდის ზღუდეს,
 პოეტთა სადგურს და ბინას მოგვთა.
 ჰგავს შენი სახლი არწივის ბუდეს,—
 ბუდე აქ არის, არწივი მოკვდა!..
 რას იფიქრებდი, როს ამ ბილიკზე
 ბინის საძებრად წერას აჰყავდი,
 რომ ცივდებოდა შენთვის თბილი ძვე,
 და ბინას მუდმივს სხვაგან ნახავდი!..
 ნეტავი ახლა გადმოგახედა,
 გაგეღოს კარნი მაღალ ცისანი,—
 შენმა ბავშვებმა გნახონ აქედან,
 სასიხარულო მოგცენ ნიშანი!

ალბად არ არის ზეცაში ღამე,
 და შენც მოწყენით თავი ჩაჰკიდე:
 გაწვალებს ლექსის ნათელი შხამი,
 რაც შეუსმელი აქ დაგრჩა კიდევ.
 ქვესკნელს დასთხრიდენ შენი ფესვები,
 მიწას პოეტად რომ არ ეშობე.
 საქართველოში შენი ლექსები
 მშიერ მგლებივით დათარეშობენ.
 და ნომარი პოეტთა გროვა
 სადაც დაღლილი დაიბანაკებს,
 ციდან ყვირილი შენი იქ მოვა
 და გულს აუნთებს შენს ამხანაგებს.
 და გრგვინვა მწველი და ალ-დართული
 კვლავ ცივ მყინვარზე დაიგუგუნებს,
 რომ ანთებული სიტყვა ქართული
 გადაანარცხოს ბნელ საუკუნეს.
 როცა იჭვებით დამქრალ ოცნებას
 ლექსების ალი წაეკიდება,
 რა მისცემს ჩვენს სულს მეტ გაოცებას,
 რა უნდა იყოს მეტი დიდება!
 არ გვაწევს ტვირთი სხვა იმედების,
 შენ უკეთ, იცი პოეტო ძმაო,—
 ჩვენთვის გარეშე შემოქმედების
 რომ ყველაფერი არის ამაო.
 მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი,—
 დაეცა ლოცვა და პოეზია.
 მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირო,
 და ახალს — ჩრდილი შემოესია.
 გაგიკვირდება: ლექსს რათ არ ჰშველის,—
 რომ კვლავ ამალღდეს რჩეულ ხარისხად,—
 ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
 მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა?
 ახლა ქუხილი არ ისტამბება,
 ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან.
 ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა,
 ამონაწერმა გაზეთებიდან.

ს. აბაშელი.

ა უ ქ ც ი ო ნ ი.

სოველი, როგორც ხე ნატივარი,
 მივესალმები ვარსკვლავთა საბელს.
 მე—დაკარგული ვარ სტრადივარი.
 თუ მეძებს ვინმე, როგორც მაჩაბელს?
 დავეხეტები, თითქოს ვიონი,
 რომ სადმე ვნახო შესაფარავი.
 გაღებულაია აუქციონი,
 განათებული, როგორც ფარანი.
 მელანქოლიის კმარა სირცხვილი.
 მე ახლა ვდგავარ ანთებულ ბრბოში.
 სოველემენ საგნები აურიცხველი:
 ნარდი, მარაო, თამარის ქოში.
 ჰყიდიან ნივთებს, როგორც ყრმა ქალებს.
 ცარიელდება ეს არამხანა.
 მე არჩევანი კიდევ მაწვალებს.
 ამოდ ვეძებ სათუთ ამხანაგს.

სარკესთან ერთად გაიყიდება
 ჩემ „დაისების“ ძველი კრებული,
 სადაც დაიფრქვა ლალთა დიდება,
 მეწამულ ცაზე აყვავებული.
 უცნობი იძენს ცისფერ გასაღებს.
 ზეცაში თუ აქვს მაღალი ბინა?
 და ოფელია აქ გაასაღეს
 როგორც პატარა, ჩუმი ტიკინა.
 კვლავ გაიძახის ყალბი ქადაგი:
 —ვის უნდა ბასრი სამართებელი?—
 მაგრამ მწყურია სხვა ნიადაგი
 და ავირჩიე კარგი მხლებელი:
 მე შევიძინე მცირე კოლიბრი—
 იგი ხვითოა ფრთააღჭურვილი—
 რომ ამისრულდეს დაუბრკოლებრივ
 ყოველნაირი ჩემი სურვილი!
 ვალერიან გაფრინდაშვილი.

მერკვილაძის დები.

(პოემა).

ნიკოლო მიწიშვილს.

1.

ამოვიდა კვარით
მთვარე ზემო მხრიდან,
მოიქარგა მტკვარი...
ქარი კვლავ ხეს თხრიდა.
ქუჩა ჰგავდა მტარვალს...
მომენატრა კერა,
როცა ხამის შარვალს
დედა მიკერავდა.
როცა თბილ ბუმბულში
ჩამაწვენდნენ კოცნით,
ვინახავდი გულში
სიზმრად ნახულ კოცონს.
და მეგონა მაშინ
მთვარე ვერცხლის თევში.
შორით მაშინებდა
დათოვლილი მთები,
როგორც თეთრ ნაბდებში
მერკვილაძის დები.

2.

მახარებდა ადრე
ჭრელი ბლუზა ჩითის.
მზეში მობინადრეს
გული მქონდა ჩიტის.
და მერჩია შაქარს
ცივი ჭადი პრასით.
თმა მიგავდა ჯაგარს
ახლად მონაპარსი.
ვკითხულობდი კიდევ
არსენაზე წიგნებს.
და ვენახის კიდეს
ვაძობდი თიკნებს.
მაგრამ როს ჩაფრებმა
მკლავი ბევრს გაუხმო,—
ფშანში ჩაფრენილი
ქვებს ვესროდი ყანჩას,
და ვნატრობდი უხმოდ
ულვაშებს და ხანჯალს.

3.

თითქოს გულს ბზარავდა
სუნი შემწვარ ტარნის,
თვალებს მიფარავდა
ჩრდილი ძველი მარნის.
ძალღს ეძინა განზე
და კრუხს თავის ფრთებთან.
დედა იყო ბანზე
სტუმრათ მოსულ დებთან.
შინ ვიყავი ძნელად.
იღვა მზის თაკარა.

და დებს საკოცნელად
ვერვინ მიმაკარა.
ვუცქეროდი შორით
მათ ღიმილს და იერს.
როგორც მტრედი ორი
უსხდნენ დედას ხნიერს.
ტანი ქონდათ ალვის,
ვარდისფერი სახე.
იგონებდნენ კრძალვით
ლექსებს მათ შესახებ;
და მღეროდნენ მერე
ამ შაირებს სოფლად.
ბევრმა მოსიმღერემ
ლხინში დაუნდობლად
გულში გაიტარა
მათი ტრფობის დანა.
ბევრს კი კვლავ გიტარა
ჰქონდათ დების ტანათ.

4.

ასე მიდიოდა
დღეები და წელი.
იღვა ჩვენი ოდა
სვეტებ-მონაცელი.
და ეკიდა ბურჯათ
ცხენის თავი მარგილს.
ბიბინებდა ლურჯად
ყანა განამარგლი.
იღვრებოდა ოფლი
სოფლად, მთის არეზე,
როგორც ცრემლი ობლის
დედის სამარეზე.
ქვრეტდნენ სიზმარს ნეტარს.
და წუდებოდნენ ჯაჭვით.
მტარვალი კი ნექტრათ
სვამდა მათ სისხლს ჩაფით.
მოდენიდნენ ურმებს,
სავსეს ბარაქათი.
მაგრამ როცა თურმე
გაწყდა არაქათი,
და ხალხს ჯვარზე ნაცვამს
მოერია ცოფი,—
დებმა ბავშვის ნაცვლად
დაიკავეს თოფი.
გაყვენ შმის კვალს ურჩად
და ბილიკებს ტყიანს;
ვერვინ გადაურჩა
მათ გასროლილ ტყვიას.

5.

ჰყინავს. ვარსკვლავები
ვაშლებივით წუდება.

ვერაგ მტრის მკლავებით
ქარი მთებს აწყდება.
მოსჩანს ცა უნდობლად
მოგებული ჭიქით.
ძალღი ყმუის ობლად
საღლაც, ხევის იქით.
და მიყვება ცალფათ
კვალი ლობეს, ეზოს.—
ვინმე დაღვრის ალბად
კრემლებს უმიზეზოს.

6.

თითქოს ჩადგა ქარი.
ისევ სძინავს სოფელს.
უცებ ჩვენს მეზობელს
შეუმტვრიეს კარი.
და გავარდა ტყვია,
გაჩნდა ცეცხლის ალი.—
ჩაფრებს შეუტყვია
მერკვილაძის კვალი.
ებრძვის მუხანათებს
ფრთებ-შესხმული რაზმი.
მთვარე ძლივს ანათებს
მღვრიე აიაშმ.ათ.
ნატყვიარი ხალხი
სცვივა, როგორც კომში.
გაწვა ირგვლივ თალხი
და ხელ-ჩართულ ომში
შიშმა დაიბუდრა.
დების გაშლილ თმაში.
გზებიც დაიბურდა...
და დაესო დანა
გულზე აფრასიონს.
(ალბათ მთვარე მაშინ,
დაკლულ ზვარაკივით,
ისე დანათოდა
როგორც ეხლა სიონს).
ხმები საარაკო
გაცდა სოფლის კიდეს.
და როს წაუკიდეს
ცეცხლი მტერ-მოყვარეს,—
დებმა გადმოდვარეს
ცრემლი ვით სპეკალი.
ვინ აჯობა რაინდს?!
ველარ გამერკვია,
მაგრამ მსურდა მაინც:
ვინმეს მოვეკალი
როგორც მერკვილაძე.

რაშდენ გგიტაძე.

რ ი ფ ი ს ბ ე ლ ი.

მტრედისფერ ცის ქვეშ გაშლილია ჩვენი ქვეყანა და სერავს იმას მოწყენილი ატლასის მთები, ვით ჩვენი ბედის ტრაგედია და ამოცანა, ვით მსოფლიოში მოღალადე სიტყვა „რიფები“!..

სამხრეთით გვაკრავს გულდამწვარი ცხელი სახარა, აღმოსავლიდან დასავლეთით მთები მიდიან... ამ მთის ფერდობზე გაფანტული მოსჩანს ცხვრის ფარა. და ქვეშ, მინდვრებზე—ბრინჯი, ფეტვი და სიმინდია..

იქ, ლურჯ ველებს რომ არხევს, ვით ზღვა, თბილი ნიავი, ცხენის ჯოგებით არის არე გადაჯეკნილი, დღეა, უჩრდილო, თუ დახუთულ ღამის ღლიავი, მწყემსი უბირი სდგას სახეზე ნახშირ-შეფშვნილი...

მას ესიზმრება გარუჯული შორი სამხრეთი! აქ ჩრდილოეთი მისი გულის სველი ბაღია... თვითონ კი აგერ სდგას, უანგ-ნარევ ოფლ-დანაწრეთი, და სინამდვილეთ მის ფეხთ-ქვეშ ეს იალაღია.

ჩვენი ქოხები და კარვები ცას შეჰყურებენ: ღინჯია იქ მზე და სასტიკი ცის კაბადონი, ჩრდილოდან ქარნი ღრუბელთ ძვირად მოაცურებენ, ძუნწია ხმელთაშუა ზღვიდან პოსეიდონი.

ძუნწია ჩვენთვის ცის ეს მხარე, როგორც მზრუნველი, მასთან სასტიკი, ვით დამსჯელი და მოძალადე, ვით მტაცებელი სისხლის მსმელი შავი ფრინველი, ვით ონავარი, ზღვით გაშლით რომ თან მოაქვს ბადე.

ჩვენი სამხრეთი ხომ ცხელია და გულ-მდულარე, გვაწვება სულის შემხუთველი სქელი სამუმი, მაინც ჩვენთვის ის უფრო სხვაა, უფრო მწუხარე, ვიდრე ეს გრუზა ჩრდილოეთის ცა აბრეშუმით.

ჩალურჯებული ტუჩებით ის, როგორც სიკვდილი, ამაყად დაგვეცქერს და მდაბალი გულის ზრახვებით. ჩვენც ვეგებებით გააფთრებით, ხმლებ-ამოწვდილი, და შიშით პურობილ თავ-დახრით ვერ დავენახვებით.

თუმცა წაიღო გული ახლა სხვა მოგონებამ: ჩვენი ბანაკი ცას შესცქერდა სამუმი გულში! რა ვქნათ? მწარ ფიქრით დაგვაშინა სხვის დამონებამ... რა ვქნათ? სამშობლო მიწამ ჩაგვწვა თვის სიყვარულში!..

ჩვენი ცხენებიც კი რა არის, ჩვენი ცხენები, ისინიც გრძნობდნენ, რომ უცხო მხრის გვწვდებოდა უინი: ტორებსა სცემდნენ, ლაგამს დგვლემდნენ შეუსვენებლივ და ცას ერთვოდა, მიწას სძრავდა მათი ჭიხვინი!..

ქალები ჩვენი, ზურგში ბარგებ-წამოგდებული, იზიარებდნენ ჩვენს ბედს, სასტიკს და დაუნდობელს!.. მხოლოდ ეს მთები დაგვეყურებდნენ სულ-განაბულნი და ქვევით ცავდნენ ბებრები და ძაღლები სოფელს...

სოფლებს კი ცეცხლით აწვებოდა ცის ჩრდილოეთი, ჰორიზონტებით ანთებული, ვით მუგუზლები,

მოძრწოდა თითქოს აზავთებულ მგლების ხროეთი, და გაქცევას კი არ ფიქრობდნენ ჩვენი მუხლები!

პირიქით, გულებს ედებოდა ის, ვით ხანძარი, და მზად ვიყავით, გაგვეწია სამაგიერო! წინიდან—რისხვა ცის და უკან—მიწის ზანზარი!.. ოი, სამშობლოვ, ძვირფასო და ყოვლად ძლიერო!..

პირველ მოხევას გადაურჩა ჩვენი ბანაკი! ეს იყო ღამით: მთვარის შუქიც კი არ გვეწყალობდა, მხოლოდ ნიავი ირხეოდა, როგორც ჰამაკი, და სადღაც... სადღაც ხევში წყარო მუსიკალობდა...

საგუშაგოდან სანიშნო თოფს გავეხმაურეთ, ჩვენი ცხენებიც წინ დაიძრნენ, ვით გაქანება... ოჰ, იმ მკაცრ ღამეს ჩვენის მკლავით მტერს ვეცნაურეთ და არ ვალირსეთ ჩვენს მიწაზე გაქაქანება!..

ბევრი ასეთი ღამე იყო და მშვიდი დილა, ხან დილიდანვე საღამომდე სამუმის ქროლა... ახ, ასე მძლეთ ჯერ ჩვენი ხმლები არ ამოწვდილა, ამ სისასტიკით ჯერ რიფისტანს არ ახსოვს ბრძოლა!..

ჯერ სახარიდან არ მოსულა ასე სამუმი, ჩრდილოეთის ცა არ ყოფილა ასე საზარი, და ჩვენს მკერდებში გულის ცემა ასე ძალუმი... და საყვარელი მშობლიური თავშესაფარი!..

მაშინ ჯერ კიდევ თვრამეტი წლის ბიჭი ვიყავი, მამა და ჩემი ოთხი ძმა აქ, მოხუცი პაპით, სიბერისგან რომ შინ უმძიმდა კანკალით მკლავი, აქ არა ერთხელ დაიმშვენა სისხლის კაპკაპით...

ჩვენ ერთ გუნდს ვგავდით, ურთ-ერთს ისე ვეტმასნებოდით, მაინც ყველა კი პაპიჩემის იყო დამცველი: მისთვის სუყველა მტრის მახვილს ზედ ავეცმებოდით, ტყვია ჩვენს მკერდს ვერ ასცდებოდა, მისი დამწველი!

მოხუცი პაპა ნაძრახ სიკვდილს გადავარჩინეთ, მაგრამ დავკარგეთ ის, რაც სულზე უფრო ტკბილია: სამშობლო მიწას დამონება ვერ ავაცდინეთ! წავიდა მისი სიამაყე და იდილია...

ახლა მე თავზე გადმომჩხავის შავი ყორანი, ახლა ჩემს გულზე რკინის ქუსლი მძიმეთ აბიჯებს, აშმორებული შორი კაფე, თუ რესტორანი კვენსით მაგონებს ისტორიის სასტიკ ნაბიჯებს!..

ვიყავი ბიჭი, თვრამეტი წლის, გულით-ფოლადი, და არა ერთხელ გადავურჩი მე მტრის ხოლოხებს, მის შავს ურდოებს, ცხენთან ერთად, ისე ვფოლავდი, ვით მამიჩემის ხნულ მიწაზე აყრილს გოროხებს!..

ეჰ, ბევრი ტკბილი განცდა გაჰყვა ამ მოგონებას, მტრის შემოხევას, მის შეხვედრას, გამირულ სიმღერებს!.. ვინ იფიქრებდა თვით ოც წელშიც ჩემს დაღონებას! და ოცდა ორში კი ვგრძნობ უკვე გულში სიბერეს!..

ახლა ბორკილის ხმა მაგონებს ხმლის აუღერებას,
 მიმძიმებს თვალის წამწმებს მისი უნგი და უინი,
 ვგავარ პაპის ჩონჩხს და სახარის გამომშტერებას,
 და სამუმის ხმად მესმის ჩემივ ცხენის ჭიხვინი...

როგორც ზევიდან უგულოა ცხელი სახარა,
 მაგრამ იქ, მიწის გულში ცეცხლი სულ სხვა ანთია,
 ისე დღეს, თუმც სდუმს ჩემი გული, ჩემი ნალარა,
 და წელი ჩემი სიბერისგან თითქოს ზანტია,

მაგრამ ხვალ, ვიცი, დაუბერავს სულ სხვა სამუმი,
 ჩემს გატაცებას აღარ უნდა ბევრი მიწოლა:
 მიწის გულივით ღველფავს ჩემში ცეცხლი ძალუმი,
 და მელანდება სიზმარშიც კი განვლილი ბრძოლა!..

ბევრი უგულო დღე და ღამე, უფრო საზარი,
 ბევრი უგულო საათები, მეტი წამები,
 ჩვენი წინსვლა, ვით ნავთ-მოდებულ სივრცის ხანძარი
 და უკუქცევა, ბედის წყევა, განაწამები...

მე მაგონდება... და ახალი ხმითაც მეძახის!..
 და იწევს მკერდი, ვით პირველი ჩვენი მიწოლა!..
 მე მაგონდება წლები, მტერთან შეყრის და ჯახის...
 მე მაგონდება მთლად განვლილი სასტიკი ბრძოლა...

მისი გმირული დასაწყისი, გმირული ცემა,
 მაგრამ დაბოლოს რკინის ხუნდში გამოჭერილი;
 შეჩვენებული, დაწყევლილი, ვით ანათემა,
 დატყვევებული... დაცემული... აბ-დელ-ქერიმი!..

ნ. ზომლათელი

ზ ა ფ ხ უ ლ უ ი

შუქი აღმასებს მინდვრად დაბანდავს.
 შარებს ბორბლებით დაბეკავს ხრეში.
 ტყით მონაქროლი ქარი აჭფანტავს
 მტვერებს ზაფხულის სიმხურვალეში.
 და გუმბათებზე დაიფერფლება
 ღრუბლის ნაცხრილი სხივი-მანდილი.
 ნამი მიღებით დაიღვენთება,
 ვით ცრემლი თოვლის, უნო შარშანდელი.
 აქ კოშკი მძიმე, შემოხაზული.
 ჭანდარიც თითქოს ქვამ გააქვავა.
 პეპლების ფრთებით სურათთ გადვუვლი

და ვხატავ, სანამ ეგ დღე გადავა.
 ღამით ჩრდილები აშლის მზე-ქალებს:
 მოვლენ ხალისით ლოდინში უცბად.
 მთვარე აუხელს თვალებს სპეკალებს,
 სადაც დღის სხივებს ფეხნი დაუცდათ.
 შეწყდება ქარი და მასლაათი,
 ზახილი ამ ტბის, პასუხი იმ მთის.
 დარეკავს კოშკზე ძველი საათი—
 და დათვლილ ღელვათ კვლავ გადაითვლის.

ფოთი.

იასამანი.

ბ რ ი გ ო ლ ვ ე შ ა კ ე ლ ს

ო, საქართველო რაზედ მიყვარდი
 თუ დამტოვებდი შენს ერთგულს ობლად,
 შენ იყავ ჩემი ოცნების ვარდი,
 დავეხეტები სოფლიდან-სოფლად.

ეხლა ცრემლები ვიკმარო უნდა,
 ვიარ სისხლისგან თვალ-დახეული
 მე შენს სიყვარულს ვზიდავდი მუდამ
 მძიმე ნალველით სისხლ-დანთხეული.

სფლავი შენი, გრიგოლ, არ მჯერა!
 სიკვდილი შენი, ტყვია, ღალატი,
 მხოლოდ გმირობამ თუ გაგაჩერა
 გველური რკალი რომ გერთყა ალყად.

შენ უცხოეთშიც აღარ დაგინდეს,
 ვერ მოგინელეს ვით სააკაძე,
 მეტოქეობით რომ ვერ გაგიძლეს,

სისხლის გვირგვინი გულზე დაგიწნეს
 და გაგიშალეს მტრებმა საკაცე.

მე ტფილისიდან ვტირი და გეძებ,
 მე ტფილისიდან გითვლი სიყვარულს,
 შენ პოეტები გიგრძნობენ ძმებათ,
 სამშობლოს კარზე სისხლად მოღვარულს.

მოვა დრო, გრიგოლ, გადაფასდება
 სისხლი, სიმართლე, დაუდგრომელი
 სამშობლო შენი არ დამარცხდება,
 რადგან პატრონობს ხალხი მშრომელი.

და საქართველო ახალი, მძლავრი,
 შვილს გადაკარგულს გახსენებს მაშინ,
 საკუთარ მიწის მძებნელო მგზავრო
 დღეს განისვენე უცხო საფლავში.

ლადო მაჭავარიანი

თამუნია წერიტელს.

აკაკი წერეთლის პოემა „ნათელა“-ს
კორექტურის გაგზავნით.

—„მოდის ნახე“-ო, მოველ და ვნახე
და სჯობდა მაინც, რომ არ მენახა
არხისტრატის მრისხანე სახე
საკურთხეველის რომ სდგას კარებთან.
მე ბავში ვიყავ და არ ვიცოდი
ნათელა სისხლზე რისთვის ხარობდა
რა სიამაყის გულს აწვა ლოდი,
როცა სარებზე თავებს ახმობდა.
როგორც ათასი გამტყდარი თარი,
განაგრძობს მღერას თავების ღობე,
ძვლების ძლეიტამ სძლია თათარი,
და გამარჯვებას ველარ ხარობენ.
და მოგონება მოასკდება გულს,
და გრიგალივით სულზე გადიარს
ვხედავ ბრძოლისთვის სისხლით გათანგულს
და შეყვარებულ ცოტნე დადიანს.
მე არ მაცხია მონგოლის თაფლი
და ხელგაკრული არ ვწვივარ მზეზე.
მაგრამ ბუზები, რომ ვერ დაითვლი
კბენენ ჩემ სხეულს სულ უმიზეზოთ.
არ შეგიკერავს შენ ჩემთვის ჩოხა
მაგრამ ვატარებ ობობას პერანგს,
რაც რომ სიცოცხლე მიჩნდეს ოხრად
სხვა ასეთ სისხლით მას ვერ შედებავს.
ბევრი დაგყვება დღეს აბეზარი,
მაგრამ არ გვანან იმ ძველ რაინდებს!
რა საჭიროა იმ დროთ მეზარე
დრო უმისოდაც არავის ინდობს.
ამ სიბნელეშიც მოდის ნათელა
ქველი წერეთლის ამაყი ქალი
მე თუ ცხოვრებამ მართლა გამთელა
მთოლვარე გულის დამრჩა ფართქალი.
მაგარი არის ხომ „მოდის ნახე“.
ლექსს უფრო მტკიცე აქვს გალავანი
და ეს პოემაც შენ შეინახე,
მეც პოეტების ვარ ფალავანი.
ასე იმღერის ძველი მოტივი
სამოთხის ჩიტი გამაიუნო
შენ გარდა ალბად სხვაც მომიტევენს
რომ შენზე ვფიქრობ დღეს თამუნია.

ტიციან ტაბიძე.

22—VI—1926 წ. ტფილისი.

ექვსი სიმღერა

სიმღერა პირველი

აი ის, აი ის; ახალი დღეების
ბაგენი სამშობლოს მიწაზე მღერს;
ახლო ქვეყანავ, მე გულით გეხები
და სიმღერების ქსოვილში გხვევ.
მე ერთხელ ვინატრე ღრუბლების შერხევა
და ვარსკვლავების გაფენა გზათ,
მგზავრი ვარ, მივდივარ, დილა-დღის შეხვედრა
მირეკავს გულში იმედის ზარს.
ღამეა და ჩემში მოწყენა გადმორბის,
ეს გული მიმიგავს დავარდნილ ქვას...

სანამდე განთიადს, ჭალარა მამობილს,
არ ამოათრევს მამლების ხმა.
ო, მზეო, გადარებ ამირანს ახოვანს,
მზის ამოგორებას გულივით ვგრძნობ:
ღამე კი რა არ არის! ისე უსახოა,
თითქო გაიცვითა, გავარდა ძრო.

სიმღერა მეორე

გულ-აღმა დავვარდი, მტკვარის ნაპირია...
ზვირთებო, ზვირთებო, რას მეტყვეით სხვას!
ეგ თქვენი დუდუნი თუ სხვანაირია,
მეც თქვენ სადღეგრძელოს თვალებით ვსვამ.

მთებში და ღრეებში, სად ქარნი ღმუიან,
სადაც ამირანი ელოდა ხსნას;
გულთ მოშურდულევე, ნუ გინდა, ნუ იარ...
იქ მხოლოდ ფიქრები ოცნებას წვავს.
გახედე, მტკვარისკენ თვალები გაშალე,
რკინის ამირანი უმშვენებს შუბლს:
მორისხთ თვალები, აცვია ჯავშანი
და ღრუბლებს ურიგებს ელვების შუბს.
ქარია, ზვირთები ჯირითით მორბიან,
მაყრიან რკინებით გატკვერილ ხმებს...
მღერიან; ნაპირებს ასკდება მორევი,
თითქო სამეგობროთ მიწოდებს ხელს.

სიმღერა მესამე

დილამდე ებრძოდა გრიგალებს გრიგალი,
ქუხდენ და მეხები რეკავდენ ზარს:
ველებს მიკიოდენ,—მთვარე მოგიკალით,
ღრუბლები ფარავენ ცასა და გზას.—
რა ბნელი ღამეა, რა მღვრიე თვალემა,
მთვარის გულს მეხების ქუსლები ხევს:
მშვიდობით მთვარეო, ღამე ნამთვრალევი
გრიგალი ღრუბლების ჩვარებით გხვევს:
თუ ჩვენი დღეები ეხლა ერთფერია
და აღარ გვიტაცებს შრიალი ტყის,
იცოდე მთვარეო, ეს იმის მთქმელია,
რომ შენი ცილიც ნემსათ არ ღირს.
ზვირთები ხმაურობს, ზვირთები ღმუიან:
—რკინის ამირანო სადა ხარ, სად!
გადმოდის, აენტე... ხომ შენახულია
შენში მოვლვარე უღრუბლო ცა.

სიმღერა მეოთხე

ყვავიან ტყემლები, იები, ბუჩქები;
ნიაფი შრიალით ყვავილებს ყრის...
ო, ეს სადამოა ასეთი უჩვევი,
თუ მუდამ ველებზე სიჩუმე ქრის!
დავდივარ, თვალები სილადით მთვრალია:
გზები თუ ამებნა, სადა ვარ, სად!
მითხარი ყვავილო: ნუ თუ მართალია,
რომ ისევ ტკბილია ცხოვრების გზა.
ბედითი ბრძოლებში ვიყავით გართული,
ვშიშობდით, უცქერდით დღეების წვას...
მითხარ, თუ არ ისმის ფლოქვების თქარუნი
სამშობლო მხარეში, რას ნიშნავს, რას!
დაღლილი მივეგდე, გვიმბრა და ფშანია...
ფოთლები მასხურებს მოვერცხლილ რთვილს...
ვიგრძენ—ეს სიმშვიდე ძლევის ნიშანია,
ვიგრძენ—გამარჯვების ღიმილი თრთის.

სიმღერა მეხუთე

დილამდე გიცდიდი, დილამდე გელოდე
და გულში დელავდა ლოდინის ზღვა:
ბნელოდა... ბინდები დნებოდენ მდელთაზე
და გული ამბობდა:—არ მინდა სხვა.—
შენ არც ღამაში ხარ, არც ფარჩის ქსოვილით,
სინაზეც აჩუქე ბრძოლების ქარს...
შენ ჩემთვის გამირი ხარ, დიდებით მოსილი,
და მინდა გიმღერო მეგობარ ქალს.
სხვებმა რა იციან, რომ შენი სიცილი,
ეხლა რათ მოაგავს გაბზარულ ზარს:
სხვებმა რა იციან, მაგ თვალთა ციმციმი,
თუ რატომ უნათებს სტრიქონებს გზას!
ერთად გავიარეთ დარი, უღარობა...
გზა დაღლილს მესროდი იმედის ხმას;
და რადგან შენ გრძნობდი ამ გულის გოდებას
არ მინდა, არ მინდა უმღერო სხვას.

სიმღერა მეექვსე

აცვიდა, ნისლები ესევა მთაწმიდას...
ბალებში დაკარგულ ღამეებს გლოვს:
ღუმელში მარტო ვარ, გული დამიმძიმდა,
შიშით ვემალები სამარის ლოდს.
ლოდებო, სამარის ხსოვნათა მფარავო,
მე თრთოლვით გაშორებთ სუროს და ხავსს:
მიჩვენეთ ზვიადი მოხუცის საფლავი,
გული რომ აჩუქა სამშობლოს, ხალხს.
მთაწმიდის გადაღმა ხევეები ღმუიან,
ღრუბლები, ღრუბლები მიდამოს ხვევს:
ირჩევა ლოდები... ძვლების ჩხარუნია
და ვილაც ნისლიდან მიწოდებს ხელს.
მოვდივარ, მომყვება: რა ვქნა, მიხარია...
და ჩუმათ შევცქერი შევერცხლილ თმას;
—მოხუცო, გეძებდი რამდენი ხანია,
მოწმეა ღამე და ფიქრების მთა.—
მობრუნდა; ღიმილი გაგორდა ბაგეზე:
ქედი მოვუხარე აკაკის ლანდს...
მან გაიშრიალა:—მითხარ რათ დამეძებ,
და ან საქართველოს რა დარდი წვავს?—
—ძვირფასო მოხუცო, სუნთქვა მიგუბდება:
თვალებს სიხარულის მორევი რწყავს;
ეგ შენი ტკივილი თუ გულს დაუბრუნდეს,
მაშინ ჩემი გულიც ჩაქოლოს ქვამ.—
იჩქებს: ეხვევა ბალახებს ნამიანს
სივრცეში ჩაძირავს მშობლიურ თვალს,
გაოცდა: ჩურჩულებს,—ზეცა რომელია,
ან ის რა ანათებს თბილისის თავს?—
ცა ვინ შეარხია ვარსკვლავთ საბადური,
ან ვინ გააფინა მნათობნი ძირს...
მითხარ, რამ დააშრო ტკივილი ქართული,
სევდა უნაპირო, დუდუნი მტკვრის?—
თენდება: თეთრდება მთაწმიდის მალლობი,
აკაკის ჭაღარაც განთიადს გავს:
შორიდან მოისმის ბულობულის გალობა
და მთის სურნელება გადმოაქვს ქარს.—
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტის სევდათა
მოწამე აჩრდილო, რა გითხრა, რა!
გინდა საქართველოს გულზე მოგათავსებ,
ტკბილია; ვერ იგრძნობ ეკალს და ნარს.
დრო იყო, მიწაზე გულები გიმძიმდათ,
ეტრფოდი ვარსკვლავებს, იმედის ცვარს...
ეხლა გადახედე, ზეცა დაიბინდა...
რა უფრო ელვარებს, მიწა თუ ცა?
მიჯაჭვულ ამირანს უმღერდით, ელოდით;
იქნევდით მოლესილ სიმღერის პირს...
მაგრამ მდუმარებდა ბედი და ბნელოდა:
ამირანს კორტნიდენ ყორნები კლდის.
ზვიადო, თბილისზე თვალი გადახსენი,
იცანი... ამირან მიმღერის გზებს...
მთებიდან ბრძოლებით იგი დავისხენით,
რომ ჩამოეტანა ცეცხლი და მზე.
მღეროდით,—სხვა კუთხე ასეთი სად არის,
როგორც საქართველოს ბარი და მთა,—
მეც გეტყვი, მოხუცო, არა ჰყავს სადარი
მზისკენ მის გაფრენილ ცეცხლოვან თვალს...
მიცქერის: უჩვევი აღერსით მივიწევ,
მინდა ვეამბორო საყვარელ ლანდს;
უამბო სხვა რამეც,
უეცრათ ვიდვიძებ...
და თურმე ვეხვევი ლოდების ხავსს.

ღაბრუნებული ღარები.

გაზაფხულს თვალი კიდევ ვაჩუქე,
 მოდის მაისი ტყემლით, ნუშებით:
 მზემ ახლა ლურჯად ცა გააშუქა
 და დაეწავა ცხელი ტუჩებით.
 გადაიფინა მწვანედ ბალები
 და ეჩქარება ტყეში მაჟალოს—
 თეთრი ხავერდის ბაირადები
 მიწას ნოყიერს გადააშალოს.
 ტალღა ხმაურით მირბის ხევებში,
 გადარეული ზევით მთებშივე,
 და იძირება ღრმა მორევებში
 ცა მინანქარის მალალ თეფშით.
 წყალო მიწაო, წყალო მდორეო,
 როგორ მიყვარხარ. მოვალ, დამიცა.
 კლდეზე მესროდა შხეფებს მორევი
 და ახურებდა მკერდს დედამიწა.

მე ეხლა ვხედავ: მზის ნაფხურებს,
 მწვანეანს, ყუდროს, ჯარას, ყავარჯენს.
 გახარებულ და გამთბარ ბელურებს
 ყივილი გააქვთ საბძლის ყავარზე.
 ადგა სოფელი ზანტი ზმორებით,
 მძიმედ დაბობლავს დევი გლეხური.
 ველი ნაწვიმი და ნატბორები
 მიწას ხალივით გადაეხურა.
 ეხლა ბუხრისთვის ვისა სცალია,
 ოფლმა გაბანა მკერდი ორგანი.
 გადაუვლია ბალახს ჩალიანს
 და დაუფარავს მინდვრის ყორღანი.
 კვალს მიჰყვებიან ერთად ბიჭები,

ისმის მუშური, როგორც მაყრული.
 წაქცეულ მიწას ფეხს აბიჯებენ,
 ბელტოში ჯდება ბარი დაკრული.
 მიწა ჰარაღე, მიწა დელია,
 გვაძლევ ლუკმაპურს, გვაძლევ სამოსელს.
 მზის გადახრაზე სამხარს ელიან
 და ატყუებენ თვალს სალამოზე.

მიდის ფარები მთის იალალზე,
 წინ მიუძღვიან ხამი ბოტები.
 ნამგადაუყრელ დილის ბალახზე
 მწყემსები დინჯად მიაბოტებენ.
 ცაო მთვარეო, ცაო ამინდო,
 თავზე სილურჯე დამიტრიალეთ.
 იქნებ იქნამდე მაინც დამინდოთ,
 სანამ გადავა ცხვარი თრიალეთს.
 შრიალით მიდის გზაზე ფარები
 და თან მიჰყვება მძიმედ ურემი.
 ლამის ნაბადს რო დაიფარებენ,
 აკვნესდებიან სალამურები.

ჩნდება სოფელი. მთები, ჭალები.
 მიწა დამსქდარი და ნაარხევი.
 იასამანი, ვაშლი, ბალები
 ფიქრში დაფენილ ტოტებს არხევენ.
 ურმის ჭრიალი იდგა შარაზე.
 დიდხანს ისმოდა ველზე მაყრული...
 დაეშვებოდენ ჩემს ფანჯარაზე
 სალამოები ცაზე გაკრული.

ი. ზოსავილი

1926 წ. აპრილი.

ტფილისი.

გაზაფხული ტფილისში.

ქუჩებში ჩუმად შემოგვეპარა,
 იის კონებით მოჭქარგა კვალი,
 და თბილისს ზეცა გადაეფარა,
 როგორც მოწყალე დვთისმშობლის თვალი.
 ჩვენო სიწმინდე გადაკარგულო,
 დედაო ტკბილო, დღე დამიმძიმდა!
 და ეს პატარა მტკივანი გული
 შენ თბილ მუხლებზე დავაგდო მინდა!
 მიმიღე მაინც! გადაიბურდა.
 ჯვარცმად გადიქა ჩვენი დღეები.
 და მე სიწმინდე ისე მომწყურდა,
 როგორც დამწყვდეულ ირემს ტყეები.
 ოჰ, ზიარებით სავსე ბარძიო,

თბილისო ჩემო, ამღერებულო,
 შენი სიონი თეთრი და მძიმე
 თითქოს ჩემ გულში აშენებულა!
 თავს სასწაულის რეტი ესხმება,
 და მაინც მჯერა, რომ ორბის ფრთები
 ჩემს მხრებს დამტვრეულს გამოესხმება,
 რომ გადმოგფანტო იების მთები.
 უკანასკნელად მომხვიე ხელი,
 გადამიწვინე შენ სათუთ მკლავზე,
 რომ ვიმეორო შენი სახელი,
 და გული გაგჯეს ზარების ხმაზე.

კოლაუ ნაღირაძე,

1926 წ. თბილისი.

ლ ი ლ ი.

ხევთა შორის მონადირემ,
როცა ისრით მოჰკლა შველი:
ტყის პირი რომ გაიარა
ლილი შეხვდა ფეხშიშველი.
რომ ტიროდა ხევის ქალი
ნისლი ერთუა შავი ზღვის;
გადაეგდო ცისკენ თვალი,
თვალს უტეხდა სხივი მზის...
სადაც მთებში ხრამ-ორმოდან
ნახტომები სდევდა ირემს:
ლილი ტყე-ტყე გაურბოდა
გზა-გაქცეულ მონადირეს...
რომ გულდამწვარ გულიმზეზე
კლდეს მოდინდა ცრემლი ქვის,
ცის სიცილად გაშლილ მზეზე

ფერვანობდა ოქროს თმის.
სადაც ხევში ლილის სირბილს
ამოეჭრა გზა და კვალი,
იქ წისქვილი ხრავდა სიმინდს,
მდინარიდან ყეფდა წყალი.
რომ ცრემლებით სავსე თვალზე
ცა ედინა გიშრის ტბის;
ხავერდოვან მთის ნაპრალზე
იჭრებოდა ქალი ტყის...
მაგრამ როცა მდუმარე ცა
ხევეს აყრიდა ღრუბლის ტირიფს:
რომ გაგიჟდა მონადირე
ტყეს ესროდა ხმას და ტირილს...

მ. შურული.

ქალაქის სამკაული.

მქონდა სოფელი ვრცელი და კოხტა,
შემოფარგლული ტყით და ველებით;
დავთამაშობდი მჭვარტილიან ქოხთან
და მაშინებდა ხშირად გველები.
და როცა ღამე ნახშირს დაჰყრიდა
და ბაყაყეთში იდგა კონცერტი,
ისე ვუსმენდი ვიწრო სარკმლიდან,
თითქმე მუსიკა იყო მოცარტის.

მხიბლავდა ბაღია ფერადი ხილით,
მსხალი და ვაშლის ვიყავი ტურა:
ბევრჯერ ვეკიდე ხის ტოტზე ლილით
და მაქანებდა ნიავი მტრულად.
მაგრამ დავტოვე მწვანე კარვები
და შევიყვარე ქალაქის სული,
და დამაქვს ახლა მისი ქარვები:
ბრძოლა, იმედი, ექვი და წულული.

პარლამ რუხაძე.

სიტყვა ჩემს საუკუნეს.

მოხდა სივრცეში უეცარი ცეცხლის ანთება
და შენ მოვარდი ლაგამ-დახრულ ელვების რაშით:
— ხსნა ამბოხშია, გამარჯვება კი სისხლის ღვრაში—
ბარიკადებთან, თორემ ბრძოლა დაგვიანდება,—

ათას საყვირით შენი გრგვინვა დღეს იფანტება!—
აღმართე დროშა, ტრიბუნები და ეშაფოტი,
აატორტმანე დედამიწა, როგორც ნაფოტი
და ორ სამყაროს ხერხემალზე გამწმენდ შანთებად—

ცეცხლის და რკინის ღვართქაფები გადაატარე,—
დასჭიდე ერთურთს, როგორც ორი გლადიატორი!—
დიდია ხარკი, მიწას შენთვის რომ მოუცია...

შენთვის არ არის არც განკითხვა, არც სამართალი,
ბრძოლის ყიყინით, როგორც მკაცრი მთავარსარდალი—
წინ მიუძღვები ფაფარ-აყრილ რევოლიუციას!..

ს. ფაშალიშვილი.

ნოე ჩხიკვაძის დაუბეჭდავი ლექსები.

I.

სიმღერა.

არ მსურს მქონდეს მეფის სკიპტრა-პორფირი,
ჩემი ყოფნა ოქრო-ვერცხლით ბრწყინავდეს,
არ მსურს ვიყო ქალაჩუნა, ორპირი,
რომ ჩემ გამო სხვა ტანჯვითა გმინავდეს.

მე მსურს ვიყო ძმობის მქადაგებელი,
კაცთა შორის წინსვლა-სიყვარულისა,
მე მსურს დავსცე ბოროტების კედელი,
დავამსხვრიო ხუნდი დაჩაგრულისა!

არ მსურს ვიყო კმაყოფილი, მდიდარი,
სხვისი ოფლით, სხვისი სისხლით ვსტკებოდდე,
მოდმეს გულში გავუტარო ისარი
და ტაძარში უფალს ვევედრებოდდე.

მე მსურს ვიყო ზეცის მუშა-მაშვერალი,
წმინდა შრომით დღეის-დღე გავატარო,
ყოველ ერსა ვასწავლო სამართალი,
ყველგან შრომის სუფევა დავამყარო.

არ მსურს მქონდეს მყუდრო ბინა და ჭერი,
ვამაუბდე ჩემი საკუთრებითა,
დავდიოდდე ვით ეშმაკის ნაჭერი —
შურიანი, სავსე ბოროტებითა.

მე მსურს მქონდეს წმინდა შრომის უფლება,
სადაც ყველა ძმურად შენაერთია,
სრული ბედი, სრული თავისუფლება!
სიკვდილი და მიწა ყველგან ერთია!

არ მსურს მქონდეს დიდკაცებთან კავშირი,
მათი ლხინი, მათი შამპანიური,
არ მსურს მათთვის ვამეტყველო ეს სტვირი,
ზეცის კილო, აღმაფრენა ღვთიური.

მე მსურს ბრძოლა! ბოროტების დამხობა,
ვიდრე მკვდარსა არ დამცვივა ხელები,
ნუგეშათ და სასოებათ წამყოფა:
დაჩაგრულთა უანგარო ცრემლები.

ნ. ჩხიკვაძე.

2.

.....
.....
.....

უკან დაბრუნდი... და როდესაც თვითონ განათლდე,
შემდეგ ასწავლე შენი აზრი, შენი ფიქრები,
თორემ ოცნებით, ჩემო კარგო, რა-გინდ ამალდე,
ბედნიერებას ვერ იხილავ, ვერ ეღირსები!..“

და გაჭქრა იგი, სიზმარით გაუჩინარდა,
მე-კი, სირცხვილით დავილიე, დავბატარავდი,
ხმალიც ხელიდან გამომისხლტდა, ძირს დამივარდა,
და მივხვდი: ჭკუას, თურმე ისევ ჩემს თავს ვპარავდი...

და შემოვბრუნდი, უცხო ქვეყნის დავტოვე სფერო,
გული გავანდე წუთით ნასმენ ახალსა მცნებას,
და შენთან მოველ, შენ გიმღერი, ქართველო ერო:
შრომას, ერთობას, სიყვარულს და თავისუფლებას!

მე არა მჯერა ბოროტების გარდუვალობა,
მე არა მჯერა, არ დამხსვრეს ტანჯვის კედელი,
და თუ ჩაგრულსა აღამალლებს ჩემი გალობა,
არა მრცხვენია ვიყო ერის მქადაგებელი.

მოდო, ისმინე ბრძოლის ხმათა მშვენიერება,
ძველი ცხოვრება გადასთელე და გარდაქმენი,
მაგრამ სხვის ჭირზე არ ააგო ბედნიერება,
თორემ უკვალოდ აღიგვება არსება შენი!

იწამე შრომა... და როდესაც დადგება უამი:
ყოველი ერის, ყველა ტომთა შეერთებისა,
კაცობრიობას შეუერთე შენი სალამი
და მხნედ აღმართე მასთან დროშა განახლებისა.

დე, მომავალმა სცნოს, რომ გქონდა შენი ტაძარი,
რომ აიტანე ბევრი ტანჯვა და სივაგლახე,
და მსოფლიოში, ვით საუნჯე დაუვიწყარი,
ძღვნათ მიიტანე უკეთესი შენ შენი სახე.

მაშინ მე ისევ გავცოცხლდები, მკვდრეთით ავლდგები,
ისევ გიმღერებ შენ საყვარელ სატრფო სიმღერას
და საუკუნო უკვდავების ზარათ გავყვები
მადლით აღსავსე შენს ცხოვრებას, შენს ბედისწერას.

ნ. ჩხიკვაძე.

პოემიდან: „უჩაღლები ქალაქს გადასცდენ“.

განწყობილებათა მაგისტრალი.

ცა იბერება მთის ამოსუნთქვით
ყრის ნაცარ-ტუტას და ხრიოკ ველებს,
რაც დარდი ქონდა დროთ ამოსუთქვა,—
მანდლილი დარდი გზას თვით გაიკვლევს.
მაგრამ გზა არ გავს ფეხით სავალ გზას
აქ აბრაგები იბოგირებენ.
ჯიხვის ნახტომით ხვდებიან საგზალს—
მზეს სანაპიროს, სამაგიეროს.

—უჩაღო შენზე ფიქრობს მიდორი,
მთა სუნთქავს შენთან ჯანსაღ ფილტვივით—
უორუა გაუხმო შენს კარმიდამოს
დაგეშილმა მზემ, გზირმა, მელოტმა
გარს მთები გახლავს, მიდორი რად გსურს
სურვილებივით გადაშლილია.
მთვარეს რას ერჩი, თუ მზემ შეგმუსრა,
მთვარე ხომ დედისერთა შვილია.

ნიკოლოზ ჩაჩავა.

მ წ ი ნ მ ა რ ი.

გზებზე გამოდის მოქანცული მთა ყავარჯენით
 სადაც ღრუბლებით კავკასია დანადარდია,
 გეგურთხვს მწვავრო კლდეებიდან მხარი მარჯვენა,
 ადგეს მწვერვალი მიესალმოს მინდვრებს ფარდიანს,
 სადაც ლომების მოღმუილე დაჭრილ ჯოგვივით,
 თერგი აბოღმებს საუკუნით ჩაყრილ ხეობებს.
 გადახვეწილი სივრცეებზე მუინვარი ყივის,
 უამთა ფირითში დაუნდობლათ დაობლებული.
 გავიპობ მკერდს, ყინვის ხევისგან გასპეტაკებულს,
 მარცხენა მხრიდან ამოვიღებ მუინვარს გათოშილს;
 წამოვლენ დრონი — კლდეები მკერდებს დაატაკებენ
 და ლამეები ხრამების ყრონტში აბრიალდება.
 და როცა ცაზე მზე ტრიალებს ცეცხლის ბორბალი.
 ყინვებს სხივები მოტეხილ ფრთებთ დაეკიდება:
 აფრინდება კავკასიის ძვლებზე ორბები
 და მწვერვალებზე ვარსკვლავთა წეწვით აკივდება.
 შემდეგ უკრავენ ქარავნები ძვლების საკრალებს,
 და სეტყვებიდან გამოსრავენ ხრამებში სოროს,—
 მაშინ კავკასი ყინულებით ტანში შეკრული
 თავის ტკივილებს გამოუთქმელს ცას სუფლიორობს.
 როცა სამშობლოს შეხედავენ მთანი შუბლებით
 მუინვარის გულზე ამართული დგება ილია,
 მოდის ხალხისკენ მინდვრებივით თავისუფლება
 და თან ღროულათ არჩეულ გზებზე მთების ჯოგები გამოი-
 ვლიან.

*

როცა თერგი ხტის კრისტალებათ ქვათა სიპებზე
 და დაჭრილივით კლდეზე ურტყამ ფრთიან ჩანჩქერებს,
 მდინარის გულით ამოხედავს მთების სპილოებს
 და ყორნის ნაცვლათ ძირს ყორნები ჩამოჩხავლებენ.
 მუინვარი ჩემს სულს და საუკუნის საყვირს ემონა,
 იხურავს ქუდს — სხეულს ამოსწევს გაფოტროებულს
 ამოუძვრები მე ყრონტიდან, როგორც დემონი,
 და ჩემს მიზნებით მწვერვალებზე დავტრიალდები.
 და წელმოუხრებს დამარცხების ელვა მეცემა
 ჩამოდის წვიმა. ფეხები მოაქვს გაფანტული კიბორჩხალებათ:
 დემონს სივრცეში სიმახინჯით გამეცინება
 და დახცვივდება გაციდება ყინულების ნაკვერცხლებივით.

*

საუკუნენი გაბაწრული სხივთა ღვედებით,
 და სიბნელეში დაკარგული, ნაბიჯები წამოდგებიან,
 მუინვარი ხედავს თავის მიზნის ახალ ზღუდეებს
 და იცვლის გზას დადგმულ დროებით გამოგონებულს.

სპარსული ნოხი, ყალიონი და იალბუზი.

მე სპარსულ ნოხზე ვწევარ და ვფიქრობ:
 არ მოდის სახელი და დიდება.
 წვრილ-წვრილი ლექსებით ვინ უნდა გავაკვიროვ,
 არც ერთი მუტრუკი
 მე არ მერიდება
 და თავის დაცვა მჭირდება
 მუშტი-კრივით.
 მე ყალიონს ვაბოლებ და ვფიქრობ:
 მე თუ მუდამ ასე ზარმაცი ვიქნები
 და ებრ დავსწერ დიდ წიგნებს.
 რომ შევიქნე პოპულიარული?!..
 მე მინდა მიცნობდეს ყველა მილიციელი
 და იცოდეს, რომ ვარ ბუნებრივი პოეტი,

მთა ილია ეს გაზრდილი შენი მთებია
 ორბელიანი აქ მიფორთხავს დამტყდარ ფრჩხილებით,
 მთანი კლდეების მკერდებიდან ღრიალდებიან
 და ებრძვის მზე ღრუბლების ჯარს, მოჩხუბარით.
 მაშინ კბილები ყინულებით გაბოლქომდება
 მე წილათ მერგოს ამ ცხოვრების საგალობელი
 ჩვენ მივცეთ ხალხს კრისტალ გრძნობების შემოქმედება
 და გავირეკოთ ძველი მთები ბებერ მგლებივით.
 გონების გზა ავირჩიოთ მოსაზრებული,
 ტვინის სიმძიმე ფრჩხილებამდის დაგვაზრიალოს,
 ადგეს მწვერვალი, დაუძრავი, ჩრდილობიანათ
 და მსოფლიოში ბრძოლებისთვის ყველა ზღვები გადაიაროს.
 სივრცე ცეკვაა და მაიმუნათ მზე დადგება მუდამ ცერებზე
 და არ იფორთხებს ყინულებზე ორბელიანი
 ამის შესახებ მუინვარს ბევრჯერ გაგეცინება
 და ეს სიცილი გადავარდება ცხოვრებაში ცეცხლის ბორბ-
 ლებათ.

*

თერგი შეღმუის საუკუნით ჩაყრილ ხეობებს
 სდუმს ილია თვის სურვილების დამწუხრებისას
 დროების გული ამორთმეული დაეკიდება ჩემ ხმელ ხელებზე
 და მუინვარს მწვერვალს მკერდში მადგამენ კავკასიის მაღალ
 მხრებიდან.

როკაპი მთა სად გაქრაო ხალხი მოითხოვს
 მთები იწყებენ სინიდისით ფერის ცვალებას,
 დარბაისელი მთა გამოდის მოთმინებიდან,
 და შენდებიან შენობები, საუკუნები ჩონჩხის ძვლებივით.
 მიდის ილია ჩვენი მთების უხმო დარაჯი
 მას მოძრაობა მხოლოდ თერგის მსგავსი სწყურია,
 აიწვეს ხელებს. დაექადნება ცას გალურჯებულს
 და დაიყუფებს ის კლდეებიდან გაძევებული როგორც მურია.
 ცა საუკუნის სურვილებით გაიჟღალება
 დროის საკრალნი უმღერიათ მყოფადს ფრთებიან
 შორს წავა წვიმა მოჩხრიალე წინწყლის ეყვნებით,
 და კავკასიის მწვერვალებზე საუკუნენი კრისტალებათ გა-
 მეფდებიან.

*

მე ვიპობ მკერდს ყინვის ხევისგან გასპეტაკებულს,
 მარჯვენა მხრიდან ამოვიღებ მუინვარს გათოშილს;
 წამოვლენ დრონი — კლდეები მკერდებს დაატაკებენ,—
 და ლამეები ხრამების ყრონტში აბრიალდება.

სიმონ ჩიქოვანი.

ამოსული როგორც მცენარე.
 მე იალბუზის მთას ვუცქერი და ვფიქრობ:
 საქართველოს პირველ კაცებთან პური გამიტეხია.
 ღვინო და ყავა დამიღვია.
 მე ვიცი რომ იალბუზზე ასვლა ძნელია,
 აქ არ კმარა უბრალო ნაცნობობა,
 საჭიროა მაგარი მუხლი და მკლავის ძალა,
 ყოველ ადამიანს აწუხებს საკუთარი ობობა;
 შენს მაგიერ ფრჩხილებით ვინ დაეკიდება?!
 არ კმარა წვრილ-წვრილი ლექსები
 და სანტიმენტალური გრძნობა,
 რომ მოიხვეჭო: სიმდიდრე, სახელი და დიდება.

ბრიგოლ ცეცხლადი.

გიორგი ქუჩიშვილის ლექსები *).

1.

ჩემი სალაპი

პროლეტარიატს.

ქუდს გიხდი და
სალამს გითვლი,
სალამს, ნათელ-მზიანს,
იმედიათს,
ხალისიანს,
ბრძოლის ყიჟინიანს!
შენდა სადიდებლად
ვამუსიკებ ენას;
თაყვანსა ვცემ, ვემთხვევი
შენს ბერკეტ მარჯვენას!

2.

მინაობა.

მე დავიბადე ერთ ბნელ სარდაფში,
სადაც მზის სხივი ვერა სწვდებოდა,
სად შემოდგომის სასტიკი ქარი
ველურ ღმუხილით მემუქრებოდა.
მამა მომიკვდა... დედიკო ტკბილი
ყოველ ბინდისას სადღაც ჰქრებოდა;
სალამოთი კი, შრომით დაღლილი,
ისევ შინისკენ ეშურებოდა.
გათენებიდან დაღამებამდე
ლუკმა-პურისთვის წვალობდა დედა,
მე კი მთელი დღე ქუჩის ბიჭებში
დავწანწალობდი სხვისა კარზედა.
წამოვიზარდე... გუშინაც, დღესაც,
ისევ ამ ქუჩებს ვეძმობილები;
აქ აღვიზარდე და ბოლოს აქვე
დაისვენებენ ნათრევი ძვლები...

3.

ჩემი ტრფიალი

მუშათა კლასს.

შენზე ძლიერ და მტკიცედ
არავინ მყვარებია,
შენი ჭირი და ღხინი
გულით მიტარებია.

რა წამს უიმედობა
შენს სულს მიჰკარებია,—
მეისვე გასამხნეველად
ჩანგი მიჰლერებია.

როგორც სპარტაკის დედა
გზრდილი, გავაჟკაცებდი,
ხელში მახვილს გაძლევდი,
ბრძოლისკენ გიტაცებდი.

*) ამ ლექსებში სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა გ. ქუჩიშვილის ლექსთა კრებული, რომლიდანაც მოგვყავს ქუჩიშვილის პოეზიის ნიმუშები.

დღესაც ისევ შენ გიმღერ,
შენზე შეყვარებული,
მრავალ ჭირნახულობით
ადრე გათეთრებული.

4.

ოღა მშრომელ ხალხს.

დიდება თქვენდა,
მუშათა ჯარნო,
შრომის ლაშქარნო,
დიდება თქვენდა!
რევოლიუციის
რკინის აბჯარნო,
მთელი სამყარო
თქვენით აშენდა!
წითელ დროშის ქვეშ
თქვენ დაიფიცეთ,
მსოფლიოს სმენათ
და გასაგონათ,
რომ თქვენს უფლებას
დაიცავთ მტკიცეთ,
ალარ გახდებით
სხვის ყმათ და მონათ!
მაშ არ დაჰყაროთ
ხმალი და ფარი,
ძირს არ დაჰხაროთ
ემბლემა ხსნისა,—
გაერთიანდით,
მიეცით მხარი,
პროლეტარებო,
ყველა ქვეყნისა!

5.

მუშათა სასახლე.

(ამხ. გიორგი ყურულაშვილს).

ჩვენ აღვმართეთ,
ჩვენ ავზიდეთ,
ეს შენობა,
ეს სასახლე,
და მის წითელ დარბაზებში
კავშირები დავასახლეთ!
აქ ვერ ნახავთ
ბრძოლის ხელებს,
აქ ვერ ნახავთ
ოქროს ქოშებს;
აქ,
ამ მუშურ სასახლეში
აღლუმი აქვთ
შრომის დროშებს!
ჩვენ აღვმართეთ
ჩვენ ავზიდეთ,
ეს შენობა,
ეს სასახლე,
და მის ლამაზ დარბაზებში
ისევ ჩვენვე დავესახლეთ!

6.

ლ ე ნ ი ნ ი.

მისი სახელი დიდ რუსეთზე უდიდესია,
ვერ შეედრება ვერც პუშკინი, ვერც პეტრე-დიდი;
ის იყო ყველა გაყვლეფილთა მხსნელი მესია,
მან ააფეთქა კლასთა შორის თანხმობის ხიდი!
სამოქალაქო ომის ცეცხლიც მან გააჩალა,
რომლის დანახვაც იტაცებდა მამაცთა გულებს;
ხალხის გენიას, ხალხის მტერი სთვლიდა ყაჩაღათ,
მაგრამ ხარხარად არ ჰყოფნიდათ აჯანყებულებს!
გრგვინვა-გრიალით ინგრეოდნენ სრა-სასახლეწი,
პროჟექტორივით ანათებდნენ ცა-ს ყუმბარები;
რევოლიუციის მთავარსარდლათ იყო ლენინი
და ყველა ფრონტებს დაეუფლენ მისი ჯარები!
მეექვსედ ნაწილს უზარმაზარ დედამიწისას
დაეპატრონა დიქტატორი—ხალხი მშრომელი;
ის შეასრულებს ფიცს და ანდერძს დიდ ბელადისას,
და ეს იქნება მისი ძეგლი, ძეგლი, რომელიც
გაუძლებს ყველა ქარიშხლიან საუკუნეებს!

7.

ჯავახის ხიდი.

ვის უნახავს ძველის ძველი
ჯვარის მონასტერი,
რომლის გუმბათს თავს ევლებს
ნისლი მშვენიერი—
ვის უნახავს ძველის ძველი
ჯვარის მონასტერი?
იგი დღესაც ისევე სდგას,
როგორც იდგა წინათ:
წარსულ დროთა მათიანეთ,
დიდების გვირგვინათ—
დღესაც ისე ამაყად სდგას,
როგორც იდგა წინათ.
შორის გზიდან ეს ტაძარი
ისე მოსჩანს მთაზე,
ვით ზღაპრული ციხე-კოშკი,
დაკიდული ცაზე—
შორის გზიდან ეს ტაძარი
ისე მოსჩანს მთაზე,
რომ მგზავრის თვალს შეაჩერებს
მისი სილამაზე.
თურმე უწინ ამ ტაძარში
იყო ვინმე ბერი,
წმიდა მამას უწოდებდა
ქრისტიანი ერი—
თურმე უწინ ამ ტაძარში
იყო ვინმე ბერი,
თოვლიან ტყეს ჩამოჰგავდა
მისი თმა და წვერი.

წმიდა ჯვარის მონასტრიდან
მცხეთის მონასტრამდე,
ხიდი იყო გადებული,
ღვთის და ცის რისხვამდე—
წმიდა ჯვარის გუმბათიდან
მცხეთის გუმბათამდე,
ჯაჭვის ხიდი ქანაობდა
ბერის წაწყმენდამდე.
არაგვი მოხმაურობდა
ჯაჭვის ხიდის ქვეშა,
გულ-ხვეული მოღვლავდა,
ეხლებოდა კლდესა—
არაგვი მოხმაურობდა
ჯაჭვის ხიდის ქვეშა,
მის ხმაურში მოისმოდა
დედა ქართლის კვწეხა.
ერთხელ ბერი ჯაჭვის ხიდით
მცხეთას გადიოდა,
ხიდ ქვეშ ქალი ბანაობდა,
წყალზე ქანაობდა;
სითეთრით და სილამაზით
აფროდიტას სჯობდა,
ტალღა ვნებით ეხვეოდა,
ეშხით მუსიკობდა —
ჯაჭვის ხიდით მცხეთისაკენ
ბერი გადიოდა,
ხიდ ქვეშ ქალი ბანაობდა,
ზვირთზე ქანაობდა.
თვალი მოჰკრა შიშველ ქალწულს
და, დაება ბერი,
ანგელოსიც არ უნახავს
ისე მშვენიერი,
ვით ის ქალი მოლივლივე,
ქალი ტან-შიშველი,
თეთრ გულ-მკერდზე უფეთქოდა
ორი სეფისკვერი,
ვაუშლელი ორი კვირტი,
ორივ ხორბლის ფერი,
სამაცდურო ცოდვის ქსელი,
სიყვარულის ფსკერი.
ბერი ვნებით ჩააშტერდა
წამწყმედ ძუძუებში;
ჩაწყდა ჯაჭვი, ჩაიღუპა
არაგვის ზვირთებში.
და მას შემდეგ სიყრუეა
ჯვარის მონასტერში,
საცეცხლურად დაკიდულან
ლამურები ჭერში.
ალარავინ აღარ სწირავს
დღეს იმ მონასტერში
და ისპობა ყოველივე
დრო და ყამის მტვერში,
მხოლოდ რჩება ეს ლეგენდა
უცვლად ქართველ ერში.

ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრივობა*)

II.

ხელოვნება უდიდესი სოციალური საჭიროებაა. ის იმანენტურათ არის დაკავშირებული საზოგადოებრივობასთან და წარმოადგენს სულიერ განცდათა, შინაგან ღელვათა და ზრახვათა იმ ემოციონალურ თქმას, რომლის მოთხოვნილება **თანდაყოლილი და დაუძლეველია** ადამიანში და რომელიც **აუცილებელია** მის სათავდაცაო სოციალურ-ისტორიულ ბრძოლასა და თანამშრომლობაში.

ცხადია, ამ თვალსაზრისით გაუმართლებელია ის განყენებული სიტყვები და თეორიები, რომელიც ხელოვნებას რაღაც მეტაფიზიკურ, ზესთაბუნებრივ და ზეისტორიულ იდეათა გამოხატულებად თვლიან. აგრეთვე შეუწყნარებელია განვიხილოთ ხელოვნება, როგორც ფუფუნება, უბრალო ცხოვრების დამამშვენებელი სამკაული, უსარგებლო, უმიზნო დროსგატარება და თამაში. ხელოვნება არც მარტო ესთეტიური ტკობაა „მშვენიერების“ და „სილამაზის“ განცდით გამოწვეული.

ხელოვნება უმთავრესად სოციალური ფუნქციაა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ცხოვრებაში, ის **საბოლოო ანგარიშით** ყოველთვის საზოგადოების სასიცოცხლო პრაქტიკულ ინტერესებთან არის გადახლართული და ვითარდება თუ ცვალებადობს უკანასკნელთან დაკავშირებით. ხოლო ეს ხდება არა უშუალოთ, არამედ წინათ-არსებული ფორმების და მათგან პირდაპირ დამოკიდებულების მეშვეობით. ის ერთსა და იმავე დროს სოციალობის აუცილებელი გამომეტყველება და შედეგაცაა და დიადი შემომქმედი და შემნაწევრებელი ფაქტორიც.

ხელოვნება საზოგადოების ემოციონალური ენაა. და როგორც ენის შესახებ არ ითქმება, რომ უბრალო დანართი, დანამატია ადამიანთა საზოგადოებრივობის,—ისე ხელოვნების შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ის სოციალური ცხოვრების განვითარების შორეული ანარეკლი და საზოგადოებრივობის დანაშენია. ხელოვნება საზოგადოების თანაარსი მოვლენაა,—იგი შექსოვილია საზოგადოებრივობის საშოში, მასთან არის შედუღებული და შესისხლხორცებული. არც საზოგადოებრივობის ზემოთ დგას, არც მის ქვემოთ, არც თავშია, არც ბოლო-

ში,—არამედ მისი მარად განუყრელი თანამსრბოლი და თანამორბედია. ამიტომ, ვფიქრობთ, ზოგიერთები ცდებიან, როცა ხელოვნებას ისტორიული მოძრაობის კუდში მიაჩანჩალებენ და საბარგი-ბარჩანო ეტლში უჩენენ ადგილს.

ხელოვნებასა და საზოგადოებრივობის შორის დამოუკიდებლობა,—სწერს რუსი ხელოვნებისმეტყველი ე. შმიტი (მისი „ხელოვნება“, გვ. 165),—უნდა გავიგოთ არა ძველი დრომოქმული ფორმულით, რომელიც ყველგან უპირდაპირებდა ერთმანეთს ძალასა და ნივთიერებას, სულსა და სხეულს, იდეას და ნივთს,—არამედ ერთად-ერთი მეცნიერული მონისტური ფორმულით: არ არსებობს იმატერიალური ძალა, მაგრამ არ არის არც „მკვდარი“ მატერია,—ერთიც და მეორეც უნი-ადაგო განყენებაა, ვინაიდან ძალა და მატერია ყველგან და ყოველთვის შეკავშირებული არიან განუყრელათ, ცალცალკე და განთვითებით არ არსებობენ არსად და არასოდეს. ასევე განუყრელ-განუშორებელია ერთმანეთისაგან ხელოვნება და საზოგადოებრივობა. არსად და არასოდეს არ ყოფილა ხელოვნება უსაზოგადოებრივობოდ და საზოგადოებრივობა უხელოვნებოდ.

ამიტომ ჩვენ გვაკვირვებს, როდესაც ერთნი ხელოვნებას საზოგადოებრივობის ხანგრძლივი განვითარების **მერმინდელ** ნაყოფად თვლიან,—ხოლო მეორენი (აუბურტენი, შპენგლერი და სხვანი) ხელოვნების სიკვდილს წინასწარმეტყველებენ და მომავლის განვითარებულ საზოგადოებას უხელოვნებოდ ითვალისწინებენ. ეს სრული შეუცნობლობაა, როგორც საზოგადოებრივობისა საერთოთ, ისე ხელოვნებისა კერძოთ.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ხელოვნების წარმოშობის გრძელ ისტორიას. მხოლოთ კიდევ ხაზგავლებით უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნება ერთიანათ და მისი სხვადასხვაგვარი შტოები ცალ-ცალკე საზოგადოებრივობის უღრმეს და უმნიშვნელოვანეს რეალურ ინტერესებს ემსახურება. ამიტომაც ყოველათ შეუძლებელია ლაპარაკი ხელოვნების „უმიზნო—მიზანშეწონილების“ თუ მისი „თვითმიზნობრივობის“ შესახებ. პირიქით, იგი უაღრესათ საზოგადოებრივ-უტილიტარისტული მოვლენაა.

ხელოვნების უტილიტარობა, რასაკვირველია, უნდა გავიგოთ ფართო სოციოლოგიური მნიშვნე-

*) ის. „ქართული მწერლობა“ № 1.

ლობით და არა ვიწროთ. და „ობივატელურათ“, როგორც ამას სჩადიან ჩვენში მომრავლებული ნილილისტ—უტილიტარისტები, რომელნიც თავის მცირერიცხოვან სამრევლოს იქით ველარაფერს ხედავენ. მათდა სამწუხაროთ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მათი, მეტი რომ არა ვთქვათ, ახირებული შეხედულება ხელოვნების უსარგებლობა-სარგებლიანობაზე არავისთვის არ წარმოადგენს ჭეშმარიტებას,—არც საზოგადოებისათვის მთელათ და არც ამომავალი კლასისათვის საკუთრივ. ამის უტყუარი საბუთები საკმაოთ მოიპოვება ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში. ყოველ შემთხვევაში მათი „უტილიტარისტული“ შეხედულება საყოველთაო საზომად ვერ გამოდგება ხელოვნების საკითხების გაშუქებისა და გადაჭრისათვის.

ხელოვნება სასარგებლოა. ეს თითქოს ყველამ ვიცით. მხოლოდ როგორ გავიგოთ ეს სარგებლობა, რაა გამოსაღევი ამა თუ იმ კლასისათვის, მთელი ხალხისთვის,—ამაში აღარ ვთანხმდებით. გერმანია, კულტურა და კაცობრიობა საუკუნოთ „დაზარალებდოდნენ“, ბერნეს ცალმხრივ ლიტერატურულ რადიკალიზმს რომ აყოლოდნენ დიდებული გეტეს საკითხში. პუშკინის პოეზიის „სარგებლობა“ (უმთავრესათ რუსული კულტურისათვის) საუკუნეებს უძღვება,—ხოლო პისარევის კრიტიკა და მაშინდელი ვითამ „უტილიტარისტული“ ნაქებ-ნადიდები მწერლები დღეს თითქმის აღარავის ახსოვს. ცხადია, მათი შემოქმედებაც ერთგვარათ სასარგებლო იყო,—მაგრამ ეს სარგებლობა საზოგადოებრივათ მსწრაფლ წარმავალი და მდარეა პუშკინის შემოქმედებასთან შედარებით.—ჩვენშიაც იდეურათ დიდი ხანია დამარცხდნენ ისინი, ვინც ჩვენს დიდს მწერლებს ელაში უტილიტარისტების ადლით უდგებოდნენ და განსაკუთრებული სიბეჯითით უარყოფდნენ მათი შემოქმედების დადებით მნიშვნელობას საქართველოს პროგრესიულ — რევოლუციური კლასებისათვის. შორეულ ან. ფურცელაძეს და მის ნამოწაფართ რომ თავი დავანებოთ, მოსაგონრათ ყვირილელი (აკაკის კრიტიკა) და პ. გელეიშვილიც (ილიას კრიტიკა) კმარა.

ღიას, ხელოვნება უტილიტარულია, ვინაიდან იგი უძწვევრვალესათ საზოგადოებრივია. მაგრამ უტილიტარისტნიც არის და უტილიტარისტნიც.

როდესაც საზოგადოებრივობის და ხელოვნების ურთიეთ დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობდით, ჩვენ არ მოგვიხსენებია, თუ „საზოგადოებრივობის“ სახელდობ რა ელემენტები საზღვრავენ ხელოვნების ისტორიულ ცვალებადობას და როგორ გავლენას ახდენს ხელოვნების ვითარებაზე თვით საზოგადოებრივობის კლასობრივ — ანტაგონისტური ბუნება.

ხელოვნება არსებობისთვის ბრძოლის ერთი უდიდეს იარაღთაგანია და საბოლოო ანგარიშით ამ ბრძოლასთან არის შემუშავებული ყველა მისი

ფორმა და გამოხატულება. აქედან აშკარა და ბუნებრივია მისი კავშირი საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებასთან და მის ნიადაგზე აღმოცენებულ ეკონომიურ ურთიერთობასთან. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ეს კავშირი და დამოკიდებულება ხელოვნებისა საზოგადოების წარმოებრივ საფუძვლიდან,—განსაკუთრებით განვითარების უმაღლეს საფეხურებზე,—არასოდეს არ არის პირდაპირი და უშუალო, რაც ჯერ ბევრისთვის კიდევ გაუგებარია. ამავე დროს ხელოვნება, როგორც სოციალური ქმნადობა, თავის საკუთარ წარსულთან არის პირდაპირ დაკავშირებული, თავის საკუთარ წინათ-არსებული ფორმებიდან, წინათ-არსებული მდგომარეობიდან მომდინარეობს შეუწყვეტლივ. ხელოვნების ცვალებადობას და მის საზოგადოებრივ განვითარებას ვერასოდეს ვერ ახსნიან მარტო არსებული ეკონომიური მდგომარეობით. ეს იქნებოდა ისტორიულ-მატერიალისტური კონცეპციის მიუტევებელი ვულგარიზაცია. შესანიშნავი ანტონიო დაბრიოლას თქმით, ამა თუ იმ ხალხის მეცნიერული აზროვნების თუ ხელოვნების ისტორიის გასაგებათ არ კმარა მისი ეკონომიკის ცოდნა. ეკონომიკიდან აუცილებლათ საჭიროა გადავიდეთ საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაზე, რომლის შეუსწავლელათ და გაუგებლათ ყოველათ შეუძლებელია რომელიმე იდეოლოგიის ისტორიულ—მატერიალისტური ახსნა-განმარტება. ამას ვერ უარჰყოფს ვერც ერთი სერიოზული მარქსისტი-სოციოლოგი.

ამის შესახებ მეტათ გარკვეულათ მეტყველებს მარქსისტთა შორის ხელოვნების ყველაზე უდიდესი მცოდნე პლენხანოვი. იგი სწერს: „ჰეგელის და მის მიმდევართა დიალექტიურ იდეალიზმის შემცვლელი დიალექტიური მატერიალიზმის მომხრეებს ჩვეულებრივ იმ აზრს აწერენ, ვითომ ხალხის შეგნების ყველა მხარეების განვითარება მხოლოდ „ეკონომიური ფაქტორის“ გავლენით ხდებოდეს. მათი შეხედულების ამაზე ცუდათ გაგება ძნელი წარმოსადგენია: ისინი სულ სხვას ამბობენ. ისინი ლაპარაკობენ, რომ ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და სხვ. იხატება საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, ხოლო საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ხასიათი ისაზღვრება იმ ურთიერთ დამოკიდებულების თვისებებით, რომელშიაც იმყოფებიან ამა თუ იმ საზოგადოების შემადგენელი ადამიანები. ეს ურთიერთობა საბოლოო ანგარიშით საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარების ხარისხზეა დამოკიდებული. ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ ძალების განვითარებაში იწვევს ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის ცვლილებას. ხოლო ამის გამო თვით საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ცვლილებასაც. საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაში მომხდარი ცვლილებანი კი, მეტი თუ ნაკლები სიცხადით, აუცილებლათ მოახდენენ აგრეთვე გავლენას ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ფილოსო-

ფიაზე და სხვ. მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობის ცვალებადობას მოძრაობაში მოყავს სხვა და სხვა „ფაქტორები“, ხოლო განსაზღვრულ მომენტში რომელი ფაქტორი უფრო ძლიერათ იმოქმედებს ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და სხ.—ეს დამოკიდებულია მრავალ მეორე და მესამე-ხარისხოვან მიზეზზე, რომელსაც პირდაპირი კავშირი სულაც არ აქვს საზოგადოებრივ ეკონომიკასთან. ხელოვნებაზე და სხვა იდეოლოგიაზე ეკონომიკის უმეშვეო გავლენა საზოგადოთ ძალიან იშვიათია. ყველაზე ხშირათ სხვა „ფაქტორები“—პოლიტიკა, ფილოსოფია და სხვ.—ახდენს გავლენას. ხანდახან ერთი მათგანის მოქმედება უფრო შესამჩნევია, ვიდრე მეორის მოქმედება (მისი „ბ. გ. ბელინსკის ლიტერატურული შეხედულებანი“).

აქედან ნათლათ სჩანს, რომ მართო საზოგადოებრივი ეკონომიკის დასახელებით და ზეზეური აღნიშვნით ვერ მოიცილებთ თავიდან ხელოვნების ისტორიული ცვალებადობის გამსაზღვრელ მიზეზთა ძიების სირთულესა და სიძნელეს. ხალხის ისტორიული მოძრაობა არ არის ისეთი პროცესი, სადაც ყოველივე მწყობრათ და დალაგებით მიმდინარეობდეს და სადაც ერთი,—თუნდ უმნიშვნელოვანესი,—ფაქტორის მოქმედების განვითარება ყოველ დროსა და გარემოებაში თავისთავათ გულისხმობდეს ხალხის სულიერი ცხოვრების ამა თუ იმ ფორმის აუცილებელ წინსვლას.

საზოგადოებრივ ეკონომიკასთან, ცხადია, მჭიდროთ დაკავშირებულია საზოგადოებრივობის კლასიური აგებულება. მაშასადამე საკუთრივ მის შესახებაც ცოტა ცვლილებით იგივე ითქმის, რაც ითქვამ ეკონომიკის და ხელოვნების ურთიერთ გამოკიდებულებაზე საერთოდ. ეს დამოკიდებულება ცხადზე უცხადესია. ამის უარყოფა არ შეუძლია არც ერთს კეთილსინდისიერ მკვლევარს. მაგრამ ხელოვნებაზე კლასთა ბრძოლის ფაქტის გავლენის აღიარება სრულიადაც არ თხოულობს იმას, რომ კათეგორიულათ განვაცხადოთ ხელოვნების **წმინდა კლასიურობის აუცილებლობა**. არ არის მართალი თითქოს ხელოვნება წმინდა კლასიური ცნება იყოს და მეტი არაფერი, — თითქოს ხელოვნებაში არ იყოს არავითარი **ზოგადკაცობრიუ-**

ლი, საზოგადოებრივად გარდაუვალი აზრი და ღირებულება. ეს რომ მართლა ასე იყოს, სრულიათ აუხსნელი იქნებოდა წარსულის მდიდარი ხელოვნების კულტურული და ესთეტიური გავლენა თანამედროვეობაზე. ხელოვნებაში რომ კლასიური სუბიექტივიზმის მეტი არა იყოს რა, რაღად გვინდა ომეროსი, დანტე, რუსთაველი, რაფაელი, შექსპირი, ბეთხოვენი, გეტე, ბაირონი, ტოლსტოი. ამას არასოდეს არ უკვირდებიან ისინი, ვისაც გულუბრყვილოთ გონიათ, რომ „ერთი კლასის“ მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია, „მეორე კლასისთვის“ გამოუსადეგარი, მავნებელი და მიუღებელია.

მე ვფიქრობ, სწორეთ ასეთების საყურადღებოთ განაცხადა ფილიპე მახარაძემ ამას წინათ ქართველ მწერალთა კავშირის ყრილობაზე შემდეგი საყურადღებო სიტყვები: „საერთოთ რომ ვთქვათ, კულტურა, ხელოვნება თავისთავად ყოველად შეუძლებელია, რომ რომელიმე წოდებას ეკუთვნოდეს. ბურჟუაზიული კულტურა, ბურჟუაზიული ხელოვნება. ვამბობთ ჩვენ,— მაგრამ ეს არ გამოხატავს სინამდვილეს. ყოველად შეუძლებელია კულტურა, ტექნიკა, ხელოვნება რომელიმე წოდებას ეკუთვნოდეს. შეიძლება, და სინამდვილე სწორედ ეს არის, რომ ამ ხელოვნებას, ტექნიკას, კულტურას იყენებს ესა თუ ის კლასი და ამიტომ უწოდებენ ბურჟუაზიულს, თავადაზნაურულს, პროლეტარულს. განა შეიძლება ლაუაზიეს, მაიერის, ჰელმჰოლდტის, პავლოვის მეცნიერებაში კანონების აღმოჩენა მივაკუთვნოთ ბურჟუაზიას? ყოველად შეუძლებელია ასტრონომია, მათემატიკა ან სხვა დარგი მეცნიერებისა მივაკუთვნოთ რომელიმე წოდებას, არ შეიძლება ეს იყოს პროლეტარული, ან ბურჟუაზიული. ამისათვის მე ვამბობ, რომ აქ კარგათ უნდა იყვეს გარკვეული, თუ როგორ გვესმის ჩვენ ბურჟუაზიული კულტურა და ბურჟუაზიული ხელოვნება. გამოყენება ძველი კულტურის, ძველი ტექნიკის, გამოყენება ყველა იმის, რაც კაცობრიობამ მოგვცა“.

აი ეს არის მეცნიერულათ სწორი და ისტორიულათ გამართლებული შეხედულება. რომელსაც ზოგიერთ ლიტერატურულ წრეებში ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებია მოქალაქეობრივი უფლება.

ნ. საქარელი.



დასაყრდნობი წერტილი

მწერლობა თანამედროვეობის გამომხატველია. ის ააშკარავებს ეპოქის არსს, სოციალურ ძალების სულსკვეთებას.

ის ხედავს შინაგან ძირითად მოტივებს და მხატვრულად ნათელჰყოფს მათ. ის წვდება საზოგადოების სიღრმეს და ამხელს იქ მომქმედ პროცესს.

იმავე დროს მწერლობა მასწავლებელი და აღმზრდელია, საზოგადოებრივი სკოლაა, გზის მაჩვენებელია.

ის სწრაფი და მჭრელი იარაღია, რადგან მისი საშუალება სიტყვაა.

მაგრამ ყველაფერი ეს პირობითია. მწერლობა მხოლოდ მაშინ ემსახურება იმ დიად აზროვნებას, როდესაც ის გულწრფელია.

გულწრფელობას მოკლებული მწერლობა ხელობაა, ხელობა ცუდი, მომაბეზრებელი, მომაკვდავი.

გულწრფელობა—შეგნების შედეგია. ვისაც ვერ შეუგნია თანამედროვე ეპოქა, ის ვერ იქნება ეპოქის შესაიდუმლე. ის ვერ გაიგებს ხალხის მისწრაფებას, კოლიზიებს, ხვეულებს, ტრადედიას.

*
* *

ის, ვინც ვერ ხედავს, რომ დღეს საერთაშორისო მაშტაბით ხდება გარდატეხა, მისი კალამი ვერას ეტყვის საზოგადოებას.

დღეს კაპიტალიზმის კრიზისია. წარმოების და განაწილების სფეროში დაიბადა წინააღმდეგობა. რომელიც მოითხოვს ახალ საზოგადოებრივ საფუძველზე აგებულ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას.

დღეს ევროპის კაპიტალიზმის საპასუხოა არა რეფორმები: სამუშაო დროს შემცირება, ხელფასის ღირებულება და სხვა, არამედ სოციალიზმი.

გაბატონებული კლასი უკანასკნელ საშუალებებს მიმართავს, რომ შეინარჩუნოს თავის ბატონობა. მის განკარგულებაში შეიარაღებული ძალა და მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი.

ბრძოლა სწარმოებს ყველა პოზიციებზე. მეზობელი მხარეები—ბურჟუაზია და მუშათა კლასია.

ბრძოლა არ მიმდინარეობს სწორი ხაზით. გარდა შინაგან წინააღმდეგობისა, მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ერის ისტორიულ—ტრადიციულ პირობებსაც.

ბრძოლას აქვს ხვეულები.

მიუხედავად ამისა ეპოქას ახასიათებს ბრძოლის სიმწვავე და გადამწყვეტი საფეხური. ულმო-

ბელი ისტორიული ბორბალი გზას იკაფავს და ყოველად შეუბრალებლად წეწს და ანადგურებს ყველაფერს, რაც მას წინ ელობება.

კერძო საკუთრების პრინციპზე აგებული წარმოება თანდათან ემწყვდევა გამოუვალ ჩიხში. ბრძოლის ინიციატივა თანდათანობით მუშათა კლასის ხელში გადადის.

ჩვენ მოწაძენი ვართ აშკარა მდგომარეობისა: გაბატონებულ კლასს ვერ აკმაყოფილებს მფარველობა სახელმწიფოს ფარგლებში, ის მოითხოვს მფარველობას სახელმწიფოს ტერიტორიის გარეშეც. იარაღში ჩასხმული ფინანსიური კაპიტალი გზას იკაფავს ახალ ტერიტორიასა და ბაზრებისაკენ.

ეს იწვევს ინტერესთა შეჯახებას, საერთაშორისო ეკონომიურ ბრძოლას, ომების მოსალოდნელობას, „დაუესის გეგმას“, „განიარაღების“ საკითხებს, დიპლომატიურ თაღლითობას, კრიზისებს,—საერთოდ, გაბატონებული კლასი „ჭრის იმ ტოტს, რომელზედაც ზის“.

ინგლისის მუშათა კლასის გაფიცვა, რომელიც ჩვენ თვალ წინ ჩატარდა, მასთან გააფთრებული და ნერვიული ბრძოლა, მსოფლიო მუშათა კლასის სოლიდარობა, ბრძოლის შენელება, ძირითადი მიზეზების არსებობა, მოსალოდნელი ახალი აფეთქება არსებულ ურთიერთობის წინააღმდეგ—დღევანდელ საერთაშორისო კრიზისის უტყუარი დამახასიათებელია.

ვინც ამას ვერ ხედავს, ის პოლიტიკურათ ბრმაა.

*
* *

ეკონომიურ, საწარმოო ძალების მდგომარეობასთან დაკავშირებულია ეროვნული პრობლემაც.

თანამედროვე ხანა პატარა ერების ჩაგვრით ხასიათდება. ეს შედეგია იმპერიალიზმის და კოლონიალურ პოლიტიკის.

კაპიტალი იჭერს ახალ ტერიტორიებს, იმორჩილებს პატარა ერებს. „ცივილიზაციის“ სახელით ურჩთ ანადგურებს, ართმევს თავისუფლებას და კაპიტალიზმის გასამაგრებლად იყენებს.

მაროკო, სირია, ჩინეთის ამბები და სხვა ამ ძალმომრეობის ერთი მრავალთაგანია.

ამავე დროს პატარა ერები იღვიძებენ, თვითერკვევიან, ილტვიან თავისუფლებისაკენ, იბრძვიან უფლებისათვის, ებრძვიან კაპიტალის დამპყრობ პოლიტიკას.

ეს ბრძოლა იმდენათ შეგნებულია, რომ პატარა ერი არ ერიდება დიდ საფრანგეთის შეიარაღებულ ძალის გამკლავებას.

აქაც კრიზისი, კიდევ წინააღმდეგობა.

*
* *

პარლამენტარიზმი. აქაც განსაცდელი. გაბატონებული კლასი ხედავს, რომ დავაჟაკებული მუშათა კლასი დემოკრატიული პრინციპებით მოხერხებულად სარგებლობს. „დემოკრატიული თავისუფლებანი“ უკვე საფრთხეს წარმოადგენენ ბურჟუაზიისათვის.

ის მიმართავს დიქტატორულ ზომებს: შეიარაღებულ ძალას, ძალმომრეობას, ტერორს. მუსოლინი ბატონობს პარლამენტზე. პილსუდსკი ანგარიშს არ უწევს სეიმს.

პარლამენტი უძლურია—მერყევია საფუძველი. უხერხემლოა პარლამენტარული მთავრობაც.

საჭიროა დიქტატურა. იქ, სადაც მემარცხენე წრეები გაუბიან დიქტატურას, მამარჯვენები ბატონდებიან.

ვისაც დიქტატურის ეშინია, ის მისი მსხვერპლია, ვინც პარლამენტარიზმის თაყვანისმცემელია, ის ფაშიზმის ლუკმაა.

*
* *

ყველა თავისუფლების მოყვარული და შეგნებული ხალხი ცდილობს თავი დააღწიოს თანამედროვე ფინანსიური კაპიტალის მუხრუჭებს.

ის საშიშია მით, რომ შეუმჩნევლად იპყრობს ერს და მის მიწა-წყალს. მის სიმდიდრეს, იმორჩილებს ეკონომიურად და შემდეგ პოლიტიკურადაც.

ინდოელი ტაგორი გამოსახავს ამ მსვლელობის და ბრძოლის ერთ ეტაპს. ერი იბრძვის საკუთარ საწარმოო ძალების განვითარებისათვის. მას სურს ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლება.

საბჭოთა ქვეყნების დღევანდელი ეკონომიური პოლიტიკაც სწორედ აქეთაა მიმართული.

ტაგორის გმირები („Дом и мир“) იბრძვიან მისთვის, რომ დააღწიონ თავი ფინანსიური კაპიტალის ბრჭყალებს.

საბჭოთა კავშირს არ სურს მოხვდეს მის უშუალო გავლენის ქვეშ.

აქედან—საკუთარი ეროვნული საწარმოო ძალების განვითარება, ეროვნული წარმოების მფარველობა.

ამოცანა დიადია. საქმე მოითხოვს შეუდრეკელ ნებისყოფას, გეგმიან მუშაობას, საწარმოო ძალების დაზოგვას.

წარმატებისათვის საჭიროა უმაღლეს წერტილამდე მისული აქტივობა, ნიჭის, ცოდნის გაშლა და ყველა ძალების გამოყენება.

აუცილებელია თვითმოქმედება.

მუშაობაში ჩაბმულ ყველა ძალების თვითმოქმედების ასპარეზის გაფართოება.


*
* *

მწერლობა, რომელიც თანამედროვე ურთიერთობის ამ არსს შეითვისებს, თავის მოვალეობას შეასრულებს.

მწერლობა, თანამედროვე მსოფლმხედველობას მოკლებული, ბრმაა.

მწერალი, გარეშე ამ დასაყრდნობ წერტილისა, მერყევი და ფუქსავატია, ორი ღმერთის თაყვანისმცემელია.

განი.



ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი

განახლებული მისია.

ჭეშმარიტ პოეტურ ქმნაში უეჭვოდ „გაგიჟების“ ელემენტაცაა ჩართული.

მრავალნაირად ირკვევენ გაჭაღარავებულნი მეცნიერნი ამ „გაგიჟების“ არსებას, ბევრი ღამე გათენებულა თეთრად ამ ირაციონალობის დასახსნელად, მაგრამ ბევრი და მგონი მთავარიც ისევ „გადაღმა მწარეს“ რჩება.

რამდენადაც დღეის მეცნიერებას რაციონალისტური ევროპა ისაკუთრებს, იმდენად უფრო რთულდება ამ „სიგიჟის“ გამოცნობის პრობლემა.

არქეოლოგია, ფილოლოგია არღვევს და აშენებს, ანაწილებს და ერთად ჰკრავს ამ გარდასულ დროთა ძეგლებს. საიდუმლოებით მოცული წყვადი ამ ლამპარის წინაშე ცახცახით ნათლდება, მაგრამ სინათლის ილიუზებს მაინც ვერ მივეცემით.

მართალია, ჩვენ ვხედავთ, ხანდისხან ძალიან აშკარადაც ვხედავთ, მაგრამ ვაი რომ ვერა ვგრძნობთ... რად?

იმიტომ რომ მეტად გაევროპიელებულნი ვართ, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც.

არა, არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენი ტკივილების მიზეზი მეტი ევროპიელობაა; წინააღმდეგ: ტკივილები დიდია, რადგან ჭეშმარიტ-ევროპიელობა ცოტაა...

მაგრამ იმდენი მაინცაა, რომ ქართულ ატავისტურ გრძნობიარობას და ვნებიანობას ჰკლავს.

არა, უკიდურესობა არ მისაყვედუროთ! ვიცი, რომ ჩვენ მეტად მგრძნობიარენი ვართ, სათუთნი... რამდენი ნაზი ლირიკაა ჩვენს პოეზიაში, რამდენი მგოსანია, რომ სევდიანი ფერი ქარვისა აწვალებს, ბაღში ვაზი ობოლი ატირებს.—მაგრამ ეს ჩვენი სპეციფიკა მაინც არ არის, რომელიც ზარატუსტრას და საერთოდ ძველი სპარსეთის მგრძნობიარობას ენათესავებოდა. ჩვენს მე-XIX საუკუნის მწერლობას ცხოვრების უშინაარსობის და უკულმართობის მგრძნობიარობა უხამავდა.

აქ იყო საყვარლის საფლავის ძიება და მისგან ცრემლი შეუშრობელი.

ამ გრძნობიარობას შეგვიძლიან სენტიმენტალიზმი დავარქვათ, რასაკვირველია არა ცნობილ ლიტერატურულ სკოლის იდენტივობით... აქ ფრანგული სკოლა იყო, რომელიც რუსეთის გზით ჩვენამდე მოვიდა.

მე-XX საუკუნეში კიდევ უფრო სათუთნი გავხდით, კაპრიზით სავსენი: ქარის ზუილი, ფოთოლთ

ცვენა, აჩრდილები ძალიან გვაწუხებენ, ვშიშობთ და ვცახცახებთ. შეიძლება უფრო მხდალად, ვიდრე ნაზად...

ეს ახალი მგრძნობიარობა უფრო ნერვიულია და მას უცოდველად „ნარკოტიული“ შეგვიძლიან ვუწოდოთ. აქ ზარატუსტრადან აღარაფერი დარჩა. ფრანგულთანაც მართო რემი დე გურმონის ნათესაური ფერები თუ გვაკავშირებს.

ეს უფრო რუსული მგრძნობიარობაა, ყოველგვარი ნარკოზი რომ აჩრდილებს უყენებს და მწარედ ატირებს. ეს რუსული „ნარკოტიული“ მგრძნობიარობა ღრმად შემოვიდა ჩვენში. მაგრამ რუსი ამას შემდეგის გიჟურის ექსტაზით ამართლებს (დოსტოევსკი); ჩვენ ეს მეორე თვისება ვერ ვიგუფეთ და აჩრდილებთან ბრძოლა არ გვიყვარს. ასე დავრჩით უცხებოთ და უცეცხლოდ...

**

არქეოლოგს და ლინგვისტს აზიაში და აფრიკაში ბევრად მეტი საქმე აქვს, ვიდრე ახალ ევროპაში. (ამერიკაში ხომ სულ მცირედით).

და ეფინება ევროპას ახალი, ძვირფასად გამოცემული. საუცხოვო მხატვრობით შემკობილი ტომები—ძველ ძეგლებზე.

აკვირვებს ყველას ეს დიდი ძალა, რომლითაც ძველი ეგვიპტელი მზეს უგალობს, მის „ცეცხლოვან კვირტის სუნს ყნოსავს“. აოცებს პირამიდების სადა და ურღვეველი კონსტრუქციით ცამდე აზიდულობა, მაშინდელი ქვის ქანდაკებანი და უფრო ხისგან ნათალი, უცნაურის დეტალებით და რეალიზმით შესრულებული „მოგზაური“. ფარაონების ზეიმი უახლოეს მეგობრებთან. საუკუნო განსვენებისათვის გამზადებული სარკოფაგები...

უყურებს ევროპელი, მაგრამ მაინც ერ ესმის... რა ქმნას?..

და საკუთარ გრძნობის და ვნების მოშლას პოეტურ „სიგიჟის“ გამოუცნობით ფარავს. ასეთი უსუსურია მისი მგრძნობიარობა ამ სრულიად შორეულის მისაკარებლად, და ის უფრო ახლო წარსულისაკენ იწევს და ელადით თავს ინუგეშებს...

და მართლაც შესაძლებელი ხდება, რომ ელინურ მშვენიერების ძალას საკმაოდ დასწვდეს ევროპელი, იტალიის რენესანსის მხატვრობა ხომ საუკეთესოდ შეისვა-გადმონერგა კიდევ. დიურერი მძიმე პირობებში ორხელ მიემგზავრება ნიურენბერგიდან იტალიაში, ადგილობრივ სწავლობს, ითვისებს რენე-

სანსის მხატვრობასა და მისი შემოქმედებაც ახლოა იტალიასთან.

გიოთე იტალიის ნანგრევებს მხატვრულად ალაპარაკებს. მისი მოგზაურობის აღწერა ხელოვნების ფილოსოფიაა, თავისუფლად და ლაღად შეთვისებული. ფრანგებს ხომ უფრო მეტის დანათესავებით შეუძლიანთ იამაყონ...

საბერძნეთი და იტალია მხატვრულად და პოეტურად თითქმის აღდგენილია: „ცივი და თეთრი მარმალლო მეტყველებს“.

რასაკვირველია, აბსოლიუტურად არც ამის თქმა შეიძლება: აქაც მეტი არქეოლოგიაა, ვიდრე ხელოვნების გრძნობა. მაშინდელ ხელოვნების... უმდიდრესი, უმშვენიერესი მუზეუმებია გამართული ეტრუსკულ. ბერძნულ, რომაულ ხელოვნებათა, მაგრამ ამან ვერ ალაპარაკა ეტრუსკული თვალეზ-დათხრილი ბიუსტები და ელინურ-რომაული მარმალლოები.

ეს მოხდა ბევრად უფრო გვიან. როცა არქეოლოგთა ადგილი ხელოვნების ისტორიკოსმა დაიჭირა... მუზეუმებიდან კი ვერც ამათ გამოიტანეს ეს „ცივი მარმალლო“.

აშკარაა, ამ ხელოვნებათა განგრძობა არ იყო გადაუტეხელი სიძნელე. ევროპიელსაც შეეძლო ეს. რადგან ამ კლასიკურ ხელოვნებაში უფრო მოცემული სინამდვილეა (თუნდაც ძველი), მზიურობა, გამოკვეთილი პროპორცია და სალი მათემატიკა... მოკლედ ემპირიულობის სამყაროა, რაციონალიზმს რომ ასაზრდოვებს.

**

სულ სხვაა აზიის და აფრიკის ძველი ხელოვნება, თუმცა ეგვიპტელთა უძველეს ნაშთებშიც მზიური გამოკვეთილობა და სისადავე სჩანს. მაგრამ იმდენი დინამიკაა შიგ. იმდენი ძველი ძალა (Urkraft). რომ დღეის ტიტანურ ტენიკასაც ტყვიასავით აწვება და ხერხემალს უღუნავს.

აღმოსავლეთი მძინარე ლომია, რომელსაც გაკვირვებით უცქერის ევროპიელი, მაგრამ ვაი რომ ამ ლომის გამოღვიძების მას ეშინიან—ინსტიქტით გრძნობს მის პოტენციას... აღმოსავლეთის მხატვრობა და პოეზია დღეის შეგნებით მაინც სრული ირაციონალიზმის სამეფოა. არქეოლოგი ამ სიძნელეს გაივლის, ლინგვისტიკა უცნაურ წარწერებს დახსნის, მაგრამ ხელოვანს მისი ეშინიან. მას არ ესმის ეს მაჯადობელი მისტერია, კაცს ღმერთად რო აიყვანს...

დანტე არის ის საზღვარი, რომელსაც ევროპიელი კიდევ უძლებს. ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ ხელოვნების პირველ, უძველეს წყაროებზე. სპარსეთის მე-X საუკუნის საგმირო პოეზიაც კი აუტანელია დღეს ევროპიელისათვის, და მერე რად? განა დღეის ევროპის (ამერიკისაც) მწერლობა კი არ დანავადობს მისტიურობაში? მაგრამ ეს რომ ძველი ირაციონალიზმია და ტრანსცენდენტალიზმია არ არის? იქ შეცურვა იყო ზეცაში, სტიქიონთან განსხეულება,

მზის ისრით დაცხრილვა. აქ გალიუცინაციებია, ნერვიული კენესა. ტკივილები და უკეთეს შემთხვევაში უვნებო ეპიკურული ჭკრეტა... (შეიძლება უოტ უიტმანი იყოს გამონაკლისი ბუნების ძალთა ხალისიან მიღებაში—მაგრამ ერთი მერცხალი და ისიც ასეთი პატარა...)

**

არ იქმნა, ვერ გახდა პოპულიარული სპარსეთის, ინდოეთის, არაბეთის ძველი ხელოვნება. ის ისევ ძველთა ხელოვნებად რჩება და ძველი კულტურის ძალოვნობა არ უდგება კილოვატების გამოთვლას...

ამიტომ ერთბაშად „გიჟია“ აღმოსავლეთის ძველი პოეზია.

ეკონომიურ საზრდოობის ფესვებს უხვად რგავს ევროპა ამ ქვეყნებში, მაგრამ ძველი კულტურა „კოლონიად“ ვერ იქცევა.

ევროპას შეაქვს საზომი დროისა და სივრცის და ამ „ზომებით“ აწვალეს ძველ სიგიჟეს. ამ დაჯახების დროს მარტო უნდობლობა, სიძულვილი და უკეთეს შემთხვევაში გაუგებრობა გამოდის.

აღმოსავლეთის ძველი (მძინარე ლომი, მეფე ცხუნარე უდაბნოსა) არ იღებს ევროპის ხელოვნების ახალს სულს და ფორმას,—ახალ ნერვიულ, ნარკოტიულ მისტიციზმით ვერ გააზომვინებს პოტენციაში დაცულ ირაციონალიზმს.

ამიტომ ევროპიელის დანახვაზე აღმოსავლეთი თვალზე ხელს იფარებს. ფულად კი შეიძლება აჩვენოს გველის ცეკვა, რომლის სიბრძნე მან დიდი ხანია იცის...

აღმოსავლეთის ფარული ბრძოლა ევროპის წინააღმდეგ უფრო ღრმაა, ვიდრე დღეის რუსეთი ამას ხედავს და ინტერესთა დაჯახებით ხსნის. რუსეთიც ებრძვის ევროპის ახალ რაციონალიზმს, რომელსაც მეშინიანად ნათლავს. მაგრამ ეს ბრძოლა მეორე. ახალ უფრო ეთიურ რაციონალიზმისთვის ხდება.

აღმოსავლეთის მხატვრულ-ხელოვნური მეობა კი ევროპას სწორედ რაციონალიზმისთვის ვერ იგუებს. სულ ერთია, რა სახისაც არ უნდა იყოს ის...

**

ასე ყოფილა, ასე იქმნება.

არქეოლოგია, ლინგვისტიკა უფრო ღრმად ჩაეშვება აღმოსავლეთში. ძველის დანათესავების წყურვალი უფრო იმატებს და კომპრომისებს დაუწყებს ინსტიქტით ძიებას. გამოჩნდება რაიმე საშუალო და ხელოვნებისთვის ბრძოლაც დაცხრება: ან „გიჟი“ მოერთვება ევროპიულ სმოკინგში და აეროპლანში ჩაჯდება, ან „ჭკვიანი“ გახელდება და უდაბნოს ქარავნებს გაჰყვება—შემდეგ ერთად ივლიან, მორიგდებიან: ერთმანეთს უცნაურობას გაუგებენ. შეუნდობენ.

ეს იქმნება ხანა აღმოსავლეთის ხელოვნების რენესანსის ევროპიელისთვის და ნამდვილად კი ძველ მგრძობიარობის დაყვანა, დეკადანსი,

მუდმივი სიძულვილი აქ შეუძლებელია და ევროპა და აზია ხელოვნებას დაანათესავენ. აქ უნდა გაჩნდეს რაიმე საბაზი, ფაქტი—რომელმაც მძინარე ლოში უშიშრად აქციოს ევროპიელისათვის.

ძველთაგანვე დიდი როლი უთამაშნია პაწია საქართველოს ევროპა-აზიის შეჯახებათა დაცხრობისათვის, ამას შეაღია თვისი ძალა, ამასვე გადაამტვრია ხმალი. მძიმეა მესაზღვრეს ბედი, მაგრამ მაინც საპატიო და ერთხელაც მას ეს პატივი უნდა დაედოს—ზავის დროს...

ჩვენ ჯერ კიდევ ჯანსაღი ორგანიზმი შეგვრჩენია და ატავიზმი უნდა გავაცხოველოთ: სენტიმენტალიზმ-ნარკოტიზმი გადავაცილოთ ახალ მწერლობას და ძველის მზეობა კვლავ გავაცხოველოთ... შოთა მხსნელია ჩვენი, რადგან დღესაც კარგად გვესმის მისი „სიტყვა უჭკობი“. ჩვენს აღდგენილ ბუნებას ძველი თვისება კვლავ დაახასიათებს.

აღმოსავლეთის ნახევრად წარმართულ მძლეობის გადახარშვა საქართველოს შეუძლიან—ის მას ძველიდანვე იცნობს, მისი ნატეხია, სისხლი-სისხლისაგან. და მას ამავე დროს ევროპის მიღწევანი ხიბლავს, თვალს სჭრის და აღმოსავლეთის ძველ მწერლობას ფეხზე დამდგარი საქართველო კვლავ დახსნის, დააღობს, „სიგიჟეს“ ჩამოჰქნის და ისე შესთავაზებს ევროპას გათლილ მარგალიტს. და ესეც

მიიღებს, გაიგებს ამ „გადამუშავებულ“ ენერგიას — მისი ხერხემალი ამას გაუძლებს.

ჩვენ არ გვინდა სამშობლო მწერლობას შუამავალის როლი ვაკისროთ, არც აღმოსავლეთის დასაყვანად და სადეკადანსოთ გვსურს დავირაზმოთ. ჩვენ გვინდა ძველებურად თავისუფლად გავხსნათ აზიის ბჭეები და შიგ შევიდეთ არა როგორც არქეოლოგები, არამედ როგორც ანთებული პოეტები, ქართულის უმეშვეო მგრძნობიარობით მივილოთ და გამოვიტანოთ ეს ევროპისთვის უცნაური ჩირაღდნები. და თვით ჩვენი ხელის მიკარება აჩვენებს ევროპიელს, რომ ლოში საშიშო არ არის, რომ მას ქართული მიდგომა სჭირია.

ჩვენგან გაიგებს ევროპიელი ძველ სიტყვას აღმოსავლურ პოეზიისას და მას წამოვუღებთ ახალ „ex oriente lux“-ს...

ჩვენ დიდი მისია ძველებურად გვაწევს, რადგან ქარავენების ზღაზვნას ვგრძნობთ და გვიყვარს და ავტომობილების სისწრაფისათვის ჯილდოსაც უეჭველად ქართველი იღებს, ოღონდ კი გაერიოს და მოინდომოს.

აკაკი პაპავა.

ჰამბურგი 1926 წ.



ვარლამ ჩერქეზიშვილი

(გარდაცვალებიდან 1 წლის შესრულების გამო).

გასულ (1925 წ.) წლის აგვისტოს შუა რიცხვებში უცხოელთა ცის ქვეშ, ლონდონში გარდაიცვალა 79 წლის მოხუცი ქართველი რევოლუციონერი-ანარქისტი — ვარლამ ჩერქეზიშვილი.

ვინ იყო იგი, სად და რისთვის იბრძოდა, რა დამსახურება მიუძღვის მას, — აი, საკითხები, რომელთა შესახებ გაცილებით მეტს გეტყვით მისი თანამედროვე რუსი, ან ევროპიელი რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე, ვიდრე რომელიმე ქართველი, თუნდა ცნობიერი და სარევოლუციო საქმეებთან ახლო მყოფი.

ასეთი იყო ტრადიკული სვე ამ მეტად იშვიათი ადამიანის, რომელმაც იმ თავითვე ფეხი ვერ დაიმაგრა ქართულ ნიადაგზედ და მთელი თავისი რევ. მოღვაწეობა — რუსეთისა და ევროპის სინამდვილეზედ გადისროლა.

ნახევარ საუკუნის ბრძოლა-შემოქმედება ვ. ჩერქეზიშვილმა ხარკად მიუძღვნა საკაცობრიო იდეალებს — საერთაშორისო რევოლუციისა და თავისუფლების იდეას, რომელსაც იგი ისეთი აღფრთოვანებითა და რევოლუციონურ ენთუზიაზმით ჰმსახურებდა. ვარლამი — ერთი უდიდესი წარმომადგენელია ანარქიზმის სარევოლუციო მოძრაობის არა მარტო მშობლიურ — ქართულ, არამედ რუსულ და საერთაშორისო, ევროპულ მაშტაბითაც კი. იგი ჩვენი სოციალისტურ და რევოლუციონურ ინტელიგენციის აწ მიმავალი თაობის ერთ-ერთი უძლიერესი წარმომადგენელი იყო; რუსეთისა და ევროპის მემარცხენე სოციალისტურ და ანარქისტულ მოაზროვნეთა წრეებში იგი დიდად პოპულიარული ფიგურა იყო.

ვარლამი იმ თავითვე რუსეთის სარევოლუციო მოღვაწეობის ფერხულში ჩაება და სულ მოკლე ხანში კრაპოტკინ-ნეჩაევის ჯგუფის უახლოესი და უძლიერესი თანამებრძოლი გახდა. ვ. ჩერქეზიშვილი მეორე მის თანამემამულე — კომანდო გოგელიას მსგავსად „უცხოა და უცნობი“ ქართველ საზოგადოებისათვის და ვფიქრობ დროულ იქნება მისი გახსენება გარდაცვალებიდან 1 წლის შესრულების თავზედ.

ვარლამი დაიბადა 1846 წ. ს. თიხლაურში (გარე-კახეთი).

10 წლის ვარლამი მშობლებს მიჰყავთ ქ. მოსკოვს, სადაც იქაურ სამხედრო გიმნაზიაში მიაბარებენ.

1886 წ. 22 წლის კაბუკი — სწავლის განსაგრძობათ პეტროვსკის აგრონომიულ აკადემიაში შედის.

აქ იგი ყურადღების ცენტრშია, როგორც ამხანაგების, აგრეთვე მასწავლებლების მხრივ. მაგრამ ვარლამი ვერ თავსდება სასკოლო მეცადინეობის ვიწრო ჩარჩოებში და ყურადღების მთელი სიმძიმე პრაქტიკულ-რევოლუციონურ ბრძოლა-მოღვაწეობის ასპარეზზედ გადააქვს. დაახლოვებით ამავე ხანებში მას აპატიმრებენ, როგორც ცნობილ კარაკოზოვის ჯგუფის თანამებრძოლს და პეტრე-პავლეს ციხეში ათავსებენ. თუმცა ამხანაგებისა და მეგობრების დახმარებით იგი დროებით განთავისუფლებულ იქნა, მაგრამ პოლიტიკურ-რევოლუციონურ ბრძოლა-მოღვაწეობას თავი მაინც არ დაანება და რამდენიმე ხნის შემდეგ ცნობილ ნეჩაევის საქმეებში მონაწილეობის ნიადაგზედ ის კვლავ დაპატიმრებულ იქნა იმავე პეტრე-პავლეს ციხეში. ამის შემდეგ, როგორც „გაუსწორებელ რევოლუციონერს“ ასახლებენ ტომსკში, სადაც იგი 1873 წლამდე რჩება.

აქედან ვარლამი გაპარვას ახერხებს და მოსკოვ-პეტერბურგით ევროპაში გადადის. აქ იგი შედარებით „მოსვენებულია“ და ხელს კიდებს სამეცნიერო მუშაობას. პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მოღვაწეობასთან ერთად იგი ლიტერატურულ მუშაობასაც ეწევა.

ევროპაში ყოფნის დროს ვარლამი აქტიურად მონაწილეობს მთელ რიგ ჟურნალ-გაზეთებში, ათავსებს წერილებს ფილოსოფიურ და საზოგადოებრივ-სოციალურ საკითხებზედ ანარქისტულ მსოფლმხედველობის თვალსაზრისით.

მეორე მხრივ იგი გააფთრებულ ბრძოლას ეწევა ომისა და საერთოდ მილიტარიზმის წინააღმდეგ.

1903 წ. იგი ჟენევაშია, სადაც სხვებთან ერთად აარსებს პირველ რუსულ გაზეთს — „Хлеб и воля“-ს, (ანარქისტთა ორგანოა), სადაც სხვათა შორის თანამშრომლობდენ: კრაპოტკინი, კომანდო გოგელია, ლუიჯი ბერტონი და სხვა ცნობილი ანარქისტები.

პირველი (1905 წ.) რევოლუციის შემდეგ იგი რუსეთში ბრუნდება და საქართველოში მოისწრაფვის; აქ კომანდოს, მ. წერეთლისა და შალვა გოგელიასთან ერთად აარსებს „ნობათსა“ და „მუშა“-ს (ანარქისტული ორგანოებია).

მძვინვარე რეაქციის სუსხმა არ დაინდო ვარლამი და იგი კვლავ ევროპას უბრუნდება.

ამის შემდეგ იგი საქართველოს მეტად იშვიათი და „მორცხვი“ სტუმარია, რადგან სამშობლოში ყოფნისას მას სდევნის ხელისუფლება, როგორც უალრესად საშიშ, „გაუსწორებელ“ პიროვნებას, ხოლო მეორეს მხრივ მას სისტემატიურ თავს ესხმიან ქართველი მარქსისტები, რომელნიც მასში ყველაზედ სასტიკსა და ძლიერ მოპირდაპირეს ხედავდნენ. მას სამართლიანად, „საქართველოს ბაკუნინს“ უწოდებდნენ. საქართველოდან „ხალხოსნების“ დავალებით იგი იგზავნება ინგლისში-ლონდონში, სადაც პ. ლავროვთან ერთად ჟურ. „Вперёд“-ში თანამშრომლობდა; ვარლამი ამ ჟურნალში ხელმძღვანელობს რუსეთის შინა-ეკონომიურ განყოფილებას, რითაც მან მთელი ინგლისის რევ. საზოგადოებრივი აზრი მიიპყრო. აქედან იგი ჟენევაში მიემგზავრება, სადაც სხვა ემიგრანტებთან ერთად სტეპნიაკ-კრავჩინსკის თანამშრომლობით სცემს ჟურ. „Орщина“-ს. დაახლოვებით ამავე ხანებში იგი განსაკუთრებით რევოლიუციისა და ინტერნაციონალის პრობლემებზედ მუშაობს.. 1877 წ. იგი უკვე პირველი ინტერნაციონალის იურის ფედერაციის წევრია ცნობილ ელიზე რეკლიუსთან, კრაპოტკინთან, ჯემს-გილიოტთან, ჟან-ჟანგრავეთან და სხვა ცნობილ ანარქისტებთან ერთად.

ვარლამი ამ დროს უკვე მთელ ევროპაშია ცნობილი და მთელი იმ დროის რევოლიუციონური აზრი გულდასმით უსმენდა ყოველ მის სიტყვას, ყოველ მის გამოსვლას.

მან დასტოვა ერთობ მდიდარი ლიტერატურა, რომელიც ევროპის მრავალ-ენიან ჟურნალ-გაზეთებშია გაპნეული და დღემდე მზის ნათელზედ გამოსვლის მოლოდინშია.

მისი ნაწერები იმ ზომ საყურადღებო იყო, რომ იგი წერილებისა თუ წიგნების სახით, სხვადასხვა ენებზედ ითარგმნებოდა.

1896 წ. გამოდის წიგნად მისი „პაჟ დე ლ'ისტუარ სოციალისტ“, რომელიც გადაითარგმნა: ინგლისურ, იტალიანურ, გერმანულ, ისპანიურ და აგრეთვე (ოდნავ შემოკლებით) ჩინურ-იაპონიურ

ენებზედაც კი. ამ შრომაში ავტორი იძლეოდა „კაპიტალის“ კონცენტრაციის პრობლემის შესახებ მარქსის დებულების უარყოფის არგუმენტაციას; ეს შრომა ყუმბარასავით გასკდა და მძაფრი პოლემიკა გამოიწვია.

1900 წ. გამოდის მეორე წიგნი: „Предвестники Интернационала“. 1906 წ. კი მოსკოვში გამოიცა მისი მრავალ-მხრივ საყურადღებო კრიტიკული ნარკვევი „Доктрины Марксэима“: ამავე (1906 წ.) წელს ტფილისში გამოიცა პატარა, მაგრამ საყურადღებო შრომა კაუცკის წინააღმდეგ; თავის დროზედ ამ წიგნმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს პარტიულ წრეებში.

მრავალი ნაწერი აქვს აგრეთვე თვითმპყრობელობისა და კერძოთ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხებზედ, მაგრამ იგი არასოდეს ყოფილა „ვიწრო“ პატრიოტი, და სრულიად თავისუფალი იყო შოვინისტურ მისწრაფებისაგან... მსოფლიო ომის დროს კრაპოტკინთან ერთად მან მიიღო ზოგი სოციალისტების მსგავსად — მოკავშირე სახელმწიფოთა ორიენტაცია.

დღეს, როცა მთელი რევოლიუციონური რუსეთი 50 წ. თავზედ კვლავ ანახლებს თავის მოგონებაში დიდი ბაკუნინის ხსოვნას, ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ „გუშინდელი ამბავი“ და გავიხსენოთ ეს მეტად დიდბუნებოვანი ადამიანი, რომელიც კრაპოტკინ-ბაკუნინთან ერთად მსოფლიო აზროვნების სიმალლეზედ იდგა.

კ. ლონაძე.

მეტად მდიდარი ლიტერატურა, რომელიც დასტოვა ვ. ჩერქეზიშვილმა, საჭიროებს შეკრება-გამოცემას, რათა ამ გზით მთელი სისრულით წარმოუდგინოთ ქართველ საზოგადოებას მისთვის დღემდე „უცხო და უცნობი“, გაგარეულებული თანამემამულე, უდიდესი რევოლიუციონერი და საქვეყნოდ ცნობილი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ვფიქრობ ეს საქმე დღეს უფრო შესაძლებელია, ვინემ ოდესმე.

კ. ლ.



გრიგოლ ვეშაპელი

ახალი ფურცელი ქართველი ინტელიგენტის ბედის ისტორიისა დაიწერა ვეშაპელის სისხლით.

ყველას შეუძლია თავისებურად გადაიკითხოს ეს ფურცელი. მე-კი არც მოგონებისათვის და არც რომანტიული განწყობილებისათვის არ მინდა მისი ამოკითხვა: ვინც საქართველოს არსებობას გამოსწოვა ყოველგვარი შესაძლებლობის ტვინი და იქ მოხარშა საკუთარი გული ის დარჩება ჩემთან ერთად ამ ფურცლის გადაკითხვის დროს.

ბედის წიგნი ვრცელია და მრავალ-გულიანი.

თქვენ აქ ნახავთ გათავებულ ხალხით გააფთრებულ სააკაძეს, ხმალ-ამოწვდილი რომ გავარდა საქართველოს კარებიდან და თან გაიყოლა დაჭრილი ნება. ეს ჭრილობა ვერ მოაღბო ვერც სპარსთა შაჰის კარმა და ვერც გამარჯვების ტრიუმფმა. თქვენ აქ ნახავთ გამეხებულ ჭავჭავაძეს, რისხვით რომ გადაუარა თანამედროვეობას. თამამი სიტყვა გამზადებული ქართული გულის გასამთელებლად პირზედვე შეიყინა წიწამურის ველზე. თქვენ აქ ნახავთ მრავალს... მაგრამ რად გვინდა მრავალი, როცა თვით ჩვენი გული წვეთ-წვეთად გამოწოვილ სისხლით სწერს ამ ისტორიას. ყოველი ქართველი ინტელიგენტი, თუ ის არ არის პარტიული ყინით ან უკულტურო თავხედობით შეპყრობილი სუნთქავს საქართველოს არსებობით. საქართველოს არსებობა-კი მერყევია და ორჭოფი. აქ შეიძლება გასკდეს-კიდევ მრავალი თავი ნებით თუ უნებოთ, ხანამ შეიგნებს ყველა, რომ დადგინება უკვე დაიწყო და გამაგრებისათვის საჭიროა უღალავი მუშაობა და გაბედული ნუგეშის სიტყვა.

პირველი ნუგეში და საქმიანი სიტყვა სთქვა იმ კაცმა, რომლისათვისაც საქართველო არ იყო მარტო ეტნოგრაფიული სალაყო. ეს კაცი იყო ვეშაპელი, ვეშაპივით შემზარავი მათთვის, ვისაც რეალური პოლიტიკა რეალურ დალატად წარმოედგინა. ამ პოლიტიკის გაგებამდის ვეშაპელი არ მისულა არც აგიტაციის ზეგავლენით და არც პირადი ბედნიერების

სურვილით. ძლიერი სახელმწიფოს მოღვაწის ტვინით ის კვალში ჩაუდგა საქართველოს ეროვნულ ენერჯის შესაძლებლობას. ყოველი ახლად აღმოჩენილი ენერჯის ზეგავლენით სჭედდა დიდ უროს, რომ ერთი დარტყმით გაეწყვიტა მეფე ერეკლეს ნაჭედი. ძველი ქალდეველის თავხედობით და ნებისყოფით ანგრევდა ის ჩხირკედელა ხალხის საქმიანობას. მისი მჭრელი სიტყვა, ნათელი ტვინიდან გამოსული, მოქნეული ხმალის სიძლიერით სვდებოდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მოწინააღმდეგე იყო რეზინის. დიდი ადამიანი მიხვდა თავის დიდ შეცდომას, მაგრამ გვიან იყო.

როცა დამფუძნებელი სალაყო დაუფუძნებლად გადაჰკარგა დიდი ოქტომბერის ლაშქარმა, ვეშაპელმა, საქართველოზე შეყვარებულმა, კიდევ სცადა ტვინის მოქნევა. მოლუნვას უჩვეულმა, ქედ მაღალმა მოაზროვნემ, თავი დახარა უცხოეთის მთავრობების კაბინეტებთან. სცადა ბედი უბედო ქვეყანაში დაბადებულმა. არაფერი გამოვიდა. სიტყვები და დაპირება მის მწარე ღიმილამდის თუ აღწევდა: უფრო ღრმად შეჭრა დიდი პატრიოტის ტანში მათ არ შეეძლოთ. ტანტალის დრო — ბედი ქართველი მეფეების — დაასრულა.

დაულალავად ეძებდა ის გამოსავალს. გამოსავალი ნახა. ეს იყო საკუთრი თავის რევიზია და ფაქტების ღირებულებათა გადაფასება. ახალ მოვლენებს ახალი თვალთ შეხედა და აღმოაჩინა ახალი საქართველო.


მე მჯერა, რომ ეს აღმოჩენა იქნებოდა მისთვის მეტი სიხარული, ვიდრე, რომელიმე დიდი სარდლის გამარჯვება.

აქ იყო გამარჯვება საუკუნოებში და ამიტომ შეუდგა საუკუნოდ დასამარებას, ვინც ძველისაკენ იხედებოდა.

მრავალი გაუბედავი გაამხნევა, გაადიდგულა და გაბედული ნებისყოფით გამოისტუმრა სამშობლოში ახალ საქართველოს ასაშენებლად. დიდი გაბედულება შეუძლია მხოლოდ დიდ ადამიანს, მაგრამ დიდ ადამიანს ყველა ვერ ხედავს...

ეს მინდა გისაყვედურო ჩემო სამშობლო!...

ბენო გორდეზიანი.



ფერეიდანის ქართველობა

ხალხის ისტორიული ცხოვრების სრბოლაში არის ხოლმე უსაშინელესი წუთები, როცა იგი უთანასწორო ბრძოლაში განგმირული, ღვთის ანაბარათ დატოვებული და განწირული დაღუპვის უფსკრულისაკენ მიექანება. ასეთი წუთები არასოდეს არ იშლება ხალხთა მეხსიერებიდან.

სწორეთ ასეთი საშინელი წუთი განიცადა ქართველმა ერმა მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა მრავალმეფობით დაუძღურებულ საქართველოს შემოესია გამძვინვარებული, სპარსეთის სახელგანთქმული დიდმპყრობელი და იმპერიალისტი მეფე შაჰაბაზი—„ცბიერი, ხუანჯიანი, უნდო და მტერი ყოველთა მემკვიდრეთა“. შემოესია არა ჩვეულებრივ დასამორჩილებლათ და დასაპყრობათ, არამედ მთელი „ურჩი“ ერის შესამუსრავად და ამოსაწყვეტათ.

ისტორიული მოძრაობის მძიმე დოლაბი ბევრჯელ დატრიალებულა ჩვენი ხალხის თავზე. მრავალი საბედისწერო დღე გათენებია მას ხანგრძლივი წარსულის განმავლობაში. მაგრამ ასეთ საშინელებას, საქართველოს გაჩენის დღიდან, ქართველი ერი არასოდეს არ მოსწრებოდა.

რისხვა დაატყდა თავზე აღმოსავლეთ საქართველოს. სისხლი დაწვიმა უმთავრესათ კახეთს

ხალხის უდიდეს ტრაგედიას მემატთანე მშრალათ და მოკლეთ გადმოგვცემს:

„შაჰაბაზმა მოსრნა, მოსტყვევნა, აყაჰრნა და მოაოხრნა. ხოლო შემდგომად... წარვიდა და წარიყვანა აყრილნი კახნი ტყვედ და დასხნა რომელნიმე მაზანდარას, ხვარასანს და ფერიას“.

ქვეყანა დაცალიერდა. ისკანდერ მუნჯის ცნობით მოიკლა 70.000-ზე მეტი. ხოლო აყრილ და გადასახლებულ იქნა ზოგის თქმით 150.000 სული,— ზოგის თქმით კი 60.000 კომლი.

აი ეს ამოდენა ტყვედ წაყვანილი ხალხი,—გზაში დაღუპულთ გარდა,—განფანტეს სპარსეთის სივრცეზე, ჩაასახლეს ქვეყნის მიუვალ და დაუშენებელ კუთხეებში. ნაწილი ჯარში წაიყვანეს სამუდამოთ, ნაწილი კი მონებად დაარიგეს სპარსელთა ოჯახებში. უცხოელთა გადმოცემით სპარსეთში არ მოიპოებოდა არც ერთი სახლი, რომელშიაც ამისთანა ქართველები არ ყოფილიყვნენ. იქ ყოველი დიდი კაცი ცდილობდა ქართველი ქალები ყოლოდა ცოლებად. თვით შაჰის სასახლე სავსე იყო ქართველი ქალებით და ვაჟებით.

ამას მოყვა ძალით გადარჯულების და გადაგვარების ნელი და შემადრწუნებელი პროცესი, რომელიც სავსებით დღესაც არ დასრულებულა.

პირველად გატყდა შრომას დაუჩვეველი თავდაზნაურობა,—იძულებით, ანგარებით, პატივმოყვარებით პირველათ მან შეიცვალა ჯერ რჯული და მერე ენა. შემდეგ თანდათანობით მის გზას დაადგა დანარჩენი ხალხი, რომელიც რჯულდებოდა და გვარდებოდა უსასტიკესი ძალდატანების და აუცილებლობის გავლენით.

საქართველო კი ამ დროს ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ არა თუ დახმარება და ზრუნვა, უბრალო ფიქრიც აღარ შეეძლო შორეულ სპარსეთში გადასახლებულებზე. სულ მალე მას კიდევ გადაავიწყდა გადაკარგული და განსაცდელში ჩავარდნილი თანამოძმენი.

დღეს, ამ გაუგონარი აყრილობიდან სამასი წლის თავზე გადაგვარებულთა ვრცელ უდაბნოში იქა-აქ მხოლოდ მოლეგაო წინწყლები სჩანან, რომელნიც ოდნავ „გურჯობის“ უკანასკნელ ნიშან-წყალს ამჟღავნებენ კიდევ.

მაგრამ არის აგრეთვე ერთი მოზრდილი თაზისი, სადაც ქართველი მოსახლეობა (რამოდენიმე ათეული ათასი სული) ჯერ კიდევ ვერ წაუღეკია გადაგვარების ნიაღვარს, სადაც მას ჯერ კიდევ შეურჩენია ენა, ტიპი, ზოგი ნაციონალური თავისებურება და ერთგვარი შეგნება თავის ქართველური ვინაობისა. ეს არის ფერეიდანი ანუ ფერია, რომელსაც იხსენიებს მემატთანე.

* *

ფერეიდანის ქართველობის ამბავი პირველათ გასული საუკუნის მესამოცდაათე წლებში ჩამოიტანა ფერეიდანის (მარტყოფელმა) ქართველმა სახელათ ათამ ონიკაშვილმა, რომელიც ბედის ტრიალს თუ ისტორიული სამშობლოს ნახვის მოწყურებას საქართველოში გადმოგვდო.

მაშინდელ მოღვაწეთა თაობისათვის ეს იყო მთელი აღმოჩენა, ყველასათვის სასიხარულო და თანაც განსაცვიფრებელი. აღმოჩნდა, რომ დროთა უსამართლობას ოდესმე სპარსეთში ძალით გადასახლებულ ქართველთა ერთი ნაწილისათვის სავსებით ეროვნული სახეობა ვერ წარუხოცია. ამას მეტყველებდა ცოცხლად მთელი თავის სრსებით ჩვენში ჩამოსული მათივე ჩამომავალი, რომელიც მხურვალეთ მოუწოდებდა მთელ ქართველ ხალხს ფერეიდანელი ქართველების საბოლოო გადაგვარებისაგან დასახსნელათ.

ცხადია, ამას დაუყოვნებლივ უნდა გამოხმაურებოდნენ ჩვენში და პრაქტიკული ნაბიჯებიც უნდა გადადგმულიყო საპრესეთის ქართველებთან სულიერი კავშირის აღსადგენათ და საერთოთ კულტურული დახმარების აღმოსაჩენათ. მაგრამ ამ მხრით სრულიათ ვერაფერი ქნა თვითმპყრობელობის კლანჭებში მგმინავმა ქართველმა საზოგადოებამ, რომელსაც ამასთანავე თვითონ აკლდა საზოგადოებრივი თვითცნობიერება და გარკვეულობა.

მან მხოლოდ ოთხმოცდაათიან წლების პირველ ნახევარში გაგზავნა ფერეიდანში ლადო აღნიაშვილი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდვა ჩვენი და ფერეიდანელი ქართველების დაახლოვების საქმეს. მაგრამ რეალური მუშაობა არც ამას მოყოლია ფერეიდანელ ქართველობაში კულტურული სინათლის შესატანად და მისი უმწეო მდგომარეობის შესამსუბუქებლათ.

1907 წ. სპარსეთის რევოლუციის შემდეგ ისევ ფერეიდანელმა ქართველებმა მოგვინახულეს და მოგვაგონეს თავის თავი. ჰუსეინ ონიკაშვილმა და ამრეზ ხუციშვილმა წელიწადი დაჰყვეს საქართველოში, კარგათ შეისწავლეს ჩვენებური წერა-კითხვა და ისტორია, — რის შემდეგ ფერეიდანში დაბრუნდნენ და იქაურ ქართველებს შორის შეუდგნენ ქართული წერა-კითხვის და მწიგნობრობის გავრცელებას. ამ მუშაობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. დღეს თუ ორი-სამი პროცენტი მაინც არის ფერეიდანში ქართული წერა-კითხვის მცოდნე, ეს უმთავრესათ მაშინ დაწყებულ საქმეს მიეწერება. მაგრამ შავი რეაქციის წყალობით ქართველ ხალხს არ მიეცა საშვალეება ეს კულტურული მოძრაობა განეგრძო და გაეფართოებინა.

ბოლოს, სულ რამოდენიმე წლის წინათ, საქართველოს ეწვია ფერეიდანელების წარმომადგენელი — სეიფოლა იოსელიანი, რომელმაც ჩვენი ხალხის ფართო მასაში დიდი ინტერესი და თანაგრძნობა გამოიწვია ფერეიდანელ ქართველების საქმისადმი.

მაგრამ ჩვენ მას ღირსეულათ ვერ შევხვდით, ე. ი. ვერ დაკმაყოფილეთ, ვერ აღმოვუჩინეთ ის დახმარება, რომლისათვისაც ის იყო გამოგზავნილი ჩვენთან.

ის თხოულობდა მფარველს, მასწავლებელს, ექიმს, წიგნს, — ჩვენ კი ვერც ერთი ეს ვერ გავატანეთ უმთავრესათ ჩვენი უთაურობის გამო. ს. იოსელიანის თქმით ფერეიდანელი ქართველები იმაზე ოცნებობენ, რომ „ჩონ ძმებს ჩონსათი გული დაეწების და რამენაირათ დაგვეხმარებიან, სასწავლებელს გავვიხსნიან, რომ ჩონმა შვილებმა ქართული წერა-კითხვა ისწავლონ და ჩონჩი ამის იქით გაიბმება ძმური კავშირი. ამიტომ მე ჩონმა ფერეიდანელმა ქართველებმა გამომგზავნეს აქ ჩონ დაკარგულ სამშობ-

ლოში, რომლისაკენაც ეს სამასი წელიწადია, ჩონი სული და გული იჭრიტებისო“.

სეიფოლა იოსელიანი კულტურული მოქმედების მთელი პროგრამა გადაგვიშალა. მაგრამ დღევანდლამდე არა თუ არც ერთი მუხლი არ შეგვისრულდება, საფუძვლიანათ არც კი შევდგომივართ მის განხორციელებას.

დღეს ჩვენში არსებობს ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოება, რომელიც სწორეთ სეიფოლას აქ ყოფნის დროს დაარსდა და რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სპარსეთის ქართველების კულტურული დახმარება შეადგენს. მაგრამ ამ საზოგადოებას სხვადასხვა მიზეზების გამო თავის მოქმედება დღემდე ვერ გაუშლია. მართალია წიგნები გაეგზავნა ფერეიდანელ ქართველებს. კაციც გვყავს გაგზავნილი თეირანში მათი საჭიროების გასაგებათ და კავშირის გასაბმელათ. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ კმარა და აუცილებლათ საჭიროა დაუყოვნებლივ ნდობით აღჭურვილი კომისია გაიგზავნოს თვით ფერეიდანში ადგილობრივ მდგომარეობის ყოველ მხრივ შესასწავლათ და გამოსაკვლევათ.

ლაპარაკით აგერ ნახევარი საუკუნეა ვლაპარაკობთ. საკმარისია! ახლა უკვე ჩვენთვის სავალდებულოა კულტურული დახმარების აღმოჩენას რეალური და ხელშესახები ფორმები მივსცეთ. და ამ ნაირათ, რაც შეიძლება დროით, მივეშველოთ და დავაკმაყოფილოთ ფერეიდანის ღარიბი, დაბეჩავებული ქართველი მოსახლეობის მოთხოვნილება.

ფერეიდანი დიდი ხანია გველის. ის გულის ფანჯრალით ელის ჩვენგან საავადმყოფოს, კოოპერატივის, შკოლას, სახელოსნოს, სამეურნეო იარაღს, — ყოველივეს, რასაც კი შეუძლია ნივთიერათ და კულტურულათ აამალლოს და დააწინაუროს ჩვენგან მოწყვეტილი, ქართველი ხალხის საგრძნობელი ნაწილი.

ვფიქრობთ, ჩვენი რესპუბლიკის ყოველი ჯანსაღი მოქალაქე, ყოველი მუშა და გლეხი, — პარტიული თუ უპარტიო, — ერთსულოვნათ გამოეხმაურება ფერეიდანელ ქართველთა განუწყვეტელ ძახილს და ამა თუ იმ სახით აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მათი კოლექტიური დახმარების საკითხის მოსაწესრიგებლათ.

უმაღლესი ხელისუფლება ამ საქმეში უშუალოთ ვერ ჩაერევა. ეს არც საჭიროა. ეს უმთავრესათ საბჭოთა რესპუბლიკის კულტურულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წმინდა მოვალეობაა. — მათი მოვალეობაა შემოკრბენ არსებულ დამხმარე საზოგადოების გარშემო და აქტუალურათ აღძრან ის თავის საპატიო დანიშნულების შესასრულებლათ.

პ. დ. საყვარელიძე.

უ ნ ი ა ღ ა გ ო ნ ი

მიმდინარე წელმა რუსეთის ლიტერატურას მოსტაცა ორი ხელოვანი, რომელთაც თავისი ნებით ზურგი შეაქციეს ცხოვრებას და გაშორდნენ სიცოცხლეს. **ესენინი** და **სობოლი** სხვადასხვა ყალიბის არიან, როგორც მწერლები და ადამიანები. ორივეს სიკვდილში ბევრი ინდივიდუალობაა. მაგრამ არის თანაზიარი საერთო რამ, რომელსაც უნდა ჩაუფიქრდეთ ჩვენ და საბჭოთა ხელოვანნი.

ესენინი მოკვდა, ვინაიდან მას სასიცოცხლო არაფერი გააჩნდა, ის მოვიდა სოფლიდან, დაკარგა კავშირი მასთან, მაგრამ ქალაქსაც ვერ შეეგუა. ასფალტში ფესვებს ვერ გაიდგამ. მან კი ქალაქში ასფალტისა და სარდაფის გარდა ვერაფერი ნახა. ის იმღეროდა ფრინველივით. საზოგადოებასთან კავშირი არ ჰქონდა, არ იყო მისი მომღერალი. თავისი ქნარით ის ეძებდა პირად სიხარულს და ბოლოს, როცა ესეც მოსწყინდა, მან მიატოვა სიმღერა.

სობოლი წინად მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ომის დროს დაკარგა ცხოვრების გეზი და გახდა თავდაცვის მომხრე. შემდეგ სცადა მიეგნო ცხოვრების ახალი გზისათვის, ალბად ვერ ნახა. უმიზნოდ მოეჩვენა სიცოცხლე და მისი თვალყურის დევნება.

ბევრი მწერალი იმყოფება ესენინის ან სობოლის მდგომარეობაში. ყველა ვერ გადაწყვეტს თვითმკვლელობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი იცოცხლებენ, ვინაიდან სიცოცხლე შემოქმედებაა და დღეს შემოქმედება შეუძლებელია თუ არ იცი მისი მიზანი და დანიშნულება.

იყვნენ წინედ მწერლები — მაცქერალნი, დიდი მწერლებიც კი, როგორც ჩეხოვი. ისინი თვალყურს ადევნებდნენ ცხოვრებას, ყოველივე მის წვრილმანს. და თუ ამ წვრილმანებს „საინტერესოდ ჰქმნიდნენ“, რაიც მკითხველებს და მათაც აჯერებდა, რომ ყველაფერი განცდილია, მაშინ ორივე მხარე კმაყოფილი იყო. შემდეგ მოდიოდნენ სხვა მწერლები, რომლებიც ამ თხზულებათა საფუძვლებზე სწერდნენ მთელ ტრაქტატებს სიცოცხლის აზრის ე. ი. უაზრობის შესახებ.

წაიკითხეთ ჩეხოვის წერილები თავის ცოლთან. ეს წერილები შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენენ. ორს ახლობელ ადამიანს მრავალი წლების განმავლობაში ტრივიალურ სიტყვების გარეშე აღარაფერი აქვთ ერთმანეთისათვის სათქმელი. ეს წერილები წარმოადგენენ საუცხოვო კომენტარიებს არა მარტო ჩეხოვის სიცოცხლისა და შემოქმედებისათვის, არამედ მთელი ეპოქისთვის, როცა შესაძ-

ლებელი იყო ყოფილიყავი მაცქერალი და ისიც სრულიად უმნიშვნელო მოვლენების.

შეუძლებელი იყო მსოფლიო ომის დროს მაყურებლის როლში ყოფნა, როცა მილიონობით იხოცებოდნენ. შეუძლებელი იყო მაყურებლად დარჩენა სამოქალაქო ომის დროს, როცა ძველი ქვეყანა დაქანდა თავის დაღუპვისაკენ.

შეუძლებელია მაყურებლობა დღეს, როცა ს.ს.რ. კ.-ში იბადება ახალი ქვეყანა. ან მხარ და მხარ ან წინააღმდეგ — აი პაროლი.

მწერალთა ნაწილი დარჩა ძველ ქვეყანასთან და იღუპება მასთან ერთად, რადგან შეუძლებელია მძორთან ამღერება. მთელმა საზღვარგარეთელმა რუსეთის ლიტერატურამ ვერ შექმნა ვერც ერთი დიდი მხატვრული ნაწარმოები. სხვები დაღუბდნენ და გადიქცნენ მარილის სვეტად, როგორც სთქვა ანნა ახმატოვამ თავის ტრალიკულ ლექსში: „ლოტის ცოლი“. იმათ იციან, რომ იღუპება სოდომ-გომორი. იმათ იციან, რომ უნდა დაიღუპოს ეს ქვეყანა, მაგრამ ისე არიან დაკავშირებული მასთან, რომ ველარ აშორებენ თვალს მისი დაღუპვის სურათს. და სდგანან მარილის სვეტებად გადაქცეულები. ნაწილმა მწერლებისამ, უფრო ახალგაზდამ, სცადა „ეცნო“ ახალი ცხოვრება. ეს იყო დიადი ტანჯვების და გმირულ ბრძოლების ხანაში. ისინი გრძნობდნენ, რომ რუსეთის თავზე გუგუნით გადადის ისტორიის ქარიშხალი. მათ არ შეშინებიათ ელვების და ქუხილების. სუნთქავდნენ მძაფრ ჰაერს, რომელიც სცემდა მათ სახეში თმების გლეჯით და ყვიროდნენ: „გაუმარჯოს ქარიშხალს“. ასე დაიბადნენ **საბჭოთა მწერლები** — არა-კომუნისტები. ისინი დაიბადნენ როგორც მომღერალნი ნგრევის სილამაზის და სიდიადისა. ამ ლიტერატურის საუკეთესო თხზულებები მომავალ თაობას დაეხმარება სამოქალაქო ომის და ინტერვენციის ხანის გაგებაში.

მაგრამ ეს წლები წარსულს ეკუთვნიან. ცხოვრებას ვერ ჩრდილავს ახლა არტილერიის გრიალი და ცხენარმიის ხმალთა ელვარება. იგი მიმდინარეობს მალაროების ნახშირთა მტვერის ნისლში, ლუმელების ახლო, მუშათა ოფლით განზანთილი. იგი მიყვება გლეხის გუთანს და შედის კოოპერატიულ დუქნებში. იქმნებიან ახალი დამოკიდებულებანი ადამიანთა შორის, იზრდება ახალი საშიშროება. რევოლიუციისათვის. ყოველივე ეს მოითხოვს ლიტერატურულ განსახიერებას. ლიტერატურის დანიშნულებაა — მოგვცეს ცხოვრების სარკე იმ მიზნით, რომ ადამიანებმა უფრო კარგად შესძლონ მისი აზრის

გაგება მხატვრულ სახეებში. ამას მოითხოვს ცხოვრება ლიტერატურისაგან. იგი უკრძალავს ხელოვანს იცოცხლოს მხოლოდ წარსულით. მას აქვს ბევრი მშვენიერი საშვალეა დაუმორჩილოს ხელოვანი თავის ნებას. უკეთუ ხელოვანი არ შეასრულებს ცხოვრების მოთხოვნილებას, მას აღარ წაიკითხავენ ისინი, ვინც მისთვის ყველაზე ძვირფასი არიან. საბჭოთა ხელოვანი უმეტეს ნაწილად ანგარიშს არ უწევს ცხოვრების ამ მოთხოვნილებას. ისინი ჯერ კიდევ არ დასჯილან ამის გამო მკითხველის უყურადღებობით, რადგან ისევ იზრდებიან ახალგაზდა მკითხველები, რომელთაც სურთ გაიგონ წარსულის შესახებ. მაგრამ საბჭოთა მწერლები წინასწარ გრძობენ თავიანთ გავლენის დაცემას. უკანასკნელი ნაწარმოებები ისეთ შესანიშნავ მწერლებისაა კი, როგორც ბაბელის, ვსევოლოდ ივანოვის და პილნიაკის, მოსაწყენია არა თუ მოწინავე მკითხველებისათვის, არამედ თვით ავტორებისათვისაც. მათ დაჰკარგეს შემოქმედებითი სიხარული, ვინაიდან დაიწყეს უკვე ნათქვამის გამეორება იმის მაგიერ, რომ გასწიონ წინ, ცხოვრებასთან ერთად.

რა მიზეზია, რომ ისინი არ ჰსახავენ ახალ ცხოვრებას, რომელიც შენდება რევოლიუციით შექმნილ ახალ დამოკიდებულებათა საფუძველზე! ეს აიხსნება გარეშე მიზეზებითაც. ჩვენი მწერლები — ცუდი მუშები არიან, არ უყვართ შრომა. ისინი მოდიან იმ ზოგემის ჩვეულებებით, რომელიც გააძლიერა სამოქალაქო ომების უწესრიგო ცხოვრებამ. მათ არ სურთ იცხოვრონ სოფლის მძიმე პირობებში, იმოგზაურონ მესამე კლასით, თუ კი შეიძლება რბილი რონოდებით სარგებლობა, ეძინებთ მაღაროებში ჩასვლა, მუშათა უბნებში ცხოვრება, ქალაქგარე მოვაჭრეთა ცხოვრების გაცნობა. ისინი ვერც მუშას იცნობენ, ვერც დღევანდელ გლეხს, ნეპმანის სახეც კი უცნობია მათთვის. არ არის არც ერთი წიგნი, რომელიც გვაძლევდეს უტყუარ სურათს „ნეპლანდის“ შესახებ. ის, რაც მოცემულია ნეპის განსახიერებისათვის — არის მხოლოდ ისტორია უსუსურთა ზნედაცემის და წვრილბურჟუაზიულ რევოლიუციონერებისა, მაგრამ არა „ნეპი“ ადამიანებით, რომლებიც გადურჩენ ჩეკას ათ სარდაფს და იზრდებიან სოფლის ბურჟუაზიიდან. ამათ სდის ნაფტალინის სუნი: სასიცოცხლოდ მებრძოლ ძველი ბურჟუაზიის შვილებს.

მაგრამ ცხოვრებასთან კავშირის სისუტე მაინც არ არის ის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც „საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი“ მწერლები არ გვაძლევენ სინამდვილის სურათს. ლიტერატურა სარკეა, მაგრამ არა ისეთი სარკე, რომელიც მექანიკურად გვაჩვენებს სამყაროს. ცხოვრების სახეებს ხელოვანი განწონის საკუთარ ტვინით, მან უნდა შეამკვირვოს ისინი ე. ი. შეიგნოს. ეგრედ წოდებულ საბჭოთა ხელოვანს კი, არა კომუნისტ ხელოვანს, „რევოლიუციის მიმღებს“ ახასიათებს ის, რომ მან თვითონაც არ

იცის რა მიიღო. ამიტომ ის თანაუგრძობს რევოლიუციას, თუმცა არ არის კომუნისტი, ვინაიდან არ იცის მტკიცედ ის, რაც ხდება მის გარშემო და ვერ ხედავს ცხოვრების მიერ აღებულ გეზს. თანამედროვე ცხოვრება მას ქაოსად ეჩვენება.

ბევრი ამბობს, რომ სიმართლის წერა შეუძლებელია, რადგან მთავლიტი არ გაუშვებს. სცადეთ, ამხანაგებო! სცადეთ დასწეროთ არა მოგონილი და ჭორებით შეკაზმული ამბები წარჩინებულთა ცხოვრებიდან, არამედ მოგვეციოთ სინამდვილე სოფლების და ქარხნების — როგორც არის. მაშინ ვნახოთ აკრძალავს თუ არა ცენზურა. საბჭოთა მართლმსაჯულებამ მოაწყო ლაპიკების, დიმოვიკის და გეშელინის პროცესები. და დაამტკიცა ამით, რომ ჩვენ არ გვეშინიან საბჭოთა ცხოვრების ნამდვილი სურათების. ეგრედ წოდებულ საბჭოთა მწერლებს ეშინიათ არა ცენზურის, არამედ საკუთარი თავის. მათ არ ეხერხებათ პატიოსან სინამდვილის სურათთა მოცემა, როცა ვერ შეუგნიათ თუ რას წარმოადგენს სოფლად ლატაკების და ჩარჩების ბრძოლა, როცა ვერ სცნობენ ბიუროკრატიზმის დამძლევ საშვალეებს და ვერ ამჩნევენ ქვეყნის დიად შემოქმედებებს და რევოლიუციის მიერ გაჩენილ ხალხის ახალ ფენებს. მათ ეშინიათ, რომ მოგვეცემენ მხოლოდ ცხოვრების ბნელ მხარეებს, რასაც არ გაუშვებს ცენზურა.

როცა მათ შემთხვევით უხდებათ ყრუ და მივარდნილ ადგილებში ხალხის შუაგულში ყოფნა, ისინი დაბრუნების შემდეგ დიდის გაკვირვებით გვიამბობენ იმ დიად შემოქმედებითი მუშაობის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის სადათვეთშიაც კი.

წაიკითხეთ პილნიაკის „მგზავრის შენიშვნები“. ის ჰაეროპლანმა მიიყვანა იქ, სადაც უჰაეროპლანოთ ვერ ჩავიდოდა მოსკოველი მწერალი. მას დაჰქროლა ახალმა ქარმა და დაარწმუნა, რომ ჩვენში შენდება რალაც ახალი და დიდებული.

ხელოვანთა უმრავლესობა გრძობის ხალხია და არა აზრის. როცა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი დაიწყებს მრავალსართულიან სახლების და მეტროპოლიტენების შენებას, როცა ჩვენი ელსადგურების ქსელი გაანათებს მთელ კავშირს, როცა აშენდებიან ახალი ქალაქები, მაშინ ყოველი ხელოვანი ადვილად მიხვდება, რომ ასრულდა რალაც დიადი საქმე. ახლა კი, როცა ახალის დასაწყისი ებრძვის ძველის ნაშთებს, როცა ჯერ კიდევ არ სჩანს ახალის საბოლოო გამარჯვება, ეგრედ წოდებული საბჭოთა ხელოვანი ეკითხება თავის თავს: საიდან უნდა ვიცოდე მე, რომ ეს მომავალი — ახალი გაიმარჯვებს? ძველსაც ხომ აღორძინების ნიშნები ატყვია. და ის თვალყურს ადევნებს. ხან სცდილობს მოგვეცეს რალაც ნათელი და ახალი მოვლენის სურათი. მაგრამ ეს ცდა გამოდის ნაძალადევი, მყვირალა, ვინაიდან ავტორი ვერ ხედავს მთელს და განზრახ მიჩქმალა

ცხოვრების ბნელი მხარეები. ან და იგი ხატავს სურათს ნგრევისას, ობივატელობის ზრდას, მძარცველობის აღორძინებას და თვითონვე ავტორს იპყრობს შიში. ეშინია არა მარტო ცენზურის, არამედ საკუთარი თავისაც: ვინაიდან გრძნობს, რომ სადღაც დაჰკარგა მან რევოლიუცია, რომელსაც აკი „სცნობს“. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა ლიტერატურა ვერ განაგრძობს წინსვლას. ესენინის და სობოლას ტრადედია — ეს ლიტერატურის დაავადების სიმპტომია.

ესენინის სიკვდილის გამო ზოგიერთ მწერლებს ჩვენ, კომუნისტები, ვყავდით მხედველობაში, როცა ამბობდენ: ამხანაგებო! ხედავთ, — ლიტერატურა სათუთი ყვავილია! და სხვა ამგვარად... სობოლის სიკვდილის გამო ლენინგრადის „წითელი გაზეთი“ იტყობინებოდა, რომ სობოლის გადაწყვეტილებას უკანასკნელი მიზეზი მისცა ჟურნალმა „На литературном посту“, რომელმაც მიაკუთვნა იგი „მემარჯვენე პოპუტჩიკებს“. დაანებეთ თავი ასეთ რამეებს. ესენინს ჩვენ ველოლიავებოდით, როგორც ნამდვილ საუნჯეს. მე არა ვარ ჟურნალ „На литературном посту“-ს თავყანის მცემელი, რადგან ის, როგორც არც ისე ნეტარხსენებულ ჟურნალ „На посту“-ს ტრადიციების ერთგული, უფრო ამთრახებს, ვიდრე აჯერებდეს ვისმეს. მაგრამ მწერალი, რომელიც ვერ უძლებს თუნდაც უსამართლო კრიტიკასაც, სუსტია. ვინც სწერს — მან იცის ნიშანში ამოღება და არც თვითონ გაუბრბის ტყვიას. ხოლო რაც შეეხება ლიტერატურის დახმარებას, ჩვენ მას ვახარჯავთ იმდენს, რაც აღემატება საბჭოთა კავშირის საარსებო საღსარს. საკითხის ცენტრს აქ კი არ უნდა ვეძებდეთ და საყვედურები კომუნისტების მიმისამართით, უნდა მიმართონ თავიანთ თავს.

უდიდეს ნგრევის ხანაში მწერალს არ შეუძლია იყოს მაყურებელი. შესაძლოა იჯდეთ პატარა მშვიდ მდინარის ნაპირას, ითევზაოთ და თვალყური ადევნოთ რა ხდება გარშემო. მაგრამ სცადეთ ქოლგით

გამოსვლა ბრძოლის ველზე, როცა ორივე მხრიდან სცემს არტილერია და ჰქრიან ყუმბარები. იქ მაყურებლისათვის არ არის ადგილი, იქ თოფიანი უნდა იჯდე სანგრებში, მომზადებული შეტევისათვის. დიად ისტორიულ ქართველების ხანაში ადგილი არა აქვს მაყურებელს. მას ნაფოტივით ისვრის ზევით ქარიშხალი ან ბაღლინჯოსავით უნდა დაიმალოს კედელში. ქარიშხლის მიერ ჰაერში ატყორცნილი, ქვაზედ დაიმსხვრევს თავის ქალას, კედელში დამალულს კი აწამებს მოწყენა და სულიერ საზრდოს უქონლობა.

იმ საბჭოთა მწერლების დრო, რომლებიც ასწერდენ თუ რა კარგი იყო სამოქალაქო ომი, რაშიაც მათ მონაწილეობა არ მიუღიათ, უკვე თავდება. **საბჭოთა მწერალმა უნდა გადადგას ნაბიჯი წინ — კომუნიზმისაკენ.** მაგრამ ეს მოითხოვს არა მარტო წიგნების კითხვას და იმის გაგებას, თუ საითკენ მიდის კაცობრიობა. ეს მოითხოვს საზოგადოებრივ ბრძოლაში უშუალო მონაწილეობის მიღებას, მოითხოვს შრომას და ხალხის მებრძოლ რიგებში ყოფნას. რომ კარგი მწერალი იყო, არ კმარა კარგი კომუნისტობა. მაგრამ ვინც ვერ გახდება კომუნისტად ს.ს.რ. კ-ში, კომუნისტად არა ჯიბეში შენახულ პარტიულ ბილეთის მიხედვით, არამედ კომუნისტად ღრმა შინაგანის რწმენით, კომუნისტად, რომელიც სინჯავს თავის თავს ყოველდღიურ საზოგადოებრივ შრომის ასპარეზზე, ის ვერ გახდება საბჭოთა კავშირის მწერლად, რადგან იგი ვერ გაიგებს იმ სიდიადეს, რაც მის გარშემო ხდება.

რა თქმა უნდა „პოპუტჩიკები“ უეცრად კერ გამოიცვლებიან. ბევრი მათგან „პოპუტჩიკადვე“ დარჩება რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებამდე, მაგრამ მათი შემოქმედება თანდათან დაუძღურდება. გვესმის, რომ ძნელია კომუნისტად გახდომა. მაგრამ ეს საკითხი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია რუს მწერლისათვის. აი, რას უნდა ფიქრობდე ესენინის და სობოლის საფლავებზე.

კარლ რადეკი.



კრიტიკის და ბიბლიოგრაფიისათვის

(შეკითხვის პასუხი).

მეც კრიტიკოსი ვარ და ამიტომ მეძნელება ჩვენებურ კრიტიკასა და ბიბლიოგრაფიაზე წერა.

მაგრამ მე გარკვევით ვიცი — ჩვენ თვალმოხუცულნი ვართ.

ჩვენ, კრიტიკოსებსა და ბიბლიოგრაფებს, თვალთაგან გამოგვეპარა თარგმნილი უცხო ლიტერატურის მოზღვავება. უცხოეთის ლიტერატურა ფრიად ავიწროვებს მშობლიურ ლიტერატურას — აი, ფაქტი, რომელსაც დიდი ხანია რაც უნდა ჩავფიქრებოდით. ჩვენში არ არსებობს საერთაშორისო საავტორო უფლება და გამომცემლობათათვის სახეიროა უცხოეთის მწერლობის თარგმნა: აქ მხოლოდ თარგმნის ჰონორარს იხდიან. ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურა უცხოეთის ლიტერატურაზე უფრო სერიოზულია და მრავალ მხრივ არც თუ ჩამოუვარდება მას. მაგრამ, სხანს, უცხოეთის მწერალი როგორღაც უფრო მძაფრად უწევს ანგარიშს მკითხველთა მოთხოვნილებებსა და გემოვნებას. ისიც ცხადია, რომ თარგმნილი ლიტერატურა ჩვენს თანამედროვე მხატვრულ პროზაზე უფრო სიუჟეტური, სახალისო და კონსტრუქციის მხრით უფრო უნაკლოა. ასეა თუ ისე, ეს საკითხი ფრიად აქტუალურია, მასზე კი ნაკლებად და ისიც უხალისოდ მსჯელობენ.

ჩვენ გამოგვეპარა თვალთაგან აგრეთვე სალიტერატურო ხალტურა. ხალტურად მე მიმაჩნია არა მარტო ის, რაც წინასწარ განზრახვით უბრალო მოქალაქეთა, მეშხანების გამოვნიებისადმი იაფფასიან შეგუების გზით მიდის, არამედ გარეგანი. მოჩვენებითი სურვილიც კომუნიზმისადმი ხმის შეწყობისა, სურვილი მოგვცენ „იდეოლოგიურად სავსებით გამართლებული რამ“. ჩვენ, კომუნისტებს, რასაკვირველია, „იდეოლოგიურად გამართლებული რამ“ გვირჩვენია; ცუდი მხოლოდ ის არის, რომ ზოგიერთნი იდეოლოგიას პირდაპირ მოწინავე წერილებიდან ჰხვეტენ და ეს იდეოლოგია მათი შინაგნობიდან როდი გამომდინარეობს. ცუდია, როცა მწერალი ოჩაფხებზე შესდგება, ზეაწეულ მკერდით სწერს. როცა იგი ცდილობს დააკმაყოფილოს რედაქციის მოთხოვნილებანი და ნაკლებად უკვირდება, თუ რამდენად არის თვით იგი თავის ნაწარმოებში გულმართალი და გულწრფელი. ლიტერატურაში წვრილბურჟუაზიული საფრთხე ჩვენ, უპირველესად ყოვლისა, ხალტურის მხრით მოგველის. ხშირია, რომ პირველ გვერდზე რალაცას ლულულულებენ ილიჩის ალთქმებზე; შემდეგ კი ამას მოურიდებლად მისდევს

ჩვენი დროის „მეშხანინისადმი“ საამებელი რამ. „ალთქმები“ აქ ყურით მითრეულია, რათა ჩუმად და უდავიდარაბოდ გააპარონ ამ მეშხანინისათვის სარტა და სახეირო მასალა. ამისთანა შემთხვევაში შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ნამდვილ წვრილბურჟუაზიულ საფრთხესა და გარემოცვასთან გვაქვს საქმე. საბჭოთა რესპუბლიკაში არა გვეგონია ბევრი იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც აშკარად და პირდაპირ ახალი მეშხანობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მუშაობდეს. ეხლა სცდილობენ ყველაფერი ეს კომუნიზმის დროშის ქვეშ გააპარონ. ხალტურა სჭამს და აქუცმაცებს მწერალს და სიბინძურის სახით მიიმართება მკითხველთა წრეში. ჩვენ კი დღემდე მას გაბედავად და არასერიოზულად ვებრძვით. ხალტურით დასნეულებულან თანამგზავრებიც, პროლეტარული მწერლებიც: ეს საერთო სენია. გარდა ამისა, რომ თავი უნდა ვანებოთ ჭრელ-ჭრელი მოთხოვნილების ბაზრისადმი შეგუებას, იმის დროცაა, რომ უკუვაგდოთ პროლეტარიატის მხრით „სოციალური შეკვეთის“ თეორიის პრიმიტიულადა და გლახაკურად განმარტება. უნდა შევიგნოთ, რომ „სოციალური შეკვეთა“ მოცემული კი არა, არამედ დასახულია; ჩვენ საქმე გვაქვს პროცესთან და არა ვაჭრულ „ამოყაჭე“ და „ამდენს გაძღვე“-თან.

ჩვენ თვალთაგან გამოგვეპარა აგრეთვე ქლესაები, მლიქვნელები, ადგილთა მაძიებელნი, გაქსუებული, გამძრომ-გამომძრომი ადამიანები, რომელთაც საკმაოდ მტკიცეთ დაუბუდნით თანამედროვე ლიტერატურის მრავალშტოიან ხეზე. მათ ცხვირი იქითკენ აქვთ, საითკენაც ქარია; ისინი თვალყურს ადევნებენ სხვადასხვა ქროლვებს; ისინი ერთი სალიტერატურო დაჯგუფებიდან მეორისაკენ დაეხეტებიან და ერთს ღამეში იცვლიან რწმენას; მხნენი და ჯანმრთელნი, გიჟმაჟნი და მხიარულნი — ისინი მოხერხებულად სარგებლობენ ჩვენი კამათითა და საკრიტიკო შეტაკებებით; ისინი ერთი ბანაკიდან მეორეში დაძვრებიან და ამას გასაოცარი გრაციოზობითაც კი სჩადიან. ასე რომ, თუ ფეხი წაუცდათ, ფიცხლავ წამოხტებიან ხოლმე. ჯერ ტანთ მტვერიც არ გაუბერტყიათ და ჰხედავ — მიჰფრინავს ასეთი ადამიანი უკვე სხვა მხარეს, მოქმედებს სხვა ადგილასა და ასპარეზზე, აქებს და ადიდებს თავის პატრონებს, არა მტკიცე მეგობრებს და თავის ძალისა და მიხედვით ნერწყვავს სხვა მწერლებსა, მხატვრებსა და კრიტიკოსებს.

ჩვენი საკრიტიკო შეტაკებები, დისკუსიები და უთანხმოებანი... მათ ნიადაგი აქვთ. ზოგს რასმე იგინი ურკვევენ მკითხველსაც, მწერალსაც. არის ცდა საკითხების უფრო ღრმად დამუშავებისა. გასაგებია აგრეთვე სიცხარე, გაზვიადებანი, შეცდომებიც. მაგრამ ზოგჯერ კამათში ჩაბმა და პასუხის გაცემა სამარცხვინოცაა და სათაკილოც. ეს ბუნებრივია. სათაკილოა და სამარცხვინო უპასუხო, როდესაც სალიტერატურო შარუების სახით რომელიმე კრიტიკოსი მალაყს გადადის ამა თუ იმ კრიტიკოსის სადღაც ცემის გამო; მასხრობს იმის შესახებ, რომ ამა და ამ მწერალს სადღაც ურწყევია; ან როდესაც ესა თუ ის მწერალი, რომელსაც რედაქციიდან დასტობით მოსდის უკან ყოვლად უიმედო თავისი ნაწერები, ვითომდა კრიტიკული მოსაზრებისა გამო იწყებს ჭორაობას, სისინს და ფასად თავის მუშურ-გლებურ ჩამომავლობას ხმარობს. ამისთანა რაზედმე პასუხი ძნელია, მაგრამ მიუხედავად სხვადასხვა დაჯგუფებათა და აზრებისა, საჭირო კია მასთან საერთო ძალებით ბრძოლა.

საჭიროა ლიტერატურაში ბრძოლა გამოეცხადოს უნიჭობას, რა დროშასაც გნებავთ ეფარებოდეს ეს უნიჭობა. ის, რაც დღეს ამ მხრით კეთდება, საკმარისი როდია. გზა მიეცით პროლეტარულ მხატვარს, გზა მიეცით თანამგზავრს, თუ კი მათ რაიმე თავისებურის თქმა შეუძლიათ, თუ მათ ნამდვილად სწავლა სურთ იმიტომ რომ, თავისში ნიჭს, მოუსვენრობას, გრძნობათა მოზვავებას ამჩნევენ. და ვებრძოლოთ წვრილმან მოშურნეებს, ბნელ კუთხეებიდან სხვისი სარმის გამომდებთ, კარიერისტებს, გრაფომანებს და ზედმეტად გაბერილ თავმოყვარეობის პატრონთ, ვინაიდან ესენი ნამდვილ ნიჭთ გზას უღობავენ.

კომტრაბახობაზე ჩვენში ბევრსა ლაპარაკობენ და სწერენ, მაგრამ გაკეთებით ნაკლებად აკეთებენ რასმე. უნდა მოისპოს პარტბილეთის ცხვირ-

წინ წარამარა ფრიალი, უნდა მოისპოს ეს ჯგუფური თვითკმაყოფილება, ეს თავის რაღაც განსაკუთრებულ ჩამომავლობაზე მითითება.


ჩვენი ზნე და ჩვეულებანი, რომელნიც მწერალთა წრეში მოქმედებენ, აშკარად უნდა ითქვას, სასტიკნი და ჩვენი დროის შესაფერისნი არ არიან. ჭორაობა, ერთმანეთის განქიქება, წვრილმანი შურიანობა, ცხარე აღსარებანი და იქვე ლალატი, გამუდმებული ქიშპობა, ლოთი-ფოთობა, უვიცობა და გასაოცარი შინაგანი უკულტურობა, სკანდალები, ჩხუბები და დავიდარაბა! განა საჭირო არაა ამ საქმის მოვლას მტკიცედ და ურყევად მოვკიდოთ ხელი? თუმცა უნდა ითქვას, აქ საჭიროა დახმარება არა კრიტიკოსების, ყოველ შემთხვევაში არა მარტო კრიტიკოსების, არამედ დახმარება უწინარეს ყოვლისა ჩვენი საზოგადო სალიტერატურო ორგანიზაციების: კავშირების, ასოციაციების, წრეებისა, ჯგუფებისა.

კრიტიკოსები ამ და ამის მსგავს საკითხებს მეტს ყურადღებას რომ აქცევენ, მაშინ ნაკლებად გვექნებოდა ეს ათასგვარი შეტაკება, უთანხმოება. მაშინ ადვილად გაჩნდებოდა საერთო, უფრო მეგობრული და ნაყოფიერი მუშაობისათვის ნიადაგი.

არსებითად, კრიტიკოსების ოჯახი მცირეა; მხატვრული სიტყვის ქეშმარიტი დამფასებელი არც თუ ისე ბევრნი არიან; ახალი მკითხველი და მწერალი კი კრიტიკოსისაგან გადამეტებულად ბევრს რასმეს მოელის. ისეთს მოთხოვნილებებს გვიყენებენ, რაზედაც წინანდელ „ძველსა და ნეტარ დროებაში“ წარმოდგენაც კი არავისა ჰქონია. ზოგი რამ ჩვენებურმა კრიტიკამ უკვე მოგვცა ამ წელთა განმავლობაში, მაგრამ ეს — ნამცეცია მხოლოდ.

ერთი რამ კიდევ უნდა გვახსოვდეს: სასტიკი დღეები გვიახლოვდება და გამზადებულნი უნდა ვიყოთ ყოველთვის!

ა. ვორონსკი.



ნ ა ტ ა მ ა ჩ ნ ა კ ე

ალექსანდრ დიუმა, რომლის რომანებითაც ბო-
დავდა თითქმის ნახევარი წარსული საუკუნისა, სა-
მოგზაუროთ ჰყოფილა საქართველოში. მას აქვს აწე-
რილი ტფილისი მესამოციანე წლებში, მაშინ უკვე
მოთავებული იყო საქართველოს რომანტიული ეპო-
ქა—მაგრამ ალექსანდრ დიუმას ფრანგისთვის უჩვეუ-
ლო დაკვირვებით აქვს ასახული მაშინდელი საქარ-
თველო. ეს წიგნი არის აპოლოგია ქართული რასისა.
ალექსანდრ დიუმა აწერს მანანა ორბელიანის ქალს
და უმატებს „მე არასდროს არ მინახავს არისტოკრა-
ტი ქალი ასეთი — მბრძანებელი გარეგნობით, რო-
გორიც მას აქვს. თქვენ რომ შეხვდეთ ორბელიანის
ქალს, როცა ის ქუჩაზე ფეხით მიდის, თქვენ თქვენდა
უნებურად უნდა მოიხადოთ ქუდი, თუნდა იმას არც
კი იცნობდეთ“. მეორე ადგილას დიუმა
აწერს ჭავჭავაძის ქალს, რომელიც შამილთან იყო
ტყვეობაში, და რომლის სენსაციური თავგადასავა-
ლით სავსე იყო მაშინდელი საქართველო; მასზე ამ-
ბობენ, რომ ყველაზე ლამაზი თვალები აქვს საქარ-
თველოშიო, სწერს დიუმა — მაგრამ რაც ყველაზე
უფრო გაცხობს, როცა პირველად შეხედავთ, ეს
არის მისი ასე ვსთქვათ ბერძნული დაწმენის პრო-
ფილი ანდა უფრო კარგად რომ ვსთქვათ ქართული
დაწმენისა, რომელიც არის ბერძნული სიწმიდე —
მაგრამ სიცოცხლე მინიჭებული. საბერძნეთი ეს არის
გალატეა — მაგრამ მარმარილო — საქართველო
სულ-ჩადგმული გალატეაა, რომელიც იქცა ქალათ.
აქ გაგონდებათ პოლსენ ვიქტორის დაუვიწყარი
სტრიქონები სტიუარტებზე.

ალექსანდრ დიუმაზე უფრო საინტერესოა მოწ-
მობა აბატ დე ლა პორტის, რომელსაც მეთვრამეტე
საუკუნეში უმოგზავრია საქართველოში: „არაფერი
არ არის აქაურ ქალებზე უკეთესი, მე არ შემეძლო
გაუკვირვებლად მეცქირა მათთვის, ამ ქვეყანას უნ-
და დაერქვას სილამაზის სამყოფელი — რომ ისენი
თვითონ თავის თავს არ მტრობდენ (აქ საუბარია
ფერ-უმარილზე)... ამ ქვეყანაში ისე იშვიათად შე-
გხვდებით უმსგავსო ქალი, როგორც სხვა ქვეყანაში
პრულქმნილი ლამაზი, აქ ლამაზ ქალებს თითქმის
ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით. მე რასაკვირველია
სრულიადაც არ ვამეტებ. შეუძლებელია წარმოიდ-
გინო უფრო მწყობრი ნაკვებები, ტანი უმშვენიე-
რესი და უფრო მეტი სასიამოვნო რჩევა, რომელიც
აქვთ ქართველ ქალებს. გადმოგვცემენ, რომ აქაურ
ქალების ასეთმა საოცარმა სილამაზემ დაუშალა მაჰ-
მადს ჩამოსულიყო ამ ქვეყანაში. განა ზედმეტს პა-
ტივს არ უმატებენ ამიჯ ამ ცრუწინასარმეტყველის

თავშეკავებას და თან ისეთ პუნქტში, სადაც ის ყვე-
ლაზე ნაკლებ იყო თავშეკავებული? ასეთია ამ ჭკუა-
მახვილ აბატის აზრი მაშინდელ ქართველ ქალზე და
თვითონ ეს აბატი ასეთ ენტუზიაზმისთვის ხშირად
გამხდარა სხვისი კჭუა-მახვილობის საგნათაც. უფრო
გასაკვირია ქართველ ქალების აღწერა კავალერ
შარდენისა, რომელიც დანარჩენში არ ზოგავს სა-
ქართველოს და ყველა ცოდვაში სდებს ბრალს —
შარდენი ამბობს, რომ მთელი წინა აზია ქართველ
ქალების სისხლით არის გაკეთილშობილებული და
თუ ამ ქვეყანაში სადმე ლამაზ ქალს ან კაცს ნახავთ
უთუოდ შთამომავლობა ქართული ექნებაო. შარ-
დენის ამ მოსაზრებას საფუძვლად ის უდევს, რომ
ჩაშინ საქართველოში განსაკუთრებით აყვავებული
იყო მონებით ვაჭრობა და ხარკსაც დაპყრობილები
იხდიდენ ლამაზი ქალის სახით.. აქ რომ საკმარ არ
იყოს ეს ამონაწერები შეიძლებოდა მისი გამრავლე-
ბა—საკმარისია აღინიშნოს მარტო უცხო პოეტების
თქმები ქართველ ქალზე: როგორც, ლორდ ბაირო-
ნის, ტეოფილ გოტიესის, პუშკინისა, ლევ. ტოლს-
ტოის, მიხ. ლერმონტოვის და სხ.

მაინც ყველაზე საინტერესოა ძველი ბერძნუ-
ლი მითოსი მედეას და ოქროს ვერძზე. ვინ იცის რა
უფრო მოაჩქარებდათ კოლხიდაში არგონავტელებს,
ლეგენდა ოქროს ვერძზე და ოქროს მადნებზე, თუ
მედეას სილამაზე? ყოველ შემთხვევაში თვითონ ამ
მითოსში და შემდეგ ყველა ტრაგედიაში, რომელიც
დაუწერიათ ბერძნებს და უცხოელებსაც, ცენტრი
თვით მედეას პრობლემაზეა გადატანილი (ამის შე-
სახებ საინტერესოა ცნობილი დეკადენტი პოეტის
და კლასიკურ ფილოლოგიის ავტორიტეტის ინო-
კენტი ანენსკის გამოკვლევა „ტრაგიული მედეა“)

ასეთი შესავალი ძალიან ავალებს თუნდ პოეტ-
საც, როცა ის სწერს პორტრეტს კინო-მსახიობის ნა-
ტა ვაჩნაძისას.

ჩვენ გამოტეხილი უნდა ვსთქვათ, რომ პოე-
ტები, რომელიც აფასებენ სიტყვას, როგორც
ფენომენს, თავის დღეში ვერ შეურიგდებიან კინოს
ხელოვნებათ გახდომას — მაგრამ ზოგი მომენტები
კინოსი უთუოდ იწვევს ჩაფიქრებას.

ნატა ვაჩნაძეს, რომელსაც გადააქვს დღეს ერთად
ერთს ქართული კინო-წარმოება, უფრო ბიოლოგიუ-
რი გამართლება აქვს ვინემ არტისტული. (თუ ორი-
ვე შეიძლება უბიოლოგიოთ): ჩვენში არა თუ კინოს,
რომელსაც ორიოდ წლის წარსული აქვს, არამედ
თეატრსაც აკლია ინდივიდუალი არტისტები — მით
უმეტეს შეუძლებელია კინომსახიობზე წერაც კი.

ეს ასე, რომ ვსთქვათ თანამედროვე მხატვრობის სტილით, უფრო Nature Mort-ის თეატრია. და აქ უპირველესი არტისტი თვითონ საქართველოა თავის „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტით“ — ერთი უშუალო ნაწილია საქართველოს ამ ლამაზი ბუნებისა თვითონ ნატა ვაჩნაძე: მაგრამ მას შედარებით კიდევ აქვს სკოლა გავლილი.

ნატა ვაჩნაძე ალბად არასდროს არ ემზადებოდა არტისტობისთვის, ამასაც აქვს დიდი მნიშვნელობა, თუმცა ნ. ნ. ევრეინოვი ამტკიცებს, რომ ნამდვილი თეატრი მხოლოდ „ЛЮБИТЕЛЬСКИЙ“ თეატრია.

ეს ბავშია, რომელიც რაღაც კაპრიზით მოხვდა ეკრანზე და იმის მაგიერ, რომ ცხოვრობდეს სადმე წინონდალში თავის მამულში ანდა ტფილისში დღეს ტოკიოში და წანხაიში უხდება ხალხისთვის ჩვენება.

ამ მხრივ ჩვეულებრივ ქალისთვის კინოს აქვს თავისი მაცდურობა, ქალი ყოველთვის სახელისა და პატივ-მოყვარეობისათვის ბრძოლაა. ამით შეიძლება აიხსნას დღევანდელი კინო-მანია.

ნატა ვაჩნაძეზე უნდა ითქვას, რომ ის ჩვენ თანამედროებაში ბედნიერი გამონაკლისია. ბუნებას, რომელსაც მიუცია მისთვის უმშვენიერესი მადლი სილამაზისა — მიუცია აგრეთვე იშვიათი თავდაბლობა და სათნოება — ესეც თითქმის თანაბარი ღირებულების ბედნიერებაა — ამიტომ არის, რომ ნატა ვაჩნაძე საგრძნობლად გაირჩევა არა მარტო ქართველ კინო-მსახიობში — არამედ სხვაგანაც. ნატა ვაჩნაძის სახე — არის სახე მეტერლინკის და ბეატრისასი ან და პოლ ადანის და ნატალიასი — აქ არის ზეციერი სიმშვიდე და ანგელოსის სისადავე — ასეთი თვალეზი აქვს ქართულ ფრესკებზე ღვთისმშობელს, რომელსაც წასვლია საღებავი და რომლის თვალეზი დახვრეტილია მონგოლების და ოსმალოთა თუ ლეკების ტყვიით. ამაზე იტყვის პოეტი:

ისეთი ღრმაა და წმიდა ზეცა

ალერსით სავსე,

თითქო ღვთისმშობლის ცრემლი დამეცა,
ლოცვის დროს თავზე.

ჩვენდა საბედნიეროთ თუ საზიანოთ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ძალიან უყვარს ადამიანის ამაღლება — და მალე დაცემაც. ადამიანის ამაღლება, ეს არის წყურვილი სტატისტიკით მცირე ხალხის — ჰყავდეს კერპი და დაცემაც იმის ბრალია, რომ რადიუსის სიმოკლე უშლის თვალდან კერპის მიფარებას და მალე იმსხვრევა, როცა თვალეზი მიაშტერდებიან.

ნატა ვაჩნაძე ხალხს ბოლომდი ეყვარება დამსახურებითაც. მე ხშირად გამიგონია უბრალო ობივატელისაგან, რომელიც ბევრ სხვა შემთხვევაში თავის

ხელოვნების დაფასებისთვის საცემიც არის — ნატა ვაჩნაძის დიდი ქება. უბრალო ხალხს თითქო ეცოდებათ ეს ბავში, რომ ჩვენ რეჟისორებს ის გამოყავთ ერთ და იმავე საცოდავ როლში — რომელსაც ყველა ებრძვის და ამარცხებს: მაყურებლისთვის ეს ნამდვილი წამებაა: რეჟისორები — სწორედ წინააღმდეგ შთაბეჭდილებას იღებენ მასიდან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არის რაღაც ცრემლების ჯადო, რომელიც იპყრობს არა მარტო სანტიმენტალ ხალხს: მე ვიცნობ ერთ დიდ ქართველ პოეტს, რომელსაც არ მოსწონს მეღანქოლიის ექსპლოატაცია — მაგრამ მას შეუძლია ჯოხით სცემოს დუგლას ფერბენკს, რომელიც ყოველთვის ცხენივით დარბის.

მე სრულიად გადაუმეტებლად შემიძლია ვსთქვა: რომ თუ ქართულმა კინო-მრეწველობამ გაიმარჯვა ამის ერთი მთავარი მიზეზი ნატა ვაჩნაძეა: შეიძლება ცრუმორწმუნოების გამართლებაც — მას ბედი აქვს.

მე მახსოვს როგორი ალტაცებით ლაპარაკობდა ნატა ვაჩნაძეზე პოეტი სერგეი ესენინი, რომელმაც შემდეგ მართლა რომ თავის სახელოზე ჩამოიხრჩო თავი — თუ როგორ მოწონდა ნატა ვაჩნაძე — აგრეთვე ვ. კაჩალოვს — მე კი მეგონა, რომ ესენინი და კაჩალოვი კინოში არც კი დადიოდენ.

მე ვოცნებობ, რომ საქართველოში გამოჩნდება, რეჟისორი — ანდა რა იქნება, რომ ეს ყოფილიყო თვითონ კოტე მარჯანიშვილი, რომ დადგამს „ნიბელუნგები“-ს დადგმის მონუმენტალობით არგონავტებს და მედეას გატაცებას ან და კიდევ უფრო მომხიბლავ სურათს ამორძალების ცხოვრებიდან: და ჩვენ წინ დამაბრმავებელი სილამაზით გაიარენ მშვილდისრიანი ამორძალები აქაფებულ ცხენებზე და რისხვის გრიგალივით.

ეს იქნება ქართველ ქალების გამოფენა. კიდევ დადის საქართველოში შეუმჩნეველად გალატეა — ეს მადლი და მადანი საქართველოს არ უნდა დაეკარგოს, მათი გადაშენებაც არ შეიძლება, როგორც არ ამოითხრება კავკასიონის ქედი და არ ამოშრება ევქსინის პონტი: მაგრამ ყველას ის უსწრებს წინ. ვინც პირველმა დაიწყო — აქაც არის დაგეშა და დასწრება.

მე მოვერიდები ნატა ვაჩნაძის პროფილის უფრო დეტალურად გამოკვეთას — საქმეა თრთოლვის გადმოცემა და ჟრუანტელის გრძნობა, ეს არის სათავე ყოველი არტისტობის და მე მგონია სწორედ ამაშია ნატა ვაჩნაძის გამარჯვებაც.

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ნატა ვაჩნაძე კინოს ხელოვნებაზე მალა დგას და ამ კინოზე გადანაზარდით ის უახლოვდება პოეზიას...

ტიციან ტაბიძე.

ნიკო სულხანიშვილი

შუა ტანის ადამიანი. არც ერთი უჩვეულო ხაზი, რომ მასიდან ერჩეოდეს. მხოლოდ მაღალ შუბლზე აქოჩრილი თმა თუ გაფიქრებინებთ რასმე. გახუნებული ტანისამოსი. ყოველთვის გამოუწყობელი. ქუსლებ-მოცვეთილი, მოღრეცილი ფეხსაცმელები. ჩუმი ნაბიჯი. მოფარებული სიარული. დამფრთხალი ნადირივით განზე მოვლა. კახური საუბარი. სახის კუნთების ნერვიული ათამაშება, —საეჭვოთვისება, რომ თვლებში ჩაშტერებოდით. ასეთი იყო ყოველ-დღე სახლში, ქუჩაში, საზოგადოებაში ეს ერთი სახე.

მაღალ ესტრადით ამალღებული. მასის გადაღმა, განცალკევებული. აქოჩრილი თმების ნაკლები მეტყველება. მთელი სხეულის ალაპარაკება. კოხტად გამოწყობილი, თუმც ნათხოვარ ტანისამოსში. თავადური ნაბიჯი. ამაყი ტან-დაჭერა. მეფე—ღირიჟორი. მაგიური წკეპლა. ხელის აქნევა. —სიტყვაზე მტკიცე. ასეთი იყო სცენაზე. იშვიათად, მაგრამ ასეთი კი იყო.

ეს მეორე სახე.

ასევე იყო გაორებული მისი ცხოვრება და შემოქმედება. ვნახოთ ორივე.

ნიკო სულხანიშვილის სიცოცხლე გაბმული ჯვარცმა იყო. და სხვანაირად შეუძლებელიც არის მისი ყოფნის წარმოდგენა. იგი თავისი განცდებით თუმც ძველი ქართველი იყო, მაგრამ ჩვენს გადაშენებულ საზოგადოებას ნოვატორად მოევიწყინა. როგორც ნოვატორი კი, იგი „საზოგადოებისთვის“ მიუღებელი უნდა ყოფილიყო, თავისთვის კი დატანჯული. პირველი რევოლუციონერობა ყველაზე მეტად ამით არის ლამაზი.

ალბად საფრანგეთის ხელოვნების „ერეტიკოს“ მონტიჩელის სახელს ბევრი დააკლდებოდა, რომ მის ელვარე ზმანებებისთვის ცხოვრებას ზიზღის ლაქა არ დაეჩნია. ალბად ვრუბელიც გაღარბდებოდა, მისი ბიოგრაფიიდან რომ ამოგვეშალა სილატაკის საშინელება. საზოგადოების ყრუ-მუნჯობა, მისი დაბრმავება და საგიჟეთში სიკვდილი.

— „რუსლანს“ ორმოცდაათი წლის შემდეგ გაიგებნო“, — ნაღვლიან იმედით იტყოდა თურმე გლინკა, რუსულ ეროვნულ მუსიკის მამა-მთავარი.

ვაგნერი, ნიცშე, უაილდი, შტირნერი, ჩადავი... და რამდენი დიდი სახელის ხსენება შეიძლება შემო-თქმულის საილუსტრაციოდ.

ღიან, სულხანიშვილის ცხოვრება გაბმული წვალება იყო, მაგრამ იმ საშინელ შევიწროების და სუ-

ლის ტკივილების ატმოსფერაში მაინც ვერ გადატყდა მისი გმირული ნების-ყოფა.

ვერ გადატყდა, რადგან შემოქმედებითი პოტენცია მასში დიდი იყო. და თუ ეს დიდი პოტენცია შესაფერად მაინც ვერ გადიშალა, მიზეზი ბევრი ჰქონდა.

კარგად ვიცით, რომ შემოქმედებს. მეტ წილად ბრძოლით უხდებოდათ და უხდებათ გზის გაწალდვა. ვიცით, რომ ვაგნერი კინალამ დააღრჩო უხამსმა გარემოებამ, რომ შოპენი, შუმანი, ბერლიოზი, ლისტი, გლინკა და სხვანი მრავალნი პირდაპირ შუბლით არღვევდნენ გაუვალობის ყრუ კედელს, მაგრამ მათი ბრძოლა უფრო ვიწრო ხასიათს ატარებდა.

ეს იყო ოჯახური ხასიათის დაძლევა, რის შემდეგაც ეშლებოდათ გერმანია - საფრანგეთ - იტალიის დიდი ასპარეზი, სადაც ეროვნულ კულტურას ზეიმი ჰქონდა გამართული.

იქ შესაფერი ტრადიცია უკვე არსებობდა, პირობები ხელს უწყობდნენ. პარიზის, ლაიპციგის, რომის. ვენის, ბერლინის თეატრები, საკონცერტო დარბაზები, ხელმძღვანელ-მფარველები მრავლად იყვნენ. ჩვენში?

სად შეიძლებოდა კულტურულ პირობების შესახებ საუბარი, როდესაც შავი ჟანდარმები ჩვენ ფიქრსაც კი სდარაჯობდნენ?

და საჭირო ჰხდებოდა შებრძოლება კერძო დაბრკოლებებთან კი არა მხოლოდ, საზოგადო, ეროვნულ ბარბიკადებთანაც, რაშიც ილეოდა ქართველი ადამიანის მაღალი უნარი.

ეს ბოროტება დაეტყო მთელ ჩვენს ცხოვრებას და უეჭველად ხელოვნებასაც. ხოლო თუ ხელოვნების ზოგ სფეროში კიდევ რამ შეეკმენით და ავამაღლეთ ძირს დაგდებული ქართული სიტყვა, — მუსიკაში სულ ჩამოვრჩით.

საქართველოში მუსიკა იმავ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც იტალიაში მე-XVI საუკ. ნახევარში, ვიდრე მის ჰანგთა ქვეყანას დაეპატრონებოდნენ რომისა და ვენეციის სკოლათა დამაარსებელნი, პალესტრინი და გაბრიელი...

როგორც იქ, ისე აქაც, არ არსებობდა დამოუკიდებელი მუსიკის ცხოვრება. კი, შეუმჩნეველ სფეროებში იმალება დიდი პოტენცია, მაგრამ იზიდას ფარდა ძნელად იწევა.

ჩვენი ახალი კომპოზიცია მეტ-წილად ისევე ხალხის სულის გარეშე სდგას, და ისევე არის დამორჩილებული, როგორც მე-XVI საუკ. იტალიაში იყო. აქ არაფერია უჩვეულო ან საოცარი.

ბევრმა ერმა განვლო ამ-გვარი ფაზისი. ჩვენც გავივლით. მხოლოდ ამისთვის ჯერ გათანაბრების ხანაა საჭირო, როდესაც ერის შიგნით მომწიფებული ძალა შესძლებს უცხო გავლენასთან შეტოქებას.

ეს იქნება ეროვნული ხელოვნების რენესანსიც. მხოლოდ იგი ხალხის წიალიდან უნდა წარმოიშვას. ხალხი არის შემოქმედების დიდი აუზი. უკვდავე-პაც ხალხში იმალება.

ჩვენი მუსიკის შესაძლო გამარჯვებისთვის, ქართველი ხალხის სიმღერა განსაკუთრებით კარგ მასალას წარმოადგენს.

ამ მხრივ ჩვენ გვაქვს უდიდესი საუნჯე.

მის მრავალფეროვნებაში უსათუოდ სჩანს ერის შინაგანი, ღრმა სიცოცხლე, უნაზესი ღირსი.

უსმენ და გწამს, რომ მოდის საქართველოს ლამაზი ძომავალი. მოდის ზეიმით და ბრწყინვალეობით. და ფიქრით რინდლები.

გსურს შეჰყვირო ყველას გასაგონად დიდი ბრძანება: „ქუდები მოიხადეთ“-ო. იმდენად გიტაცებს და გაღელვებს მშობელი ქვეყნის გამარჯვების აპოთეოზი.

**

ვიმეორებ: ქართული მუსიკა, ისევე როგორც ყოველივე კულტურული შემოქმედება, კრიზისს განიცდიდა. აღარ ისმოდა მოხდენილი და ამაყი ქართული სიმღერა. ძველი არაგვისპირული „ზამთარიო“, კახური „ჩაკრულო“, და სხ.. დავიწყებას მიეცნენ, და მათი ადგილი დაიჭირეს იაფმა „არიებმა“, ან და ლაზლანდარა კუპლეტებმა.

ღიახ, ქართულ სიმღერას სახე დაეკარგა.

რუსულ ან ევროპულ ბალაგანის კურსი, ჩვენ კერა-ჩამქრალ ხელოვნების ბირჟაზე უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე ქართული სიმღერა. მანდალინა-გიტარით გაგიჟებამ, ჩონგურის სახსენებელიც კი წაშალა, თარს სიმები დაუწყვიტა, და დუდუკის ან ზურნის გაგონება ხომ ნერვებს აუშლიდა ჩვენს სისხლ-გამშრალ და ფილტვებ-დამპალ, „გაევროპილებულ“ საზოგადოებას.

აი, ამ პირობებში ჩაისახა ნ. სულხანიშვილის შემოქმედება, გატილების, დაჩლუნგების და გათახსირების სტიქიურ ზეიმის დროს მოვიდა იგი. სიცოცხლის მაგიერობას „მყუდრო ცხოვრება“ რომ ეწეოდა, მაშინ დაიმღერა თამამი „მამ გამარჯვება ტკბილო სიცოცხლევ, იყავი ჩემთან შენ განუყრელი“-ო.

ყველას ეუცხოვა მისი მოსვლა.

თითქოს უადგილოც იყო.

ვილაც კახელი, აწყურის თეთრი გიორგის დღეობის მეტი რომ არ უნახავს არაფერი, თამამად მღერის დავიწყებულ სიმღერებს. და მოსაგონებლად კი არა, აცოცხლებს ახალი კომპოზიციით, საკუთარ „თავხედობით“.

ვილაც „უდიპლომო“, „გამოგდებული სემინარიელი“, სადღაც თელავში მიკარგული ლოტბარი, ღვინით სნეული, სამიკიტნოების მუდმივი მაყარი, პირდაპირ სახელმწიფო თეატრის ფარდასა ჰხსნის, და იმ საზოგადოების წინ, რომელიც გაევროპილების ჭირით იყო შეპყრობილი, რომელიც უგონოდ მიექანებოდა გადაგვარების დაღმართზე, რომელსაც დაუბანელ სხეულზე სმოკინგი და თეთრი ხელთათმანები ჩაეცვა, და რომლის მთელი უნარი წმინდა რუსული აქცენტის შემუშავებას უნდებოდა, ღიახ, ამ საზოგადოების წინ, ამაყად გამოდის და თითქოს პრიმიტიულად ამღერებს: „—არ გავცვლი სალსა კლდეებსა“-ო.

ხევსურის ზარიანი ყვილი ელექტრონის მძლეობას ეჯიბრება. საზოგადოება ნერვიულობს. სიმღერა ზედა-პირს ატანს, მთვლემავ გრძნობებს სწვდება ღრმად, ატოკებს და... პირველ ძვრისთვის ესეც კმარა.

კომპოზიტორი კულისებში იმალება, ცხოვრების ფარდის იქით. ხან-და-ხან ჩნდება მეტეორივით. იელვებს, ჰქრება. ალბად ასე იყო საჭირო. მაგრამ ეს აღარ არის საინტერესო. ღირს-საცნობი ის არის, რომ, სულხანიშვილმა მაინც გაიმარჯვა. მისი კომპოზიცია ჩვენს თანამედროვე მუსიკაში, ხაზია—გაბზარვის მაჩვენებელი.

როგორც მიწისძვრის შემდეგ გამსკდარი ნიადაგი თავისი გარდაქმნითი ცდის მაჩვენებელია, ისევე მაჩვენებელია ნ. სულხანიშვილის შემოქმედებაც.

ღიახ, უნდა გარდიქმნას ჩვენი მუსიკა ისევე, როგორც მთლად ჩვენი კულტურა. საქართველო თავის თავს უნდა დაუბრუნდეს. ჩვენი კულტურა ქართულ ნიადაგზე უნდა დავრგათ, რადგან ეროვნება უმთავრესად კულტურულ შემოქმედებაში მუდამ-დება.

და თუ ბევრნი ამ დებულებაში დაინახავენ საკაცობრიოს რამ საწინააღმდეგოს, შესცდებიან.

ეროვნულისა და კაცობრიულის დაპირისპირება არ არსებობს. ეს ძველი, გაუმართლებელ აზროვნების გზა-აბნეულობაა.

საკაცობრიო ორ-ხასიათოვანია:

1) აბსტრაგიულ-კაცობრივი, ერის გარედ მყოფი, უპიროვნო. მაგ. ტეხნიკა, მეცნიერული ჭეშმარიტება, რომელნიც საყოველთაოდ იხმარებიან, ინდივიდუალ განწყობილების გარეშე;

2) კონკრეტ-კაცობრივი, ინდივიდუალური და ღრმად ეროვნული. აქ, საკაცობრიოს მხოლოდ ეროვნულ სულის სავსებითი გამოცხადება ჰქმნის.

ისე, როგორც „ფაუსტი“, ან „ზორატუსტრა“, ან „ვეფხვის-ტყაოსანი“, რომელნიც უსათუოდ საკაცობრიო საუნჯენი არიან, მაგრამ ინდივიდუალ და ეროვნულ სულის სიღრმის ნაყოფი. საყოველთაო ენით „ესპერანტო“ — „ვოლაპიუკით“ „ფაუსტის“ დაწერა წარმოუდგენელია.

მანქანა—ადამიანი კულტურის სფეროში—აბსურდია. Nomo homunculus-ით ვერასოდეს ვერ

შეიცვლება. ლიმუნკულიზმს მხოლოდ ცხოვრების ტექნიკა თუ დაავიჯინებს. სიცოცხლის არსებითი მხარე კი კონკრეტ ადამიანთა მიერ იქმნება. აქ აბსტრაქციას ადგილი არ ჰქონდა. ეს დებულება იმარჯვებს ყველგან.

იდეალისტური ილლუზიონიზმი კულტურის სფეროში, რომელიც ეროვნულ ხაზებს ჰშლიდა, დამარცხდა ეროვნულ შემოქმედების წინაშე. ჩვენც აქეთ უნდა წარვმართოთ მთელი ჩვენი ენერჯია.

მართალია, დასავლეთის კულტურის ძალას ვგრძნობთ, მის შინაგან ძალის წინაშე კაპიტულიაციის აუცილებლობასაც ვხედავთ ხშირად. მაგრამ სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს მთელი ჩვენი შეურიგებლობა.

შედევრია რიხარდ ვაგნერის „ნიბელუნგის ბეჭედი“, „ლოენგრინი“, „ტანგეიზერი“, „ტრისტანი და იზოლდა“, მაგრამ ამ მუსიკალურ დრამებით მხოლოდ გერმანია იამაყებს.

დიდი საუნჯეა ბახის „ვენებათა მუსიკა“, მისი კანტატები, ორატორიები, მოტეტები, მაგრამ გერმანიის კულტურის დროშაზე სწვრია მისი სახელი.

ბერლიოზს, ლისტს, გლინკას, შოპენს, ყველას თავისი ერი ეპატრონება.

და თვით ეს სახელები, საკუთარ ერის უკვდავ-მყოფელნი არიან.

ჩვენ, ქართველსაც გვინდა გვყავდეს ჩვენი ვაგნერი და ბეთჰოვენი. და სწორედ ამიტომ უნდა დავდგეთ ჩვენს ნიადაგზე, მთელი ჩვენი თავისებურობით.

უნდა მოეღოს ბოლო იმ დასავლეთით გატაცებას, რომელიც ჩვენში ჰსიხიზის ხასიათს ატარებს, თორემ ისტორიას ჩავბარდებით.

იგი კი გიგანტურ რბენით მიექანება და რაღაც პერსპექტივებს გვიშლის.

შეიძლება ამას ზოგიერთები ვერ გრძნობდნენ, მაგრამ ის, ვინც დაჩვეულა ფიქრით გარემოს ჭვრეტას, ვისაც უსწავლია სიცოცხლის ინტიმურ ჩურჩულის მოსმენა, ვისაც აქვს თავდაოკების უნარი, რომ ქუჩის ყრიამულმა და სიჩქარემ არ აითრიოს, და ვინც შესძლებს დასაზვერ პუნქტზე გაჩერებას, რომ თავის წინ გაატაროს ყოველ-დღიურ მოვლენათა სწრაფი ქარავანი, — აუცილებლად ექნება შემჩნეული, რომ კაცობრიობის სულში რაღაც ტკივილები მწვავდებიან.

ახლოვდება რაღაც კრიზისი, რასაც მთელი ცხოვრების გარდაქმნა მოჰყვება.

ეს გარდაქმნა ერის ნიშნით იწარმოებს.

თანამედროვე კულტურის უძღები შვილი უკვე სწუხს სამშობლოს დატოვებას. მას საარსებო საღსარი გამოეღია. რწმუნდება, რომ თავის დამტკიცების წადილით თავის უარ-ყოფა ნახა, და ისევ უბრუნდება თავის მიწას მონანიებით.

თანამედროვე კულტურა გარეგნულად კმაყოფილ სახეს ატარებს, შიგნით კი დაფანტულობით აის აღსავსე. ისტორია ამ შინაგან წინააღმდეგო-

ბას ბოლოს უღებს. დღევანდელ დღეს სიბნელის ფარდა თან-და-თან ეხდება და ჩნდება ხელებ-გამოწვდილი ადამიანი.

**

სულხანიშვილმა შემოქმედების ინტუიციით თითქოს იგრძნო მომავალ ცხოვრების ზარის რეკა, და მიტომაც ხალხს მიაშურა.

მან დაინახა, რომ ჰხდება ერის შინაგან, ორგანიულ ინტეგრაციის დიდი პროცესი, რომ იშლებიან ის ლობეები, ინტელიგენციას და ხალხს რომ აშორებდნენ, და სიტყვით კი არა, საქმით იშვის ერთი დიდი სხეული — ერი. ამ დიდი დღის კვირადღაზე, მართალ შემოქმედისთვის შეუძლებელი იყო ორგანიულად არ შეერთებოდა ამ შემკრებლობითი პიროვნებას, ხალხს, რომ მის შეგნებაში არ შექრილიყო ხალხურ შემოქმედების ელემენტები.

და ნ. სულხანიშვილი ყველაზე ახლო მივიდა ჩვენს ხალხთან. და გამარჯვებულებიც დარჩა. მან დაჰქნა გზა, რომლითაც უნდა წავიდეს ქართული მუსიკა.

ამ გზაზე იგი თუმცა ბევრჯელ შესდგა, ბევრჯელ ატირდა კიდეც, მაგრამ მაინც გააკეთა ის, რის გაკეთებაც შეეძლო მის პირობებში მყოფ ადამიანს.

და რისთვისაც აკლდა მომზადება ამ უმასწავლებლო მასწავლებელს, იმისთვის ბევრჯელ სცადა შეზრძოლება, მაგრამ „დამარცხდა“. იქნებ ეს იყვეს მისი ავთანდილისებურ ატირების მიზეზი?

„მო ზუალო, მომიმატე
 ცრემლი ცრემლსა, ჭირი — ჭირსა,
 გული შავად შემიღებე,
 სიბნელესა მიმეც ხშირსა“ — ო.

აკი „ლოკვა-ჰიმნიკ“ იმავე ავთანდილის სიტყვებით შესთხზა:

„ღმერთო, ღმერთო მოწყალეო,
 არვინ ძივის შენგან კიდე,
 შენგან ვითხოვ შეწევნასა,
 რაზომსაცა გზასა ვვლიდე.
 მტერთა რისხვა, ზღვათა ღელვა,
 ღამით მავნე განმარიდე,
 თულა დავრჩე, გმსახურებდე,
 შენდა მსხვერპლსა შევწირვიდე“ — ო.

მაგრამ ველარ დარჩა. თუმც მის მიერ საქართველოს საკუთხეველზე შეწირული მსხვერპლი დღესაც ანთია და ენთება კიდეც დიდხანს.

სულხანიშვილის ცხოვრება და შემოქმედება სევდიანი იყო და ატირებელი.

ევროპა გადმოაქვთ ჩვენს მუსიკოსებს, მხოლოდ ისე, რომ სხეული რჩებათ ხელში, სულს კი იქა სტოვებენ, სულის გადმოტანა შეუძლებელია.

ქართული მუსიკა ხალხს უნდა დაუბრუნდეს. ჩვენი სიმღერის სული სოფლად სცხოვრობს.

აკი წავიდა კიდეც სოფლად და დაგვიტოვა საუკეთესო ორატორიები, კანტატები, საგალობლები: „მესტვირული“, „გუთნური“, „სამშობლო ხევსუ-

რისა“, „მაშ გამარჯვება ტკბილო სიცოცხლევ“ და სხვა...

„პატარა კახი“ ვერ „დაამთავრა“. ჩვეულებრივად დამთავრებული კი ჰქონდა, მაგრამ არ აკმაყოფილებდა მისი საბოლოო სახე.—„ოპერა რეკლამისათვის კი არ მინდა, „პატარა კახში““ ან საქართველო უნდა გაცოცხლდეს, ან და ჩემთან ერთად უნდა დაიმარხოს მისი ხმებიო“,—ასე მითხრა სიცოცხლის ბოლო ხანებში კომპოზიტორმა. ამბობენ ზოგიერთები, რომ „პატარა კახი“ დაწერილი არა ჰქონია, ეს ზღაპარია, რომელსაც ბოლო უნდა მოელოსო. არ არის მართალი. „პატარა კახის“ პარტიტურა ბევრსა აქვს ნახული. მოსმენითაც ბევრს მოუსმენია. განსაკუთრებით მის მოწაფეებს, რომლებმაც დღესაც ზეპირად იციან ამ შესანიშნავ ოპერის ადგილები. ეს ოპერა დღეს დაკარგულია. მაგრამ გვგონია, რომ მისი მიგნება შესაძლებელია, და ეს უნდა მოხდეს კიდევ.


ეს ოპერა უძვირფასესი განძი არის ქართული მუსიკის სალაროში და ამ განძეულის დაკარგვას შთამომავლობა არ გვაპატიებს.

ამას გარდა, ნიკო სულხანიშვილს აუარებელი ნაწარმოები ჰქონდა, როგორც საერო, ისე სასულიერო ხასიათისა, რომანსების მთელი წყება, და სხვ.... დღეს კი, უმრავლესობა სადღაც გაჰქრა, და რაც დარჩა, ისიც იცვლება და „კეთდება“ ვილატეების მიერ.

უნდა შეიკრიბოს ნიკო სულხანიშვილის ყველა ნაწარმოები და დაიბეჭდოს. რამდენადაც ვიცი, სახელგამი აპირებს რამდენიმე მისი რომანსის დაბეჭდვას, რაც ფრიად მოსაწონი საქმეა, და იმედიცა გვაქვს, რომ ამით არ გათავდება მისი მწრუნველობა. ხოლო რომ დაიბეჭდოს, უნდა შეგროვდეს კიდევ, უნდა „დაკარგული“ მოიძებნოს, ამას კი ყველაზე უკეთ შეასრულებს ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა კავშირი, რომელსაც საქმის სიყვარულიც შესწევს და შესრულების უნარიც.

ნიკო სულხანიშვილი დავიწყების წრიდან უნდა გამოყვანილ იქმნეს, ეს მან სავსებით დაიმსახურა.

ვან-დეიკ.



აკაკი წერეთლის და ივანე მაჩაბლის მიწერ-მოწერა*)

აკაკი წერეთლის წერილები ივანე მაჩაბელთან

I

„დიდი ხანია რაც შენი წერილი აღარ მომსვლია და მეც აღარ გამომიგზავნია. შენ ალბათ არ გეცალა და მე კი ავადმყოფობა მიშლიდა ხელს. მართალია, ერთ ხანობით ცოტათი გამოვბრუნდი, მაგრამ ეხლა ისევ შემაბრუნა. დავლოლავ, მაგრამ ვაი ამისთანა ფეხზე დგომას, რომ ყოველ წუთს გულის გახეთქას ველი!

მირჩევენ: ან საზღვარს გარეთ გადი და ან კავკასიაში წადიო. პირველის საშუალება არ მაქვს და მეორეზე გული არ მაძლევს ნებას: აქ მოკვდე ის მირჩევნია, მანდ სიკვდილს, რომ დასაფლავების დროს სამაიმუნოდ არ გავხდე.

ნუ გაიკვირებ ამ ჩემს სურვილს!.. მართალია სამშობლო ტკბილია, ჩვენ ხალხსაც ვუყვარვარ და პატივსაც მცემს, ასე რომ მე ათისთავისა და ასისთავის ღირსიც არა ვარ, მაგრამ რა გამოვიდა, როდესაც ეგ ქვეყანა და ეგ ხალხიც იმ გაიძვერაების ხელშია, რომელთაც ინტელ—მეთაურებს ეძახიან და მათ ნებაზე დადის.—

მაგ ფარისეველ—მეთაურების მცნებაც ხომ ვიცით, რა არის. სიცოცხლეში გდევნიან, მახეს გიგებენ, სიკვდილამდე მიგიყვანებენ, გატირებენ და რომ მოკვდები, მაშინ ზარს ამბობენ მხოლოდ თავის თავის გამოსაჩენად, იმერულ მეზარეებსაც.

ძნელია ამას რომ ვანბობ, მაგრამ რა გქნა რომ გულმა ვეღარ დაიტია და შენ რა უნდა დაგიფარო?

როდესაც მე აქ ვეგდე გაჭირვებული, ექიმისა და წამლის სასყიდელი არ მქონდა, რათ მინდოდა მე მაშინ მანდაური პარაკლისები და დაუინებითი სიტყვა: „ჩვენი საყვარელი აკაკი და სხვანო“—უცნობმა რუსებმა, რომელთაც მხოლოდ სახელი გაიგეს ჩემი, მნახეს და მანუგეშეს...

მანდედან ჩამოსულემა კი ამბავიც არ იკითხეს... მხოლოდ შორიდან ამბავს ტყობილობდენ: როდის მოკვდება? რაღას აგვიანებს, რომ ბარემ გახეთში გამოვაცხადოთ და ჩვენი ფარისევ—მაიმუნობა ქვეყანას ჩვენივე სასარგებლოთ დავანახვოთო.

იმ გაჭირვების დროს, ქუთაისის ბანკის გამგეობას, რომელიც ინტელიგენციისაგან არის შედგენილი, გავუგზავნე თხოვნა, რომ კრებისათვის გადაეცა და ერთი წლის პენსია წინდაწინ მოეცათ და გაჭირვებაში ხელი მოემართათ. ზედაც კერძო წერილები დავაყოლეთ თუ მე, თუ დავით მიქელაძემ წვერებთან და იმათ ჩემ თხოვნის ნაცვლად განხილება დაადგინეს, ფული აღარ არის და პენსია მოვუსპეთ აკაკის, რადგანაც მაინც აღარას აკეთებსო და მთელი ხალხი საცინლად აავდებიეს აქაურ გახეთებს, როდესაც კრებამ არ მოუსმინა და მაინც გადამეწყვიტა.

ახლაც კიდევ იგივე გამგეობა უარს მეუბნება...

რასაკვირველია მომავალ მაისს მე მადლობას შევსწირავ და უარსაც განვაცხადებ მაგ ვითომ პენსიაზე...

*) ეს მიწერ-მოწერა ამოღებულია გიორგი ლეონიძის მონოგრაფიიდან „ივანე მაჩაბელი“.

რედაქცია.

ეკ, რომელი ერთი მოვთვალო!.. ღმერთმა ხელი გაუშაროსო—არც მაგათი დაცინება მინდა და არც მაგათი შემწეობა.—მაგათი ღვთის წყალობაც ღვთის რისხვით მიმანია... და მაგათი ქება—ლანძღვით!!!

სხვა რაღა მოგწეროთ, შეტყობილი გაქვს ეგებ, რომ ჩემი ზოგიერთი თხზულება რუსულად ითარგმნება.—მათ რიცხვში „თამარ ცბიერი“ და „პატარა-კახი“. ეს ორი მაინც ძალიან მოწონებულია, განსაკუთრებით „პატარა-კახი“ ძალიან მოსწონთ და ძალე იქნება დაბეჭდილი, თუმცა პროზათ არის ნათარგმნი... რასაკვირველია, რომ „ივერიის“ დევ-გმირის გოშიების ყეფამ და ენებმა აქ ვერ გასჭრა! ალბათ ნასუფრალი ნამეტანი მოსვლიათ, მუცელი ტკენიათ და იმას აუწუწკუნებიათ.

თუ სნეულებამ ხელი არ შემიშალა, აღარც მატერიალურათ მიტირს რა: იანვრიდან თანამშრომლათ მიმიწვიეს ზოგიერთ აქაურმა დიდმა გახეთ-უტრნალებმა.

იაკობ გოგებაშვილს ჰკითხე, მომცემს ნებას რომ გადათარგმნილი იქნეს მაგის „იავ-ნანამ რა ქნა“?... რომელიც აქ ოსტროგორსკის ძალიან მოსწონს, თუ არა?

მაპატიე რომ გაწუხებ ვრცელი წერილით. ჩვენები მომიკითხე. შენს სახლობას უგულითადი პატივისცემა.

შენი აკაკი

ჩემი ადრესი: Невский № 63. кв. № 5.

II

ძმაო ვანო!

გილოცავ ცოლშვილის დღეობას. ნეტავ შენ რომ ცოლშვილი ვარს ვეხვევა და მერე კიდევ მაგისთანა სამაგალითო!

გეტრტინებიან მშობლიურ ენაზე, გულს გაგიმხიარულებენ და მომავლისათვისაც ნუგეშს გაძლევენ! შენ რომ ცოტაც არი დაღონდე რამეზე, არ გეპატიება.

მართალია ხელმოკლეობა დროებით საფიქრებელია, მაგრამ, ეკ, ჩემო კარგო, მე სულ ჩემი დღე და სოფელი უხელოთ, ანუ უკეთ რომ ვსტქვათ, სულ ტიტველას მივლია. მაგრამ ამიტანია და მივჩვევივარ ისე, როგორც ჰაერის სუნთქვას. შენ ღმერთმა დაგიფაროს ჩემ ბედისაგან ან ჩემი მწარე ხვედრისაგან!.. იმედია, შენი სიმართლე თავს გაიტანს და საქმეც სიმართლის გზით წავა! მე მკითხე რომ არც მარჯვენა მაქვს და არც მარცხენა და ამასთანაც სანუგეშოც არა მიმიძღვის რა. თორემ შენ სხვა ბედიც რომ არა გქონდეს, ერთი ისეთი ღვაწლი მიგიძღვის, რომ სამაგალითოა. მე ვანბობ ამაზე, რომ შეიძელი ვეშაპის, იმ საზიზღარი არსების, მოკვლა, რომელიც ქართველობას სამკეც რგოლათ ჰქონდა შემოხვეული და ზღაპარისა არ იყოს, კუდი კიდევ პირში ეჭარა. (არ იფიქრო სწებსავით შენც, რომ მე ილია მყავდეს მხედველობაში! მე იმას ხელიკობასაც ვერ დავახარჯებ, თორემ გველეშაპობას როგორ შევწამებ?

არა, მე იმ ზნეობით-უბედურობაზე ვანბობ, რომელიც ამდენი ხანია თავზე აწვა ქვეყანას, რომელიც თვალს ხუჭავდა, თქვენი მეოხებით კი ის მძინარი ქვეყანა ნელ-ნელა თვალს ახელს, როგორსაც მანდეთ, ისე აქეთაც.

ჯაბადარის შესახებ რაც მოგეწერა, იმის შესახებ, გიგოსაგანაც მივიღე წერილი და აი ჩემი აზრი: „მეღეა“ და-

ლიან პატარა არის ასე, რომ იმ პირობით ოთხი თუმნის არ მერგება...

მაშინ როდესაც ოთხი წელიწადი მეტი მართო მასალების შეკრებასა და მოგროვებას მოვუნდი. ქუთაისში ლაღიძე 15 თუმანი მაძლია, ოღონდა კი ერთჯერ დამაბეჭდვიყო. მაგათ ეგ არ შეეძლება, ვიცი, და თუ უნდათ ჩემი მუდმივი თანამშრომლობა დიდი სიამოვნებით, მხოლოდ უსასყიდლოდ კი არ შემძლია. თუ მომცემენ იმას თვითრად რასაც ნიკოლაძეს აძლევენ, თან ვალდებული ვიქნები ყოველ ნომერში იყოს ხოლმე ჩემი ნაწერები და აქ „მედეია“ იქნება უმფროსიც და სხვანიც...

მოიფიქრონ: თუ ჩემი თანამშრომლობა შემატებს ხელმომწერებს და ეგენიც არას წააგებენ, მხოლოდ მაშინ მომიწვიონ, და თუ ვერას შევმატებ, ტყულა ხარჯში რათ შევიყვანო?

ერთი დღით იმ კვირაში მინდა გამოვიარო და ყოლიფერს გეტყვი, რაც სათქმელი მაქვს. ამიტომ აქ კალამს ვსტოვებ. მომიკითხე ყველანი. დათას ჩემი უგულითადესი მადლობა და სიყვარული. ნეტავი ისე მე უყვარდე ბედს—როგორც მე ეგ მიყვარს და მაგის ნახვაც მესიამოვნება.

შენი მარად აკაკი.

6 დეკემბერს.

III

საყვარელო ძმაო და ძვირფასო მეგობარო ვანო!

ვიცი, რომ პირადათ ბედნიერი ხარ! მაგისთანა ოჯახობა და ნათესავეები გახვევია გარსა!

ამას გარდაც, ვინც კი რიგიანად გიცნობს, ყველა შენი მეგობარია და ურიგოებს კი თვალში ეჩხირები და შენგან გარბიან. (ესეც კიდევ უკეთესი ღვთის წყალობაა!)

ადგილიც თავისუფალი გიჭირავს, მაგრამ გული კი მაინც არ გექნება ვამძღარი.

შენისთანა კაცები განა კერძობით კმაყოფილდებიან? ყაზაზ-პოლოსებში ტრიალი კერძო საქმეა და საზოგადოც რომ იყოს, მაინც ისეთი წვრილმანია, რომ ნაცარქექიების საკადრისია და არა შენი.

მაჩაბელი გამიგონია, მოურავი, მსაჯული და არა ქვრივობლების ზედამხედველი!.. ეს ძველი ჭყონდიდელების საქმე იყო.

ან ძალიან სულის კაცი უნდა, რომ ობლებისთვის იზრუნოს მხოლოდ და ან ძალიან ხორცის, რომ იმავ დროს ქვრივებშიდაც იტრიალოს და შენ კი ვგონებ, არც ერთი ეს უკიდურესობა არ გჭირს.—

ამისთანა დროს, როდესაც უმეცრება—სულის სიღარიბესთან გადაკრიმანჭულებული ინტელიგენციის სახელით გამოდის მოედანზე, მეთაურობს და ვნება მოაქვს საქვეყნოდ, შენი გვარი კაცები განა ღობეს გადაღმა უნდა იყვეს დარჩენილი და გულ-ხელ დაკრებილი შეჭყურებდენ შორიდან?

შენი ხნის რომ ვიყო და ან ტანმრთელი, მაგათ განზე გავუდგებოდი? სხვას თუ ველარას მოვახერხებდი, იმდენს კი ვუყუფავდი, სანამ ხმა არ ჩამიწყდებოდა, მაგრამ მართლაც კი გულ-ღვიძლს გავუსივებდი და ცხვირიდან ნაღველს ვადენდი.—იყო დრო, რომ სწორეთ მაგისთანა გზას ვადექი და ქვეყნის მგლებს ვაფრთხობდი.

მაგრამ დღეს... დღეს კი აღარც ცოცხლებში ვურევივარ და აღარც მკედრებში! არაფერს არ მაკარებენ, არც პურს, არც ღვინოს, არც რამეს, გარდა რძისა და მშრალი ხორცისა...

პირველმა გამაბავშვა და მეორემ გამამხეცა—და ისე შემძულდა თავი, რომ სარკვეც კი გავატანიე ჩემს ოთახიდან. სწორე ვითხრა დროებით ჩამოვიდოდი... იმდენათ მენატრება ზოგიერთების დანახვა, რამდენადაც მეზიზღება უმეტესობის დანახვა, მაგრამ რა პირით უნდა გეჩვენოთ რომ ის აღარა ვარ რაც ვიყავ...

ეჰ, ჩემი „ზევსური“ გათავებულია და ამ ლექსით დაბოლოებული:

გული წყლული, სული კრული,
სახე მჭკნარი, თმა-ჭალარა.
ამისთანა სიცოცხლაც კი
გინდ იყოს და გინდ აღარა!“

მახლას!! იყავ მშვიდობით. შენი ოჯახობა ერთობ სიმდაბლით და სიყვარულით მომიკითხე.

პატარა მაჩაბელმა რათ დაიგვიანა? გიორგის შუამავლობა მისცეს თუ არა? დათა სოფელშია თუ ტფილისში? ამ ზამთარს ხომ არავინ ჩავარდნილა წყალში? კნიაჟნა ბაბოს ეკოდინება.

შენი მარად აკაკი.

12 დეკემბერს.

ივანე მაჩაბლის წერილები აკაკი წერეთელთან

I

ძვირფასო ძმაო აკაკი!

შენს წერილში ორი შეცდომაა: ჯერ ერთი, რათ მეკითხები რათ დააგვიანა პატარა მაჩაბელმაო, როდესაც ის დიდი ხანია აქვე ჩემ გვერდით გასჭყვირის და გაჰკვივის. ტასოს ვაჟი ეყოლა 6 დეკემბერს და ეხლა ორივე სრულიად კარგად არიან. ვიცი არ გეწყინება ჩვენი მშვიდობის ამბავი და ამიტომ ვჩქარობ გაცნობო.

მეორეც ესა, შეცდომით წარმოვიდგენია ვითომ მე და ჩემ მომხრეთ იარაღი დაგვეყაროს და კერძობას გამოვდგომოდეთ,—ეგ ხომ მეტის-მეტი სულმოკლეობაა და შენის მეგობრობის ღირსი არ იქნებოდა. თუ მე ჩემს წერილებში პირადს მშვიდობიანობაზედ ვწერდი, ეს იმიტომ, რომ მართლა ცოტა მოსვენება მეჭირვებოდა შემდეგ იმ გაწა-მაწიისა, რაც ამ ზაფხულს გამოვიარე. ეხლა კი იმედი მაქვს უფრო ბეჯითად მოვიკიდო ხელი საქმეს, რამდენადაც კი დრო და შეძლება ხელს შეგვიწყობს. სამწუხაროდ შენგან ცუდი ამბები მოგვდის და განცხობველებული სიტყვების მაგივრად, რომელსაც ასე შეგვაჩვიე, ავადმყოფობის წუწუნი-ლა მოგვესმის.

ვინ ამბობს, იქნება ამ წუწუნს ცოტაოდენი საფუძველი ჰქონდეს, მაგრამ არ მგონია საიმისოდ ავად იყო, რომ ეგრე სულით ხორცამდე თავს გვანებებ და მხოლოდ ათასში ერთხელ შორიდან გვემუსაიფები.

აქაური ამბავი ეს არის, რომ საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გაისმის უგაზითობის გამო. „ივერიას“ გაზეთად არავინ აგდებს და თითონ რედაქტორიც კი აღარ კითხულობს თავის თანამშრომლების ნაბლაჯს. აქა იქ გაისმის სურვილი ახალის გაზეთის ან ჟურნალის გამოცემისა, მაგრამ სურვილი სურვილადვე რჩება, რადგან ცალკე საშუალება არ არის და ცალკე ნების გამოტანა ჭირდება.

ქართული თეატრი საკმაოდ კარგად მიდის წრეულს:

იმ დღეს ოპერეტა წარმოადგინეს და მთელმა თეატრმა ძალიან მოიწონა. მუზიკა თუ დარბაისლური არა, სახუმარო მაინც აყვავდა ჩვენში წრეულობით.

ეს ყველა იქით იყოს და მოსვლისას რას იწერები? შენი წერილიდან ყრუ პასუხის მეტი ვერა გამოვიტანე რა, არა მგონია პეტერბურგის ექიმებმა ისე გიწამლონ, როგორც აქაური ჰაერი გარგებს. მრავალი მოკითხვა გიძღვნეს ჩვენებმა: ტასომ, ბაბომ, გიორგიმ, ნუცაც აქ იყო ორი სამი კვირით და ყოველ დღე გიგონებდით. იმის მოსვლა კი გვიამა, მაგრამ წასვლა კი არა, რადგან შენი დიდი პორტრეტი მოგვტაცა და ორგვარად დაგვაობლა.

შენი მარად ერთგული

ი. მაჩაბელი.

29 დეკემბერს.

II

ქვირფასო აკაკი!

ვგონებ სექტემბრამდის ქალაქში წასვლა ვერ მომიხერხდება, მაინც ეხლა იქ არავინ არის.

გაზეთის თაობაზე იწერები. ძალიან კარგი იქნება, მაგრამ მე თითონ ჯერ არ ვიცი სად ვიქნები და როგორ ვიქნებით, როდესაც თავი ხელთ მექნება, მაშინ შეიძლება მაგაზედ ფიქრი და ჯერ კი მინდა მისში დაწყებულ ბრძოლას ბოლო მოვუღო. ჩემი წერილების გამოგზავნას („Новое обозрение“-ში) ვაპირებდი. უეჭველათ წაიკითხავდი და შენიშნავდი, რომ ოსურად მინდა რჯულამდე ჩავყვე და ჩემის მოპირდაპირეების უფიცობა და ყალბობა გამოვააშკარავო. ჯერ რუსულათ გამოვესაუბრე და მას უკან ქართულადაც ვაპირებ. იმედი მაქვს ვერა მისრიკონ რა; მეც ცოტაოდენ ხრიკებს შემაჩვიეს იმათ ხრიკების ყურებით

ჯერ ჩუმად არიან და თუ გამობასებს სიხუმე არჩიეს. მასუკანაც ისეთს ადგილს მოვთხოვ ანგარიშს ამ სიხუმისას, რომ ნება-უნებურად ხმა ამოვადებინო.

ილია ჭავჭავაძეს ჰგონია თავის ლათაიებით ყოველთვის ხმა გაუკმინდოს ადამიანს და საზოგადოება ათამაშოს, მაგრამ ნათქვამია, კოჭი ყოველთვის ალჩუს ვერ დაჯდება.

შენი ი. მაჩაბელი.

19 ივლისი 1891 წ.

თამარაშენი.

III.

...ილია ჭავჭავაძემ და მისმა ღირსეულმა „ამხანაგებმა“ როგორც ეხლა თავის თავს ეძახის ბ. თარხნიშვილი, ერთად გამოილაშქრეს ჩვენზედ თანახმარებით გ. ორბელიანისა, ნ. ხუდადოვისა, ჩერქეზიშვილისა, გ. ანდრონიკოვისა, ლევ. ჯანდიერისა და სხვათა.

გამოილაშქრეს და დამამარცხეს კიდევ. მეც თავი დაუკარ ამ ვაჟბატონებს, ბანკი დაულოცე და გამოვემშვიდობე. საზ-ოება ერთხმად მთელი ხუთი მინუტის განმავლობაში მოხვდა დარჩენას, მაგრამ მადლობა მოვახსენე და გადაწყ-

ამ მიწერ-მოწერაში, რომელიც ორ უდიდეს ქართველ მწერალს ეკუთვნის, ბევრი რისხვა და ნალგელია ჩანთქმული. თითქოს ორი შეთქმული და ბლოკში მყოფი ფეოდალი საშუალო საუკუნეებისა ამბოხების წერილებს სწერდნენ ერთმანეთს თავის ხეობებიდან.

ეს მშვენიერი მასალა ჩვენი საზოგადოებრიობის ეკუთვნის იმ დროს, როდესაც საქართველოსათვის სუვერენიტეტისა და სახელმწიფოს ექვივალენტი იყო უბრალო ბანკი.

საინტერესოა, რომ „ბანკოვიდას“ პროცესში თავი იჩინა ძველი საუკუნოებიდან გამოყოლილმა თემურმა პატიკულიარიზმმა. მეტროლი მასსა სასტიკად იყო გაყოფილი ორ პროვინციად: ქართლად, კახეთად. მას არავითარი იდეოლოგია არ ქონდა და ბოლოს პროვინციულურ თავმოყვარეობად იქცა. რასაკვირველია, აქ ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი შენთხვევით ჩაებნენ და არავითარი საერთო არ ქონდათ თავის ურდობთან.

ივანე მაჩაბელი ყვირის ტრიბუნიდან:

— „შეახმეს ხელი, ვინც ქართლი კახეთზე გადაჰკიდა, ნუ თუ მე ვარ იგი?..“

ვეტილი უარი ვთქვი. ეხლა ვეძებ ალაგს. დამპირდნენ კიდევ არა უარესს ბანკის დირექტორობაზედ აგვისტოს ან სექტემბრისათვის. მანამდის კი მივანებე ქალაქს თავი და მინდა მთელი ზაფხული სოფლად გავატარო. ჯერ ფცაში ვარ, და მალე თამარაშენში წავალთ.

ასე ჩემო აკაკი, ეს არის გარეშე მხარე ჩემის ისტორიისა, მაგრამ დამარცხებამ გამწვრთნა და გამაგულისა, რომ არა მგონი ასეთი გამარჯვება გამარჯვებულებს დიდხანს შერჩეთ.

ჯერ ვაპირობ გაზეთების ოსტატობა გამოვააშკარავო. „ივერია“ ხომ „ივერია“ და „ნოვოე ობოზრენიე“-შიც ილია ჭავჭავაძემ თავის ადიუტანტები და თანამშრომლები ჩააყენა თანამშრომლებად და ბანკის ანგარიშების მიმცემად. ხაჩატუროვიც ხომ ხაჩატუროვია. ახლა ვაპირობ ვრცელი წერილები დავბეჭდო როგორც „ნოვოე ობოზრენიე“-ში ისე „ივერიაში“ და გამოვააშკარავო ეს მიდგომილობა, რა მიდგომილობითაც იბეჭდებოდა ყველაფერი ბანკის შესახებ.

„ნოვოე ობოზრენიე“-ში დამპირდნენ დაბეჭდვას და „ივერიაშიც“ ნება ვითხოვე შეუცვლელად წერილების დაბეჭდვისა. ეს ნება თუმცა ძალიან არ ეჭაშნიკებათ, მაგრამ არც მე დამიტანებია ძალა და ასე ვუთხარ, თუ არ დამაბეჭდვინეთ, ყოველს თქვენს ამბებს რუსულ გაზეთებში გამოვააშკარავებ და (კალკე ბროშურასაც გამოვცემ ქართულად მეთქი *)

ალბად ამ მუქარამ შეაშინა და ადგილი დამითმეს. მაგრამ ვაი ამ დათმობას... მასუკანაც იმედი მაქვს ვერ დაგვაძაბუნონ და იქნება ისე გაუხდეს საქმე ილია ჭავჭავაძეს, რომ პირსავით წამოიძახოს: ერთი ამისთანა გამარჯვება და მე ულაშქროდ დავრჩები. მე ძალიან მესიამოვნება, რომ შენ ადევნო თვალყური ჩვენს პოლემიკას და სერიები ნახო...

დღე არ გავა, რომ შენი აქ ყოფნა არ მოვიგონოთ, თან შენი ალბომში ჩაწერილი ლექსები არ წავიკითხოთ. ტასოც ძალიან მოხარულია შენი ნახვისა და შუბლში კოცნას გითვლის... მევე მევე რომ მაწერინებს...

შენი მარად ერთგული ი. მაჩაბელი

დღეს სასაცილოდ გვეჩვენება თითქმის 90-იან წლების ერთი ისტორიული მოვლენა „ბანკოვიდას“ სახელით წოდებული. მან ორი დიდი ქართველი იმსხვერპლა.

ამ წერილებიდან ცხადად სჩანს იმ დროის უმწეობა, წვრილმანობა და გიკვირს როგორ ცხოვრობდნენ ისეთ ატმოსფერაში: ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, აკაკი წერეთელი...

ეს წერილები საინტერესოა კიდევ როგორც ერთი მომენტი აკაკის ბიოგრაფიისათვის. მუდამ „ნეიტრალი“ აკაკი წერეთელი, არც ისეთი გულგრილი ყოფილა ჭავჭავაძის კუნტატორობასთან გამართულ ბრძოლაში. ის, როგორც შეთქმული, გვერდით უდგას მაჩაბელს და ზოგჯერ თითქოს სათანადო ინსტრუქციებსაც კი აძლევს.

ყოველ შემთხვევაში ეს ცნობები დღემდის არ მოგვეპოებოდა...

*) ი. მაჩაბელმა 1892 წელს მართლაც დაბეჭდა სასტიკი წიგნი სათაურით: „ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“.

აქ საგულისხმოა კიდევ მაჩაბლის და აკაკი წერეთლის მეგობრობა. რომელიც ბრძოლის დროს, თითქმის ათი წელიწადი, ერთი იოტით არ გაწყვეტილა. ეს კავშირი დაიწყო იმავე დღიდან, როცა მაჩაბელი გაემიჯნა ილია ჭავჭავაძეს, ე. ი. „დროების“ დღეებიდან და ურყევად ძმობად გადაიქცა „ბანკოვიადის“ დროს.

ამ წერილებში—ეს ორი უძლიერესი ქართველი 19 საუკუნისა,—ეფიცებიან ერთმანეთს სიყვარულს, ჩივიან უსამართლობას, მოწყენას და სიმძიმეს, რომელიც ქვასავით ედოთ გულზე...

გიორგი ლეონიძე.



პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას.

პატივცემულო ამხანაგებო!

უურნალი „ქართული მწერლობა“, რომლის სახელითაც მე პატივი მქონდა სიტყვიერათ მიმემართა ასოციაციის ზოგიერთ წევრთათვის, შესახებ ამ ასოციაციის ლიტერატურულ ძალების უურნალთან დაახლოებისა და მასში თანამშრომლობის საჭიროებისა,—კვლავ მოგმართავთ თქვენ ამავე თხოვნით, რათა მწერალთა გაერთიანებული ორგანოსა და ორგანიზაციაში დაცულ იქნას ლიტერატურულ შეჯგუფებათა თანაბარი პასუხისმგებლობა ლიტერატურისა და საზოგადოების წინაშე სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელების საქმეში.

ამხანაგური სალამით ნიკოლოზ მიწიშვილი.


ტფილისი, 24 მაისი 1926.




რედაქციისათვის:

— სხვადასხვა მიზეზების გამო გადაიღო გ. ჭიქოძის წერილი, კარლო ჩხეიძისა და გრ. ვეშაპელის შესახებ და ნ. მიწიშვილის წერილი: „გრიგოლ ვეშაპელი“.

— რაჟდენ გვეტაძის ლექსში „მერკვილაძის დები“ მე-4 თავის მე-14-ე სტრიქონი ასე უნდა გასწორდეს: და წყდებოდენ ჯაფით.



გ ა მ ო მ ც ე მ ე ლ ი:
სრულიად საქართველოს
მწერალთა კავშირი



რ ე ღ ა შ ტ ო რ ი:
სარედაქციო კოლეგია
პასუხისმგებელი რედაქტორი
ნიკოლოზ მიწიშვილი